



იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში № 4

თბილისი, 2016



EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში №4

ანგარიში მომზადებულია პროექტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსდა აშშ-ის განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) მეშვეობით. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო.

წინამდებარე ანგარიში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), აშშ-ის მთავრობის და EWMI-ის შეხედულებებს.

თბილისი
2016

ავტორები: ეკატერინე ციმაკურიძე
(საქართველოს ახალგაზრდა
იურისტთა ასოციაცია)
ქეთევან მეზვრიშვილი
(საერთაშორისო გამჭვირვალობა-
საქართველო)

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

გამოცემაზე პასუხისმგებელი პირები: ანა ნაცვლიშვილი
(საქართველოს ახალგაზრდა
იურისტთა ასოციაცია)
გია გვილავა
(საერთაშორისო გამჭვირვალობა-
საქართველო)



აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება
კომერციული მიზნით, ორგანიზაციების წერილობითი ნებართვის გარეშე

© 2016, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ძირითადი მიზნები	5
2. შესავალი	11
3. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობა საანგარიშო პერიოდში	14
3.1. წარმომადგენლობითობა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში	14
3.2. საბჭოს რეაგირება მოსამართლეთა შეურაცხყოფისა და მათზე ზეწოლის ფაქტებზე	22
4. საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობა	26
4.1. საბჭოს სხდომების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება	26
4.2. დღის წესრიგი და დამატებითი პროექტები/ დოკუმენტები	28
4.3. სხდომის მომზადება	30
4.4. სხდომის ოქმები და გადაწყვეტილებების გამოქვეყნება	31
4.4.1. პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია ..	33
4.5. დახურული სხდომები	33
4.6. საბჭოს სხდომის ფოტო-ვიდეო გადაღება და გაშუქება	34
4.7. შერჩევა/დანინაურება/გადანიშნვის პროცესის გამჭვირვალობა	35
4.8. ინტერესთა კონფლიქტი	39
5. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთიერება	43
5.1. მოსამართლეთა კონკურსის გარეშე გადაყვანა/ დანინაურება	43

5.1.1.	ზოგადი შეფასება	43
5.1.2.	მოსამართლის კონკურსის გარეშე გადაყვანის მარეგულირებელი კანონმდებლობა	46
5.1.3.	მოსამართლეთა კონკურსის გარეშე გადაყვანის პრაქტიკა საანგარიშო პერიოდში	51
5.2.	მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნა	60
5.2.1.	მოსამართლის დანიშვნის მარეგულირებელი კანონმდებლობა და უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციები	62
5.2.2.	სასამართლო სისტემის რეფორმის მესამე ტალღის კანონპროექტების განხილვასთან დაკავშირებული საკითხები	67
5.2.3.	იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ სასამართლო სისტემაში არსებული მოსამართლის ვაკანტური თანამდებობების შევსების პრაქტიკა	72
5.2.4.	მოსამართლეთა კონკურსის წესით დანიშვნისას გამოვლენილი ხარვეზები	73
5.2.5.	მოსამართლეობის კანდიდატებთან ჩატარებული გასაუბრებები	75
5.2.6.	ფსიქოლოგის მონაწილეობა	78
5.2.7.	კანდიდატთა მოკლე ბიოგრაფიული ცნობების გამოუქვეყნებლობა	79
6.	მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადით დანიშვნა (პრობაცია)	80
7.	მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობა	84
	რეკომენდაციები	87

1. ძირითადი მიზნები

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2015 წლის საქმიანობის მონიტორინგის შედეგად, გამოვლინდა შემდეგი ძირითადი მიზნები:

საანგარიშო პერიოდში საბჭოს საქმიანობის მარეგულირებელ კანონმდებლობასთან დაკავშირებული ძირითადი მიზნები

- კვლავ პრობლემად რჩებოდა რიგ სფეროებში საბჭოს საქმიანობის კანონით მონესრიგების გარეშე დატოვება (მოსამართლის შერჩევის წესი და კრიტერიუმები, საბჭოს წევრების ანგარიშვალდებულების არარსებობა, საბჭოს უფლება – გამოსცეს ნორმატიული აქტები, საბჭოს გად-ანწყვეტილებების დასაბუთების ვალდებულების არარსე-ბობა, საბჭოს გადწყვეტილებების გასაჩივრების მექა-ნიზმის არარსებობა და სხვა), რაც საბჭოს ანიჭებდა განუსაზღვრელ დისკრეციას და თვითნებობის ფართო შესაძლებლობას, რისი არაერთი მაგალითიც დაფიქსირ-და საანგარიშო პერიოდში;
- კვლავ პრობლემად რჩება საბჭოს საქმიანობის ცალკეუ-ლი სფეროების არასაკმარისი საკანონმდებლო რეგული-რება და არსებული საკანონმდებლო ნორმების ბუნდო-ვნება, რაც საბჭოს ანიჭებს ძალიან ფართო დისკრეციას და აძლევს მისი ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას, რისი არაერთი მაგალითიც დაფიქსირდა საანგარიშო პე-რიოდში;
- საბჭომ თავადაც ვერ უზრუნველყო განჭვრეტადი და მკაფიოდ ჩამოყალიბებული კანონქვემდებარე აქტების მიღება ან კარგი პრაქტიკის დამკვიდრება;
- საბჭოს საქმიანობის არასაკმარისი, ხარვეზიანი და ბუნდ-ოვანი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე რეგულირე-ბა უარყოფითად აისახება საბჭოს ძირითადი ფუნქციების – მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნის, მოსამართლის გა-დაყვანის, მოსამართლის დანიშნულების – გამჭვირვალე, საჯარო, ობიექტური პროცესით შესრულებაზე;
- თავისი უფლებამოსილებების განხორციელებისას და გადწყვეტილებების მიღების პროცესში საბჭო არ უზ-რუნველყოფს ადმინისტრაციული ფუნქციების გამი-ჯვნას კონსტიტუციური უფლებამოსილებისგან და ად-მინისტრაციული ფუნქციების განხორციელების პრო-

ცესში გადაწყვეტილებების მიღებისას ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსზე მითითებას, რაც მნიშვნელოვნად შეზღუდავდა საბჭოს მიერ დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას. ამ საკითხთან დაკავშირებით საბჭოს წევრთა პოზიციები და საბჭოს პრაქტიკა არაერთგვაროვანი რჩება.

საანგარიშო პერიოდში საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი მიგნებები

- კანონის მიზანი, რომ საბჭოში უზრუნველყოფილი იყოს წარმომადგენლობითობა და განსხვავებული აზრის არსებობა, არ არის სათანადოდ უზრუნველყოფილი. საქართველოს პარლამენტმა ვერ შეძლო საბჭოს წევრების არჩევა განსხვავებული პოლიტიკური ძალების მონაწილეობით;
- წინა საანგარიშო პერიოდში საბჭოს მოსამართლე და არამოსამართლე წევრებს შორის აზრთა სხვადასხვაობით მიღწეული პლურალიზმის და წარმომადგენლობითობის ხარისხი საანგარიშო პერიოდში თანდათან შეიცვალა და საბჭოს ცალკეული არამოსამართლე წევრების პოზიციები სულ უფრო დაუახლოვდა მოსამართლე წევრების პოზიციებს;
- მართალია, საბჭოს ახალი თავმჯდომარის პოზიციები მთელი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განსხვავდებოდა საბჭოს მოსამართლე (და ცალკეულ შემთხვევებში არამოსამართლე) წევრების პოზიციებისგან, თუმცა, საანგარიშო პერიოდის დასაწყისიდან მოყოლებული სურათი თანდათან შეიცვალა და შემდგომში თავმჯდომარე თავის განსხვავებულ პოზიციებს ისე ამკარად და მწვავედ აღარ აფიქსირებდა;
- საანგარიშო პერიოდში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა უმრავლესობის პოზიციების თანხვედრა წარმოშობდა ეჭვს, რომ საბჭოს წევრები გადაწყვეტილებებს იღებდნენ არა ინდივიდუალურად, რაც კოლეგიური ორგანოს მუშაობის პრინციპს წარმოადგენს, არამედ – წინასწარი კონსულტაციების საფუძველზე, ურთიერთმეთანხმებით.

გადანყვეტილებების დასაბუთებულობის პრობლემა

- კანონი საბჭოს არ ავალდებულებს მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებას, რაც არც პრაქტიკაშია უზრუნველყოფილი. ხშირად სხდომაზე გამართული მსჯელობა ასევე არ შეიცავს შესაბამისი გადაწყვეტილების დასაბუთებას. აღნიშნული კი, ნდობას უკარგავს საბჭოს საქმიანობას და წარმოშობს ეჭვებს საბჭოს გადაწყვეტილებების ობიექტურობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით;
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები საჯარო განცხადებების გავრცელების გზით განმარტავდნენ მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, მათ შორის, მოსამართლეთა დანიშნულების თუ კონკურსის წესით მოსამართლეთა დანიშვნის საკითხებზე. დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ საბჭო ან საბჭოს წევრთა ნაწილი, ცალკეულ შემთხვევებში, ცდილობდნენ, საჯარო განცხადებების მეშვეობით დაესაბუთებინათ მიღებული გადაწყვეტილება. თუმცა, მართებული იქნება, თუკი საბჭო უზრუნველყოფს თავად გადაწყვეტილების დასაბუთებას და არა – საჯარო განცხადების გაკეთებით უკვე მიღებული გადაწყვეტილების განმარტებას. საჯარო განცხადებებით რეაგირება შეიძლება ემსახურებოდეს სასამართლოს რეპუტაციის დაცვას და არა – საბჭოს გადაწყვეტილებების დასაბუთებას.

საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობა

- კანონით დადგენილ ვადაში სხდომის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ ორ შემთხვევაში გამოქვეყნდა;
- დამკვიდრდა პრაქტიკა, რომლითაც საბჭოს სხდომის შესახებ სამი კალენდარული დღით ადრე ხდება ცნობილი, რაც ვერ პასუხობს გამჭვირვალობის სათანადო სტანდარტებს და არ აძლევს დაინტერესებულ პირებს ეფექტური კონტროლის განხორციელების საშუალებას;
- საბჭოს ვებ-გვერდზე არ ქვეყნდება სხდომაზე განსახილველი/განხილული კანონპროექტები, სამოქმედო გეგმები, კონცეფციები თუ სხვა დოკუმენტები. დაინტერესებულმა პირებმა მხოლოდ ორ შემთხვევაში შეძლეს, ვებგვერდის საშუალებით მოეპოვებინათ მსგავსი დოკუმენტები;

- დაინტერესებულ პირებს არ აქვთ შესაძლებლობა, საბჭოს სხდომის ოქმებს ვებგვერდის საშუალებით გაეცნონ;
- საბჭო ზღუდავს სხდომების სრულად გამოქვებას მედი-ასაშუალებით. მიუხედავად იმისა, რომ კოლეგიური ორგანოების სხდომების საჯაროობა კანონმდებლობით არის გარანტირებული, საბჭო განსხვავებულ წესს ადგენს და მხოლოდ სხდომის **გახსნის** ვიდეო-აუდიო ჩანწერას უშვებს;
- მიმდინარე საანგარიშო პერიოდში საბჭოში რამდენჯერმე დაისვა ინტერესთა კონფლიქტის საკითხი და აქედან ვერც ერთ შემთხვევაში ვერ მოხერხდა აღნიშნულის თავიდან აცილება;
- სხდომის დღის წესრიგში მოცემული საკითხების ფორ-მულირება ხშირად არ იძლეოდა ამომწურავ ინფორმა-ციას განსახილველი საკითხების შესახებ;
- პრობლემურია საბჭოს დღის წესრიგის შედგენასთან დაკავშირებული საკითხები. არც საქართველოს ზოგადი ად-მინისტრაციული კოდექსი და არც საბჭოს საქმიანობის განმსაზღვრელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები არ ადგენს, თუ როგორ და რა პროცედურების დაცვით უნდა მოხდეს საბჭოს დღის წესრიგის შედგენა;
- საბჭოს მარეგულირებელი კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული სხდომის დახურვის პროცედურები, რაც პრაქტიკაში პრობლემებს ქმნის.

მოსამართლის კონკურსის გარეშე გადაყვანა

- კონკურსის გარეშე მოსამართლის სხვა სასამართლოში გადაყვანის წესი, რომელიც დადგენილია „საერთო სა-სამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 37-ე მუხ-ლით, არის ბუნდოვანი, რაც საანგარიშო პერიოდში გა-მოყენებული იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ყოველგვარი დასაბუთების და მოსამართლის სხვა სასა-მართლოში საგამონაკლისო წესით გადაყვანის საჭიროე-ბის შესწავლის გარეშე, რაც მიუთითებს მოსამართლის შეუცვლელიობის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპის დასაცავად არასაკმარისი საკანონმდებლო გარანტიების არსებობაზე;

- საანგარიშო პერიოდში იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ განახორციელა მოსამართლეთა გადაყვანა, რაც თავისი შინაარსით წარმოადგენდა დანინაურებას. თუმცა, დანინაურების პროცესში, საბჭომ იხელმძღვანელა მხოლოდ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლით, ისე, რომ არ გამოუყენებია ამავე კანონის 41-ე მუხლი. აღნიშნული მიუთითებს მოსამართლის გადაყვანისა და დანინაურების პროცესის არასაკმარის საკანონმდებლო რეგულირებაზე, რაც საბჭოს მიერ გამოყენებულ იქნა მოსამართლეთა გადასაყვანად ყოველგვარი დასაბუთების გარეშე;
- საანგარიშო პერიოდში მოსამართლეთა კონკურსის გარეშე გადაყვანის/დანინაურების შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები მიღებულ იქნა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, საბჭოს მიერ დადგენილი პროცედურების მხოლოდ ფორმალურად ჩატარების შედეგად, რაც ადასტურებს, რომ საბჭო არ იცავს თავის მიერვე დადგენილ წესებს.

მოსამართლის შერჩევა/დანიშვნა

- მოსამართლეთა დანიშვნის პროცესის არსებული საკანონმდებლო რეგულირება ვერ უზრუნველყოფს პროცესის ობიექტურობასა და გამჭვირვალობას; კანონი არ განსაზღვრავს მოსამართლის შერჩევის კრიტერიუმებს, საბჭოს ვალდებულებას – დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება მოსამართლის დანიშვნასთან დაკავშირებით; მასზე არ ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება და არც კანონი ადგენს იმ ძირითად პრინციპებს, რითაც უნდა ხელმძღვანელობდეს საბჭო მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნის პროცესში, რაც მის საქმიანობას სრულიად მოუწესრიგებელს და თვითრეგულირებაზე დამოკიდებულს ხდის;
- კვლავ პრობლემად რჩება მოსამართლის შერჩევა/დანიშვნის არასაკმარისი საკანონმდებლო რეგულირება, ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების მიერ პოსტსაბჭოთა სასამართლო ინსტიტუტების არასისტემური და მხოლოდ ფრაგმენტული რეფორმირება.

საბჭოს რეაგირება მოსამართლეთა შეურაცხყოფისა და მათზე ზენოლის ფაქტებზე

- მოსამართლეების მიმართ ზენოლის ფაქტებზე რეაგირებასთან დაკავშირებით, საბჭოს არ ჰქონია ერთგვაროვანი მიდგომა. ცალკეულ შემთხვევებში, საბჭო მოსამართლეზე ზენოლის ფაქტებს გამოეხმაურა საჯარო განცხადებების გავრცელებით, თუმცა, სხვა შემთხვევებში ანალოგიურად არ მოქცეულა და რეაგირების საკითხი სხდომაზეც არ განუხილავს;
- ერთ შემთხვევაში, მოსამართლეზე შესაძლო ზენოლის ფაქტზე რეაგირების მიზნით, საბჭოს თავმჯდომარემ გადაწყვიტა, სხდომაზე მიენვია თავად მოსამართლე. თუმცა, საბჭოს სხვა წევრებმა მიიჩნიეს, რომ არ იქნებოდა მართებული მოსამართლის მიწვევა და მასზე შესაძლო ზენოლასთან დაკავშირებით ამგვარი რეაგირება. აღნიშნულით დასტურდება, რომ საბჭოში არ არსებობს ერთიანი, შეთანხმებული აზრი იმის თაობაზე, თუ რა ღონისძიებებს შეიძლება მიმართავდეს საბჭო მოსამართლის დამოუკიდებლობისა და რეპუტაციის დასაცავად. მოსამართლეზე შესაძლო ზენოლის თუ შეურაცხყოფის ფაქტებზე რეაგირების სისტემის შესაქმნელად საბჭოს არც შემდგომ უმსჯელია და აღნიშნული მიმართულებით მისი რეაგირება ფრაგმენტული რჩება.

გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეების შეფასების პროცესის გაუმჭვირვალობა

- საანგარიშო პერიოდში გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლის საქმიანობის შეფასების პროცესი სრულიად გაუმჭვირვალედ მიმდინარეობდა. გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეების შეფასების საკითხებთან დაკავშირებული სხდომების სრულად დახურვა, ასევე ამ პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი, მათ შორის, გამოვლენილი ხარვეზების თუ შეფასების თაობაზე არსებული სხვა ინფორმაციების გაუმჟღავნებლობა არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

მოსამართლეთა ანგარიშვალდებულების მექანიზმის არაეფექტურობა

- მოსამართლეთა მიმართ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში შესული დისციპლინური საჩივრების განხილვის მაჩვენებელი კრიტიკულად დაბალია, რაც მიუთითებს მოსამართლეთა ანგარიშვალდებულების სისტემის არაეფექტურობაზე. შესაბამისად, ჩნდება საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მოსამართლეების დამოუკიდებლობა არ არის სათანადოდ დაბალანსებული მათი ანგარიშვალდებულებით. მოსამართლეთა დისციპლინირების კანონით გათვალისწინებული პროცესის არასაკმარისი გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულების არაეფექტური სისტემის არსებობა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს უტოვებს ფართო შესაძლებლობას, მოსამართლეთა წინააღმდეგ ბოროტად გამოიყენოს დისციპლინირების მექანიზმი.

2. შესავალი

პროექტის – „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) – ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია USAID-ის მიერ და ხორციელდება აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის მიერ, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) და საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო 2012 წლის მარტიდან ახორციელებენ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (საბჭო) საქმიანობის მონიტორინგს. 2013 წლის დასაწყისში აღნიშნულმა ორგანიზაციებმა გამოსცეს საბჭოს საქმიანობის ამსახველი №1 ერთობლივი ანგარიში, რომელშიც აისახა 2012 წლის მარტი-დეკემბრის თვეებში საბჭოს საქმიანობის დაკვირვებისა და ანალიზის შედეგები; 2014 წლის დასაწყისში გამოიცა №2 ერთობლივი ანგარიში,¹ რომელშიც აისახა მონიტორინგის შედეგები 2013 წლის იანვრიდან 2013 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით. 2015 წლის დასაწყისში გამოიცა №3 ერთობლივი ანგარიში,² რომელიც მოიცავს 2014 წლის იანვრიდან 2014 წლის დეკემბრის ჩათვლით პერიოდს. აღნიშნულ ანგარიშში

¹ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში #2 <https://gyla.ge/files/news/gamocemebi...>

² იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში #3 <https://gyla.ge/files/news/%E1%83%98%...>

ასევე აისახა 2014 წელს მიმდინარე მოვლენების და ტენდენციების შედარებითი ანალიზი 2012 და 2013 წლების იმ საკითხებთან მიმართებით, რომლებიც საბჭოს საქმიანობის №1 და №2 ანგარიშებში იყო ასახული. ამასთან, 2015 წლის პირველ ნახევარში გამოიცა საბჭოს საქმიანობის შემაჯამებელი ანგარიში,³ რომელიც წარმოადგენს №1, №2 და №3 ანგარიშებში ასახულ საბჭოს საქმიანობაზე დაკვირვების შედეგებს დინამიკაში.

2015 წელს საიამ და საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ კვლავ გააგრძელეს საბჭოს საქმიანობის მონიტორინგი, რომლის შედეგებიც მოცემულია წინამდებარე ანგარიშში.

საბჭოს 2015 წლის საქმიანობის მონიტორინგი შეეხო შემდეგ საკითხებს:

- აზრთა სხვადასხვაობა და პლურალიზმი საბჭოში;
- საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა: მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნა, მოსამართლის გადაყვანა/დანიშნაურება;
- საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობა;
- საბჭოს ეფექტურობა მოსამართლეთა ზენოლისა და შეურაცხყოფის ფაქტებზე;
- მოსამართლეთა ანგარიშვალდებულების მექანიზმის ეფექტურობის შეფასება.

წინამდებარე №4 ანგარიში ყურადღებას ამახვილებს ასევე საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების როლზე საბჭოს საქმიანობის ეფექტურობის უზრუნველყოფის საქმეში და შეიცავს საანგარიშო პერიოდის შეფასებას ამ თვალსაზრისით.

2015 წელს განხორციელებულმა მონიტორინგმა კიდევ ერთხელ დააფიქსირა მთელი რიგი ხარვეზები საბჭოს საქმიანობაში, რაც განპირობებულია კანონმდებლობის ბუნდოვანებით, არასაკმარისი საკანონმდებლო მონესრიგებით, საბჭოს არაეფექტურობით შესაბამისი წესებისა და კარგი პრაქტიკის დადგენის საქმეში. უნდა აღინიშნოს, რომ წინა საანგარიშო პერიოდში საბჭოს საქმიანობაში გამოვლენილი დადებითი ტენდენციები და ცალკეული მიმართულებით გაუმჯობესებები ამ საანგარიშო პერიოდში არ გაგრძელებულია. გარდა ამისა, მთელი რიგი მიმართულებებით დაფიქსირდა გაუარესება საბჭოს საქმიანობაში.

³ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის სამწლიანი შემაჯამებელი ანგარიში (2012-2014) <https://gyls.ge/files/news/%E1%83%98%...>

წინამდებარე ანგარიშის მიზანია, ხელი შეუწყოს საბჭოს მის საქმიანობაში არსებული ხარვეზებისა და დადებითი ტენდენციების გამოვლენაში, რაც, ვფიქრობთ, საბჭოს მომავალი საქმიანობის ეფექტურობის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. იმედს ვიტოვებთ, რომ ჩვენ მიერ განუხლები სამუშაო დაინტერესებს როგორც საბჭოს წევრებს, ასევე სასამართლო სისტემის რეფორმაში ჩართულ ადგილობრივ და საერთაშორისო უწყებებს, ექსპერტებს, ორგანიზაციებს და გამოყენებული იქნება საბჭოს საქმიანობის რეფორმირებისა და გაუმჯობესებისთვის.

მეთოდოლოგია

წინამდებარე ანგარიში ეფუძნება საბჭოს სხდომებსა და სხვადასხვა საჯარო შეხვედრაზე მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანიზაციების წარმომადგენელთა უშუალო დასწრებით მოპოვებულ ინფორმაციასა და მის ანალიზს; ასევე, მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციების შესწავლასა და ანალიზს; საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის გზით მიღებული/მოპოვებული და საბჭოს ვებ-გვერდზე განთავსებული მონაცემების ანალიზს. ანგარიშში ასევე გამოყენებულია ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების დოკუმენტები და მოსაზრებები სასამართლოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2015 წლის იანვრიდან 2015 წლის დეკემბრის ჩათვლით პერიოდს.

3. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობა საანგარიშო პერიოდში

3.1. წარმომადგენლობითობა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში

- საანგარიშო პერიოდში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა უმრავლესობის პოზიციების თანხვედრა, ასევე, გადაწყვეტილების მიღების წინ საბჭოს წევრების კონსულტაციები დახურულ ფორმატში, წარმოშობდა ეჭვს, რომ საბჭოს წევრები გადაწყვეტილებებს იღებდნენ არა ინდივიდუალურად, რაც წარმოადგენს კოლეგიური ორგანოს წევრთა მიერ გადაწყვეტილებების მიღების პრინციპს, არამედ წინასწარი შეთანხმებით;
- საბჭოს მოსამართლე და არამოსამართლე წევრებს შორის აზრთა სხვადასხვაობით მიღწეული პლურალიზმის და წარმომადგენლობითობის მდგომარეობა საანგარიშო პერიოდში თანდათან შეიცვალა და საბჭოს ცალკეული არამოსამართლე წევრების პოზიციები სულ უფრო ხშირად ეთანხმებოდა მოსამართლე წევრების პოზიციებს;
- მართალია, საბჭოს ახალი თავმჯდომარის პოზიციები მთელი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არ იყო თანხვედრაში საბჭოს მოსამართლე (და, ცალკეულ შემთხვევებში, არამოსამართლე) წევრების პოზიციებთან, თუმცა, საბჭოს თავმჯდომარე თავის განსხვავებულ პოზიციებს ისე აშკარად და მწვავედ აღარ აფიქსირებდა, როგორც საანგარიშო პერიოდის დასაწყისში;
- საანგარიშო პერიოდში კვლავ ვაკანტურია საბჭოს ერთი არამოსამართლე წევრის თანამდებობა, რომელიც საქართველოს პარლამენტის სახელისუფლებო და არასახელისუფლებო პოლიტიკური ძალების მონაწილეობით, კვალიფიციური უმრავლესობის მიერ უნდა ყოფილიყო არჩეული, რაც საბჭოს ტოვებს უმრავლესობის გარეთ დარჩენილი დეპუტატების მონაწილეობით არჩეული წევრის გარეშე.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობა თითქმის სრულად განახლდა 2013 წლის ივნისში. წინა საანგარიშო პერიოდის მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ საბჭოს შემადგენლობაში 2013 წელს განხორციელებული ცვლილებები დადებითად აისახა

საბჭოში მიმდინარე დისკუსიისა და მუშაობის ხარისხზე. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2014 წლის საქმიანობის მონიტორინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ არამოსამართლე წევრების ინიციატივით დაიწყო საბჭოში დისკუსია რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე და, რაც შემთხვევებში, მხარდაჭერილი იყო საბჭოს სხვა წევრების მხრიდან. ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ არამოსამართლე წევრების აქტიურობის შედეგად, საბჭოში რეალურად გაჩნდა განსხვავებული მოსაზრებები.⁴

ზემოაღნიშნულ ანგარიშში ასევე ხაზგასმულია, რომ „...იშვიათი გამონაკლისების გარდა, არამოსამართლე წევრების პოზიციები ძირითადად ერთმანეთს ემთხვეოდა და წინააღმდეგობაში მოდიოდა მოსამართლე წევრების მოსაზრებებთან. რაც შეეხება მოსამართლე წევრებს, ისინი უმეტესწილად ერთგვაროვან პოზიციებს აფიქსირებდნენ, რაც თითქმის ყოველთვის ეთანხმებოდა საბჭოს თავმჯდომარის შეხედულებებს.“⁵

აღნიშნული თვალსაზრისით, საანგარიშო პერიოდში ვითარება თანდათან შეიცვალა. კერძოდ, საბჭოს მოსამართლე და არამოსამართლე წევრთა ნაწილის პოზიციები სულ უფრო ხშირად ემთხვეოდა ერთმანეთს და ისინი უმეტესწილად ერთგვაროვან პოზიციებს აფიქსირებდნენ. ხოლო, საბჭოს ახალი თავმჯდომარე სულ უფრო იშვიათად აფიქსირებდა საკუთარ განსხვავებულ პოზიციებს, რომლებიც როგორც წესი, არ ეთანხმებოდა საბჭოს მოსამართლე და ზოგიერთი არამოსამართლე წევრის პოზიციებს. მთელი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, უმეტესწილად საბჭოს ორი არამოსამართლე წევრი გამოხატავდა განსხვავებულ აზრს.

საბჭოს ახალი თავმჯდომარე განსაკუთრებით აქტიური იყო საანგარიშო პერიოდის დასაწყისში. მას საბჭოს სხდომაზე განსახილველად გაჰქონდა სასამართლოს დამოუკიდებლობისთვის პრინციპულად მნიშვნელოვანი საკითხები.⁶ აგრეთვე, აქტიურად მოითხოვდა საბჭოს წევრებისაგან კოლეგიური ორგანოს

⁴ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში #3, 2015, გვ. 8, პარა. 3.1.

⁵ იქვე.

⁶ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2015 წლის 7 აპრილის, 14 სექტემბრის, 30 სექტემბრის, 26 ოქტომბრის სხდომებზე თავმჯდომარემ გაიტანა საერთო სასამართლოებში საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის შემოღებისთვის საჭირო ღონისძიებების გატარებასთან დაკავშირებული საკითხები.

მიერ საკითხების განხილვის პრინციპების დაცვას და შესაბამისი სტანდარტების შემოღებას საბჭოს მუშაობაში, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა საბჭოს არ უდგენს ამ მნიშვნელოვანი პრინციპებით მუშაობის ვალდებულებას (მაგალითად, კანონიერების, გამჭვირვალობის, სამართლიანობის, თანაზომიერების, კოლეგიური ორგანოს წევრის მიერ გადაწყვეტილების ინდივიდუალურად მიღების, საკითხის სრულად და ობიექტურად გამოკვლევის პრინციპები და სხვა), ასევე, გადაწყვეტილებების მიღებას მხოლოდ საბჭოს სხდომაზე განხილვისა და არა – საბჭოს წევრების მიერ ამ საკითხებზე სხდომის მიღმა მსჯელობის შედეგად, საბჭოს საქმიანობის ეფექტურობის გაზრდას.⁷ თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ კანონის მოთხოვნა, რომ საბჭოს სხდომების შესახებ ინფორმაცია, სულ ცოტა, ერთი კვირით ადრე გამოქვეყნდეს, არც საბჭოს ახალი თავმჯდომარის პირობებში ყოფილა დაცული. გასათვალისწინებელია, რომ სწორედ საბჭოს თავმჯდომარეა უფლებამოსილი, მოინვიოს საბჭოს სხდომა, რა დროსაც მან უნდა იხელმძღვანელოს ზემოაღნიშნული წესით.⁸

გარდა ამისა, საბჭოში შენარჩუნდა დამკვიდრებული პრაქტიკა, როცა საბჭოს ღია სხდომაზე ცალკეულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ სხდომის ნაწილი იხურებოდა, ან საბჭოს წევრები ტოვებდნენ დარბაზს საკითხზე გადაწყვეტილების მიღებამდე კონსულტაციების გავლის მიზნით, რაც არ შეესაბამება საბჭოს სხდომის საჯაროობის და საბჭოს წევრთა მიერ გადაწყვეტილებების ინდივიდუალურად მიღების პრინციპებს.

თავმჯდომარემ საბჭოს პირველივე სხდომაზე განსახილველად გამოიტანა სასამართლოს დამოუკიდებლობისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი საკითხი – საერთო სასამართლოებში შემთხვევითი პრინციპით საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის შემოღება და შესაბამისი ინფრასტრუქტურის გამართვა. ამის შემდეგ მან საბჭოს არაერთ სხდომაზე გაიტანა აღნიშნული საკითხი, საბჭოს წევრებისთვის გაიმართა არსებული ელექტრონული სისტემის პრეზენტაცია, უზენაესი სასამართლოს ინიციატივით მომზადდა საქმეთა შემთხვევითი ელექტრონული განაწილების წესის პროექტი, რომელიც საბჭოს სხდომაზე იყო განხილული და სხვა.

⁷ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2015 წლის 7 აპრილის, 17 აპრილის, 24 აპრილის, 8 მაისის სხდომები.

⁸ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-15 პუნქტი, საბჭოს რეგლამენტის მე-11 მუხლი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილი.

საანგარიშო პერიოდში საბჭოს ახალი თავმჯდომარის მხრიდან რამდენიმე მიდგომა დაფიქსირდა, რომლებიც მის მიერ საბჭოს მომდევნო სხდომებზე მუდმივად იყო ხაზგასმული: საბჭოში საკითხების განხილვა უნდა დასრულდეს კონკრეტული შედეგით და საბჭო მნიშვნელოვანი საკითხების განხილვისას მხოლოდ მსჯელობით არ უნდა შემოიფარგლოს; საბჭოს საქმიანობა უნდა გახდეს უფრო ოპერატიული და შედეგზე ორიენტირებული. დაფიქსირდა შემთხვევები, როცა თავმჯდომარემ მოითხოვა, რომ იმ საკითხებზე, რომლებზეც საბჭოს უკვე ნამსჯელი ჰქონდა და არ საჭიროებდა გადადებას, იმავე სხდომაზე მიღებულიყო გადაწყვეტილება.

ახალი თავმჯდომარის პირობებში საბჭოს სხდომებზე დამსწრე დაინტერესებული პირების ჩართულობა საბჭოს მიერ საკითხების განხილვაში გადაიზარდა. ხშირად საბჭოს თავმჯდომარე საკუთარი ინიციატივით სთხოვდა დამსწრე არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებზე. ამის შემდგომ, საბჭოს სხვა წევრებიც, უმეტესად არამოსამართლე წევრები, უფრო მეტ კომუნიკაციას ამყარებდნენ დამსწრე საზოგადოებასთან, საკითხებზე მათი აზრის მოსასმენად.

თავმჯდომარემ საბჭოს 8 მაისის სხდომაზე დააყენა საკითხი მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის მექანიზმის არაეფექტურობის შესახებ და აღნიშნა, რომ საბჭომ უნდა შეაფასოს აღნიშნულის მიზეზები და პასუხი გასცეს ამ საკითხზე საზოგადოებაში არსებულ ყველა კითხვას.

საანგარიშო პერიოდში, მონიტორინგის თავდაპირველ ეტაპებზე, აშკარა იყო, რომ საბჭოს თავმჯდომარის პოზიციები თითქმის არასოდეს ეთანხმებოდა საბჭოს მოსამართლე წევრების (ცალკეულ შემთხვევებში, ასევე, არამოსამართლე წევრების) პოზიციებს. საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის აღნიშნული სურათი შეიცვალა და, მართალია, საბჭოს თავმჯდომარის პოზიციები კვლავ არ ეთანხმებოდა საბჭოს მოსამართლე (და, ცალკეულ შემთხვევებში, არამოსამართლე) წევრების პოზიციებს, თუმცა, საბჭოს თავმჯდომარე თავის განსხვავებულ აზრს ისე აშკარად და მწვავედ აღარ აფიქსირებდა, როგორც საანგარიშო პერიოდის დასაწყისში.

ასევე, დაფიქსირდა არამოსამართლე წევრების აქტიურობა სხვადასხვა პრობლემური საკითხის წამოწევის მიმართულებით.

2015 წლის 7 აპრილის სხდომაზე კახა სოფრომაძემ წამოჭრა საკითხი უფლებამოსილებაგაგრძელებული მოსამართლეებისთვის ვადის შეწყვეტის პრობლემურობაზე. აღნიშნული საკითხის გადაჭრის საქმე იროგებას მხარი დაუჭირა არამოსამართლე წევრმა ევა გოცირიძემ.

არამოსამართლე წევრის, ვახტანგ თორდიას ინიციატივით, საბჭოზე განსახილველად დაისვა საკითხი საბჭოს რეგლამენტში ცვლილებების შეტანის შესახებ, რაც მოსამართლე და არამოსამართლე წევრებს შორის, მათი დატვირთულობის გათვალისწინებით, საქმის ეფექტურად განაწილებას და საკუთრად სფეროების განსაზღვრას ისახავდა მიზნად.

ასევე, საანგარიშო პერიოდის პირველ ნახევარში არამოსამართლე წევრები უფრო ხშირად აფიქსირებდნენ მოსამართლე წევრებისაგან განსხვავებულ პოზიციებს სხვადასხვა საკითხთან მიმართებით. ეს, თავის მხრივ, უზრუნველყოფდა საზოგადოების სწორად ინფორმირებას საბჭოზე განსახილველ ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით, რაც ხელს უწყობდა საბჭოს წარმომადგენლობითობის ერთ-ერთი მთავარი მიზნის შესრულებას, როგორცაა განსხვავებული აზრის დაფიქსირება და სწორი ინფორმაციის გამოაშკარავება. ამგვარი მიდგომები ცალსახად დადებითად აისახებოდა საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობაზე.

საბჭოს 2015 წლის 7 აპრილის სხდომაზე, მოსამართლეთა ბენზინის ლიმიტების განსაზღვრასთან დაკავშირებით გამართული მსჯელობის დროს, საბჭოს მდივანი აფიქსირებდა საზოგადოების შეცდომაში შემყვან პოზიციას. მან პოზიტიურ კონტექსტში აღნიშნა, რომ ბოლნისის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარემ სერგო მეთოფიშვილმა უარი თქვა ბოლნისში ბინის ქირისათვის თანხის გამოყოფაზე და დასჯერდა ბენზინის ლიმიტს, რის გამოც ის ყოველდღიურად ბოლნისში თბილისიდან ჩადიოდა. აღნიშნულის საპასუხოდ, არამოსამართლე წევრმა კახა სოფრომაძემ საბჭოზე გააჟღერა ბენზინის ის ოდენობა, რომელიც სერგო მეთოფიშვილისთვის იყო განსაზღვრული და, ასევე – ბოლნისში ბინის ქირის მიახლოებითი ფასი. აღმოჩნდა, რომ ბენზინის ლიმიტი, რომელსაც ყოველთვიურად იღებდა სერგო მეთოფიშვილი, სულ მცირე, ორჯერ აღემატებოდა ბოლნისში ბინის ქირის ფასს. შესაბამისად, საბჭოს მდივნის ლევან მურუსიძის მიერ ამ საკითხის დადებით კონტექსტში წარმოჩენა იყო შეცდომაში შემყვანი და არასწორი.

თუმცა, საბჭოს 26 ოქტომბრის სხდომაზე ნათლად გამოჩნდა, რომ საბჭოს მოსამართლე და ცალკეული არამოსამართლე წევრების პოზიციები აღარ იყო ისეთი წინააღმდეგობრივი, როგორც – წინა საანგარიშო პერიოდიდან ამ დრომდე. საბჭოს მიერ ახლად შექმნილი საპროკურორო საბჭოს ორი მოსამართლე წევრის არჩევის პროცესმა⁹ სხვადასხვა სახის პრობლემები წარმოაჩინა, რომლებიც საბჭოში არსებობს და საზოგადოების თვალში, ზოგადად, სასამართლო სისტემას ნდობას უკარგავს. საპროკურორო საბჭოს წევრის არჩევის მიზნით ჩატარებული კენჭისყრის ორივე ტურის შედეგების უგულვებლყოფამ და კენჭისყრაზე იმ კანდიდატურების მესამედ დაყენებამ, რომელთაც ორი კენჭისყრის შედეგად ვერ მოიპოვეს ხმათა საჭირო რაოდენობა, ხოლო მესამედ საბჭოს წევრებს შორის გამართული ე.წ. კონსულტაციების შედეგად მიიღეს ხმათა საკმარისი რაოდენობა, სულ მცირე, კენჭისყრის პროცედურის¹⁰ დარღვევაზე მიუთითებს. ამას ემატება ის არაჯანსაღი პროცესი, რომლის შედეგადაც მოხდა საპროკურორო საბჭოს წევრების არა არჩევა, არამედ გარიგება მათ ასარჩევად, რაც ქვემოთ არის აღწერილი.

საპროკურორო საბჭოს წევრების არჩევის პროცესმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ იცავს თავისი გადანყვეტილებით დადგენილ წესებსა და პროცედურას.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა, ლევან მურუსიძემ, საპროკურორო საბჭოს წევრობის კანდიდატად დაასახელა ბოლნისის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის, სერგო მეთოფიშვილის კანდიდატურა. საბჭოს თავმჯდომარემ, ნინო გვენეტაძემ – უზენაესი სასამართლოს მოსამართლის, მზია თოდუას კანდიდატურა. საპროკურორო საბჭოს წევრობის კანდიდატურები ასევე დაასახელეს გორა მამულაშვილმა – მოსამართლეები, ლია ორკოდაშვილი და ეკა

⁹ „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8¹ მუხლის თანახმად, საპროკურორო საბჭოს 2 წევრს „საქართველოს საერთო სასამართლოების იმ მოსამართლეთაგან, რომლებსაც საერთო სასამართლოების მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ 5-წლიანი გამოცდილება აქვთ, ირჩევს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო თავისი რეგლამენტით დადგენილი წესით.“

¹⁰ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2015 წლის 19 ოქტომბრის #1/167 გადაწყვეტილებით, საბჭოს რეგლამენტს დაემატა 14³-ე მუხლი, რომლის მე-5 პუნქტის თანახმად, „...თუ კენჭისყრის შედეგად ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა, ტარდება ხელახალი კენჭისყრა საუკეთესო შედეგის მქონე ორ კანდიდატს შორის. თუ პირველის შემდგომი უკეთესი შედეგის მქონე კანდიდატებს ხმათა თანაბარი რაოდენობა აქვთ მიღებული, ხელახალ კენჭისყრაში მონაწილეობს ყველა მათგანი.“

გაბრიჩიძე; ვახტანგ თორდიაშ – ვასილ მშვენიერაძე.

კენჭისყრის შედეგად, პირველ ვაკანსიაზე 10 ხმა მიიღო არამოსამართლე წევრის, ვახტანგ თორდიას მიერ დასახელებულმა კანდიდატმა ვასილ მშვენიერაძემ, ხოლო 3 ხმა მიიღო მზია თოდუაშ. მეორე ვაკანსიაზე მეორე ტურში გავიდნენ მზია თოდუა და სერგო მეთოფიშვილი. საბჭოს არამოსამართლე წევრმა, ვახტანგ მჭედლიშვილმა საბჭოს სხვა წევრებს კონსულტაციების გავლა შესთავაზა, თუმცა, მოსამართლე წევრებმა (ლევან მურუსიძემ და შოთა გენაძემ) განაცხადეს, რომ არ შეიცვლიან პოზიციას და მხარს დაუჭერენ სერგო მეთოფიშვილის კანდიდატურას. ლევან მურუსიძემ აღნიშნა, რომ სერგო მეთოფიშვილის კანდიდატურა იქნებოდა საუკეთესო რადგან მან დიდი ხნის მანძილზე იმუშავა პროკურატურაში და კარგად იცნობდა პროკურატურის სისტემას. შესაბამისად, მოითხოვა საკითხის კენჭისყრაზე დაყენება. პასუხად, ვახტანგ მჭედლიშვილმა მოსამართლე წევრებს მიმართა, რომ თუ სერგო მეთოფიშვილის კანდიდატურა საუკეთესო იყო, მისთვის პირველ კენჭისყრაზე უნდა დაეჭირათ მხარი.

გაიმართა მეორე ტური, რომლის შედეგად სერგო მეთოფიშვილმა 9 ხმა მიიღო, ხოლო მზია თოდუაშ – 4. ვერც მეორე ტურში გამოვლინდა გამარჯვებული, ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მოაგროვა საბჭოს წევრთა ხმების 2/3. ამის შემდეგ ვახტანგ მჭედლიშვილმა განაცხადა, რომ რადგან კანდიდატებმა ვერც მეორე ტურში დააგროვეს ხმათა საჭირო რაოდენობა, ამ კანდიდატებს – მზია თოდუას და სერგო მეთოფიშვილს – აღარ უნდა ეყაროთ კენჭი. მოსამართლე წევრები ამ აზრს არ დაეთანხმნენ და გაიმართა ცხარე კამათი. მათ შორის, არამოსამართლე წევრებმა, კახა სოფრომაძემ და ვახტანგ თორდიამ განაცხადეს, რომ თავიდან უნდა დადგეს კენჭისყრაზე ყველას, მათ შორის, მზია თოდუას და სერგო მეთოფიშვილის კანდიდატურები. საბჭოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძე და არამოსამართლე წევრი ვახტანგ მჭედლიშვილი ამ აზრს შეეწინააღმდეგნენ. ვახტანგ მჭედლიშვილმა ასევე ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ სერგო მეთოფიშვილს პირველ კენჭისყრაზე მხარი არ დაუჭირა ლევან მურუსიძემ, კერძოდ, მან მხარი დაუჭირა ვახტანგ თორდიას მიერ დასახელებულ კანდიდატურას და უთხრა, რომ ვახტანგ თორდიას მიერ დასახელებული კანდიდატურაც ლევან მურუსიძის კანდიდატურა იყო. ამის შემდეგ გამოცხადდა შესვენება. ლევან მურუსიძემ განაცხადა, რომ ჯერ მოსამართლე წევრები და შემდეგ ყველა წევრი ერთად დაილაპარაკებდნენ. საბჭოს ყველა წევრმა, გარდა საბჭოს თავმჯდომარისა, დატოვა ოთახი. მოგვიანებით, ნინო გვენეტაძე და გოჩა მამულაშვილი გაიხმეს სხდომათა დარბაზიდან.

შესვენების შემდეგ ვახტანგ მჭედლიშვილი კვლავ მოითხოვდა, ბიულეტენში არ შეეყვანათ ის კანდიდატები, რომელთაც ორი კენჭისყრის შედეგად ვერ მიიღეს ხმათა საჭირო რაოდენობა. მოსამართლე წევრები კვლავ არ დაეთანხმნენ და მოითხოვეს ყველა კანდიდატის შეყვანა ბიულეტენში. ლევან მურუსიძე ისევ იმეორებდა, რომ

პრინციპული პოზიცია აქვს სერგო მეთოფიშვილთან დაკავშირებით, რომელსაც არ შეიცვლის და ასაბუთებდა, რომ სერგო მეთოფიშვილს აქვს პროკურატურაში მუშაობის გამოცდილება. ნინო გვენეტაძემ აღნიშნა, რომ ასეთი მოთხოვნა საპროკურორო საბჭოს წევრის მიმართ არ არსებობს და პროკურატურაში მუშაობის გამოცდილება არ უნდა იყოს განმსაზღვრელი. ამის შემდეგ ლევან მურუსიძემ განაცხადა – „ჩვენ დაგთანხმდით, რომ საპროკურორო საბჭოს წევრის კანდიდატურა ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით აგვერჩია, ახლა თქვენ გადმოდგით ჩვენკენ ნაბიჯი.“ ამაზე ვახტანგ მჭედლიშვილმა უპასუხა, რომ მოსამართლე წევრების კანდიდატი საპროკურორო საბჭოში უკვე არჩეულია არამოსამართლე წევრის, ვახტანგ თორდიას მიერ დასახელებული კანდიდატის სახით. ამის შემდეგ გაიმართა კენჭისყრა და საპროკურორო საბჭოს მეორე მოსამართლე წევრად, 10 ხმით, არჩეულ იქნა სერგო მეთოფიშვილი, ხოლო დანარჩენი 3 ხმა (ნინო გვენეტაძე, ვახტანგ მჭედლიშვილი, გოჩა მამულაშვილი) მიიღო ლია ორკოლაშვილმა.

კენჭისყრის შემდეგ საბჭოში კამათი გაიმართა. გოჩა მამულაშვილმა მოსამართლე წევრებს უთხრა: „თორდია და სოფრომაძე თქვენია.“ ამის შემდეგ ვახტანგ თორდიამ დატოვა სხდომის დარბაზი, ხოლო კახა სოფრომაძემ განაცხადა: „მე არავისი არ ვარ. უბრალოდ, სირცხვილი იქნებოდა, რომ საბჭოს ვერ მიეღო გადაწყვეტილება. რა დაუშავდება საპროკურორო საბჭოს ამ ორი ადამიანის არჩევით?“

საბჭოს წარმომადგენლობითობის პრინციპის დარღვევაა ის ფაქტი, რომ საბჭოში კვლავ არ არის წარმოდგენილი ერთი არამოსამართლე წევრი, რომელიც საქართველოს პარლამენტის როგორც უმრავლესობის, ისე უმრავლესობის გარეთ დარჩენილი წევრების მონაწილეობით, ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით უნდა იყოს არჩეული. წარმომადგენლობითობის პრინციპის უზრუნველსაყოფად კანონმდებლობა ადგენს საბჭოს ხუთი არამოსამართლე წევრის არჩევას საქართველოს პარლამენტის წევრთა ხმების 2/3-ით. თუ კენჭისყრის პირველ ტურში ყველა ვაკანსია ვერ შეივსო, კენჭისყრის მომდევნო ტურებში არჩეული კანდიდატი გამოვლინდება საქართველოს პარლამენტის სრული მემადგენლობის უმრავლესობით. ამასთან, ასეთი კვორუმით არჩეულ წევრთა რაოდენობა ოთხს არ უნდა აღემატებოდეს.¹¹

საბჭოს ოთხი არამოსამართლე წევრი არჩეულია საქართველოს პარლამენტის უბრალო უმრავლესობით. ხოლო საბჭოს ერთი წევ-

¹¹ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი.

რი, რომლის არჩევისთვის პარლამენტის წევრთა ხმების კვალი-ფიციური უმრავლესობა არის საჭირო, 2013 წლიდან დღემდე არ არის არჩეული. შესაბამისად, კანონის მიზანი, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილნი იყვნენ როგორც საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის, ისე არასახელისუფლებო ოპოზიციური ძალების მონაწილეობით არჩეული წევრები, მინიმალურ დონეზეც კი არ არის უზრუნველყოფილი.

ისეთ პირობებში, როცა საბჭოს ხუთი არამოსამართლე წევრიდან ოთხი საპარლამენტო უმრავლესობის მიერ არის არჩეული, სწორედ საპარლამენტო უმრავლესობას ეკისრება პასუხისმგებლობა საბჭოს წევრის დარჩენილ ერთ ვაკანსიაზე პარლამენტის არასახელისუფლებო პოლიტიკურ ძალებთან შეუთანხმებლობისა და საბჭოს წარმომადგენლობითობის პრინციპის დარღვევის გამო.

3.2. საბჭოს რეაგირება მოსამართლეთა შეურაცხყოფისა და მათზე ზენოლის ფაქტებზე;

- მოსამართლეებზე ზენოლის ფაქტებზე საჯარო განცხადებების გავრცელების გზით რეაგირებასთან დაკავშირებით საბჭოს არ ჰქონია ერთგვაროვანი მიდგომა. მაშინ, როცა ცალკეულ შემთხვევებში საბჭომ გადაწყვიტა, მოსამართლეზე ზენოლას ამ ფორმით გამოსმაურებოდა, სხვა შემთხვევებთან დაკავშირებით საჯარო განცხადება არ გაუკეთებია და არც სხდომაზე განუხილავს რეაგირების საკითხი;
- ერთ შემთხვევაში, მოსამართლეზე შესაძლო ზენოლის ფაქტზე რეაგირების მიზნით, საბჭოს თავმჯდომარემ გადაწყვიტა, სხდომაზე მიეწვია თავად მოსამართლე. თუმცა, საბჭოს სხვა წევრებმა მიიჩნიეს, რომ არ იქნებოდა მართებული მოსამართლის მიწვევა და მასზე შესაძლო ზენოლაზე ამგვარი რეაგირება. აღნიშნულით დასტურდება, რომ საბჭოში არ არსებობს ერთიანი, შეთანხმებული აზრი იმასთან დაკავშირებით, თუ რა ღონისძიებებს შეიძლება მიმართავდეს საბჭო მოსამართლის დამოუკიდებლობისა და რეპუტაციის დასაცავად. მოსამართლეზე შესაძლო ზენოლის თუ შეურაცხყოფის ფაქტებზე რეაგირების სისტემის შესაქმნელად, საბჭოს არც შემდგომ უმსჯელია და აღ-

ნიშნული მიმართულებით მისი რეაგირება ფრაგმენტული რჩება;

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები საჯარო განცხადებების გავრცელების გზით განმარტავდნენ მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, მათ შორის, მაგალითად, მოსამართლეთა დანიშნულების თუ კონკურსის წესით დანიშვნის საკითხებთან დაკავშირებით. დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ საბჭო ან საბჭოს წევრთა ნაწილი, ცალკეულ შემთხვევებში, ცდილობდნენ, საჯარო განცხადებების მეშვეობით განემარტათ მიღებული გადაწყვეტილება. თუმცა, მართებული იქნება, თუკი საბჭო უზრუნველყოფს თავად გადაწყვეტილების დასაბუთებას და არა – უკვე მიღებული გადაწყვეტილების განმარტებას საჯარო განცხადების გავრცელებით. საჯარო განცხადებებით რეაგირება შეიძლება ემსახუროდეს სასამართლოს რეპუტაციის დაცვას და არა – საბჭოს გადაწყვეტილებების დასაბუთებას.

ევროპის საბჭოს სათათბირო ორგანოს, ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) რეკომენდაციით, „როდესაც მედია ან, მედიის გამოყენებით, პოლიტიკური ან სოციალური ფიგურები გამოწვევის წინაშე აყენებენ, ან ახორციელებენ შეტევას მოსამართლეებსა ან სასამართლოზე და, იმის გათვალისწინებით, რომ ჩაბმულმა მოსამართლემ ან სასამართლომ თავი უნდა შეიკავოს იმავე არხებით რეაქციის გამჟღავნებისგან, მართლმსაჯულების საბჭოს ან სასამართლო ორგანოს უნდა შეეძლოს და მზად იყოს, რომ სათანადო შემთხვევებში სწრაფად და ეფექტურად უპასუხოს ასეთ გამოწვევებსა და შეტევებს. მართლმსაჯულების საბჭოს უნდა ჰქონდეს უფლება, არა მხოლოდ გაავრცელოს მისი შეხედულებები საჯაროდ, არამედ აგრეთვე გადადგას ყველა აუცილებელი ნაბიჯი და საზოგადოების, პოლიტიკური ორგანოების წინაშე დაიცვას სასამართლო ინსტიტუციის ან/და მისი წევრების რეპუტაცია.“¹²

საანგარიშო პერიოდში საბჭომ, ისევე როგორც საბჭოს ცალკეულმა წევრებმა, არაერთხელ გააკეთეს საჯარო განცხადებები სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, განცხადებები შეეხებოდა როგორც მოსამართლეებზე ზენოლის შესახებ

¹² CCJE რეკომენდაცია #10(2007), მართლმსაჯულების საბჭო საზოგადოების სამსახურში, პარა. 82, 83.

გავრცელებულ ინფორმაციას, ისე სასამართლო სისტემის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს.

საანგარიშო პერიოდში იუსტიციის უმაღლესი საბჭო რამდენიმე საჯარო განცხადებით გამოეხმაურა ტელეკომპანია „რუსთავის 2“-ის დავის განმხილველი მოსამართლის მიმართ საჯაროდ გამოთქმულ სხვადასხვა შინაარსის შეფასებებს.¹³ საბჭო მოუწოდებდა მხარეებს, საზოგადოებას, სახელისუფლებო თუ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს, პატივი ეცათ სასამართლოს დამოუკიდებლობისა და პრესტიჟისთვის. აღნიშნულის პარალელურად, დაფიქსირდა არაერთი შემთხვევა, როცა ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები სხვადასხვა შინაარსის პოზიციებს აფიქსირებდნენ ამა თუ იმ მოსამართლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რასაც საბჭო ანალოგიური წესით არ გამოხმაურებია. მაგალითად, საბჭო არ გამოხმაურებია საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ აპრილში გაკეთებულ განცხადებას, რომლითაც მან რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საქმის განმხილველ მოსამართლეს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით განმარტების გაკეთება მოსთხოვა.¹⁴ პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა: „აღამიანი, რომელმაც ეს გადაწყვეტილება მიიღო, საზოგადოების წინაშე უნდა წარსდგეს და განმარტოს, თუ რატომ მიიღო დივერსიული გადაწყვეტილება.“ პრემიერ-მინისტრმა სასამართლოს ახალ თავმჯდომარეს აღნიშნული საკითხით დაინტერესებაც სთხოვა. ასევე, შვეიცარიის ელჩმა გიუნტერ ბეხლერმა ჟურნალ FINANCIAL-თან სასამართლო სისტემაში კორუფციის არსებობის შესახებ ისაუბრა.¹⁵ ელჩის თქმით, უცხოელი ინვესტორები ჩივიან, რომ სასამართლოში საქმეს აგებენ ძალიან უცნაური გარემოებებისა და მტკიცებულებების გამოყენებით. ელჩის ამ განცხადებას გამოეხმაურა საქართველოს უზენაესი

¹³ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2 ოქტომბრის საჯარო განცხადება ტელეკომპანია „რუსთავის 2“-ის დავასთან დაკავშირებით <http://hcoj.gov.ge/qaqartvelos-iustitsiis-umaghlesi-sabchos-gantskhadeba/2527> იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა საჯარო განცხადება ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის დავასთან დაკავშირებით <http://hcoj.gov.ge/qaqartvelos-iustitsiis-umarlesi-sabwos-gancxadeba/2543>

¹⁴ საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადება რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საქმის განმხილველი მოსამართლის გადაწყვეტილების შესახებ <http://www.ipress.ge/new/4199-premieri-rustavis-metalurgiulis-saqmis-mosamartles-ganmartebis-gaketebas-stkhovs>

¹⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განცხადება <http://www.interpressnews.ge/ge/samartali/325233-uzenaesi-sasamarthlo-giunter-bekhleris-ganckhadebas-ekhmaureba.html?ar=A>

სასამართლოს თავმჯდომარე.¹⁶ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს აღნიშნულთან დაკავშირებით თავისი პოზიცია ან ინფორმაცია არ გაუვრცელებია.

26 ნოემბერს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა გაავრცელეს საჯარო განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოში შვიდი მოსამართლის დანიშნულების შესახებ საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.¹⁷ აღნიშნულ განცხადებაში საბჭოს ცალკეულმა წევრებმა ფაქტობრივად წარმოადგინეს დასაბუთება მოსამართლეთა დანიშნულების შესახებ. მიგვაჩნია, რომ საკითხებზე, რომლებზეც საბჭო სხდომაზე მსჯელობს და იღებს გადაწყვეტილებას, დასაბუთება საბჭოს შესაბამის დოკუმენტში უნდა იყოს ასახული კენჭისყრის შედეგების შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში, არ იარსებებს საბჭოს ცალკეული წევრების მხრიდან საბჭოს გადაწყვეტილებებზე განმარტებების გაკეთების აუცილებლობა. განცხადებაში საბჭოს წევრებმა ასევე უპასუხეს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოთქმულ კრიტიკას დანიშნულების პროცესში გამოვლენილ ხარვეზებთან დაკავშირებით. მიუხედავად აღნიშნულისა, საბჭოს წევრები არ შეხებიან მოსამართლეთა დანიშნულების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტისას არსებულ ინტერესთა კონფლიქტს, რაზეც არასამთავრობო ორგანიზაციები აქტიურად მიუთითებდნენ როგორც საჯარო განცხადებებში, ისე საბჭოს სხდომებზე.

მიუხედავად საზოგადოების სრულიად განსხვავებული ჯგუფების ერთსულოვანი წინააღმდეგობისა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის, ლევან მურუსიძის მოსამართლედ დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, საბჭოს არამოსამართლე წევრებმა გაავრცელეს საჯარო განცხადება, რომლითაც ეცადნენ, აეხსნათ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების მოტივები.¹⁸

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიდგომა მოსამართლეთა მის-

¹⁶ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის განცხადება <http://www.supremecourt.ge/?q=%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%94%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1+%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%A9&x=0&y=0>

¹⁷ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა 26 ნოემბრის განცხადება მოსამართლეთა დანიშნულების საკითხთან დაკავშირებით <http://hcoj.gov.ge/saqartvelos-iustitsiis-umaghlesi-sabchos-tsevrt-a-gantskhadeba/2553>

¹⁸ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრების განცხადება ლევან მურუსიძის მოსამართლედ დანიშვნის გადაწყვეტილების შესახებ <http://topnews.mediamall.ge/?id=152988>

ამართით გამოთქმულ საჯარო კრიტიკაზე არ არის ერთგვაროვანი, თანაბრად არ ეხება ყველა ამგვარ შემთხვევას და არ არსებობს კანონით ან საბჭოს გადაწყვეტილებით დადგენილი წესი ან ჩამოყალიბებული ერთგვაროვანი პრაქტიკა, რომელიც განსაზღვრავდა საბჭოს რეაგირების ფორმებს, რაც, შესაძლოა, განაპირობებდეს საბჭოს არაეფექტურობას ამ მიმართულებით.

4. საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობა

4.1. საბჭოს სხდომების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება

საბჭოს სხდომების შესახებ ინფორმაციის დროულად გამოქვეყნება დაინტერესებულ პირებს ეფექტური მონიტორინგის განხორციელების საშუალებას აძლევს. მონიტორინგის განხორციელება კი, მნიშვნელოვანია მიმდინარე ხარვეზების წარმოსაჩენად, მნიშვნელოვანი ტენდენციების იდენტიფიცირებისა და შეფასებისთვის, ინსტიტუციური სისუსტეების წარმოჩენისა და საბჭოს საქმიანობის ეფექტურობის ზრდისთვის აუცილებელი რეკომენდაციების შესამუშავებლად. იუსტიციის უმაღლესი საბჭო, როგორც კოლეგიური ორგანო, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (შემდგომში ზაკ-ი) მოთხოვნის თანახმად,¹⁹ ვალდებულია, სხდომამდე ერთი კვირით ადრე გამოაქვეყნოს ინფორმაცია სხდომის ჩატარების, ადგილის, დროისა და დღის ნესრიგის თაობაზე.

საანგარიშო პერიოდში, რომელიც 2015 წელს მოიცავდა, ჩატარებული 37 სხდომიდან,²⁰ 7 დღით ადრე სხდომის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ 2 შემთხვევაში გამოქვეყნდა.²¹ სამწუხაროდ, მიმდინარე საანგარიშო პერიოდის ბოლო თვეებში საბჭოში დამკვიდრდა პრაქტიკა, რომლითაც თითქმის ყველა შემთხვევაში სხდომის შესახებ ინფორმაცია სამი კალენდარული დღით²² ადრე ქვეყნდებოდა.²³ დაფიქსირდა სხდომის შესახებ ინფორმაციის

¹⁹ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 34-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები.

²⁰ რაოდენობაში არ შედის გასაუბრების სხდომების რაოდენობა.

²¹ მათგან ერთი შემთხვევა იყო დისციპლინური საქმეების განხილვის სხდომა. <http://hcoj.gov.ge/ge/2015-tslis13-ivliiss-gaimarteba-iustitsiis-umaghlesi-sabchos-morigi-skhdoma/2473>; წვდომის თარიღი: 09.02.2016.

²² ორშაბათი დღის სხდომის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდებოდა პარასკევ საღამოს.

²³ იმავე ვადაში, დაინტერესებულ პირებს საბჭოს თანამშრომელი ელექტრონული ფოსტის საშუალებითაც აცობინებდა სხდომის შესახებ.

ნინა დღით გამოქვეყნების შემთხვევებიც. რამდენჯერმე ადგილი ჰქონდა სხდომის დროის ცვლილებას, რის შესახებაც ცნობილი გახდა ნინა დღეს ან ორი დღით ადრე.²⁴ სხდომის დროის ცვლილების მიზეზი არ გასაჯაროებულა.

ნინა საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც მიღებული იყო გადაწყვეტილება, თუმცა, გადაწყვეტილების თარიღში სხდომის ჩატარების შესახებ ინფორმაცია არ იყო მითითებული. აღნიშნული იძლეოდა მყარ საფუძველს ვარაუდისთვის, რომ სხდომა ჩატარდა ისე, რომ მის შესახებ ინფორმაცია არც წინასწარ და არც შემდგომ არ გამოქვეყნებულა. მსგავს შემთხვევებს მიმდინარე საანგარიშო პერიოდშიც ჰქონდა²⁵ ადგილი. მსგავსი გადაწყვეტილებები, ზოგიერთ შემთხვევაში,²⁶ მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნის მიზნით ჩატარებული გასაუბრებების დღეებს ემთხვევა, სხვა შემთხვევაში კი – მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური საქმეების განხილვის მიზნით გამართული დახურული სხდომის თარიღებს.²⁷

არსებული მონაცემები ადასტურებს, რომ სხდომების შესახებ ინფორმაციის წინასწარ გამოქვეყნების კუთხით საბჭოს საქმიანობაში ხარვეზები არსებობს. საბჭო, ფაქტობრივად ყველა შემთხვევაში, უგულვებელყოფს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ მოთხოვნას სხდომის შესახებ ინფორმაციის 7 დღით ადრე გამოქვეყნების შესახებ. საბჭომ განუხრელად უნდა დაიცვას კანონის მოთხოვნები და დადგენილ ვადაში გამოაქვეყნოს ინფორმაცია საბჭოს სხდომების თაობაზე. საბჭოს მიერ დადგენილი პრაქტიკა, სხდომის შესახებ ინფორმაციის სამი კალენდარული დღით ადრე გამოქვეყნების თაობაზე, ვერ პასუხობს გამჭვირვალობის სათანადო სტანდარტებს და არ აძლევს დაინტერესებულ პირებს ეფექტური კონტროლის განხორციელების საშუალებას. მონიტორინგის ჯგუფის შეფასებით, მიმდინარე საანგარიშო პერიოდში საბჭომ ყველა იმ შემთხვევაში დაარღვია კანონი, როდესაც კანონითვე დადგენილ ვადაში საჯაროდ არ გამოაქვეყნა სხდომის შესახებ ინფორმაცია. კანონით დადგე-

²⁴ <http://hcoj.gov.ge/ge/press/news?year=2015&month=8&day=6>

<http://hcoj.gov.ge/ge/shetkobineba/2408>

<http://hcoj.gov.ge/ge/shetkobineba/2409>

წვდომის თარიღი: 25.02.2016

²⁵ ასეთი სხდომებია: 2015 წლის 12, 27 იანვრის და 1 მაისის სხდომები.

²⁶ ასეთი სხდომებია: 2015 წლის 7, 15 დეკემბრის და 11, 21 მაისის სხდომები.

²⁷ 2015 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება.

ნილი ვადის დაუცველობა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, გადაუდებელი აუცილებლობის დროს არის შესაძლებელი.²⁸ მსგავსი გადაუდებელი აუცილებლობა არც ერთ შემთხვევაში არ არსებობდა.

4.2. დღის წესრიგი და დამატებითი პროექტები/ დოკუმენტები

საბჭოს სხდომების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებაზე საუბრისას, აუცილებელია სხდომების დღის წესრიგის გამოქვეყნების საკითხის განხილვა. სხდომის შესახებ ინფორმაციასთან ერთად, მუდმივად ხდებოდა დღის წესრიგის გამოქვეყნებაც, თუმცა, მასში მოცემული საკითხების ფორმულირება არ იძლეოდა ამომწურავ ინფორმაციას სხდომაზე განსახილველი საკითხების შესახებ. მაგალითად: 2015 წლის 19 ოქტომბრის სხდომის დღის წესრიგში ერთ-ერთი საკითხად მითითებული იყო „ინფორმაცია ქუთაისის საქალაქო და გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოების თაობაზე“. გარდა ამისა, ხშირად დღის წესრიგის საკითხად წარმოდგენილი იყო ამა თუ პირის ან სასამართლოს თავმჯდომარის წერილის განხილვა. დაინტერესებული ადამიანისთვის ამგვარი ზოგადი სათაურებით ფაქტობრივად შეუძლებელია საკითხის შინაარსის ანდა იმის გარკვევა, თუ რის განხილვას გეგმავს საბჭო.

აქვე აღსანიშნავია საბჭოზე განსახილველ საკითხებზე კანონპროექტების, სამოქმედო გეგმების, კონცეფციების თუ სხვა დოკუმენტების წინასწარ ხელმისაწვდომობის საკითხი. დაინტერესებულმა პირებმა მხოლოდ ორ შემთხვევაში შეძლეს, ვებ-გვერდის საშუალებით მოეპოვებინათ სხდომაზე განსახილველი/განხილული დოკუმენტები. ერთ შემთხვევაში, წინასწარ გამოქვეყნდა კანონპროექტი „მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესში“ შესატანი ცვლილების შესახებ.²⁹ მეორე შემთხვევაში კი, როდესაც საკითხი ეხებოდა ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2016 წლის სამოქმედო გეგმას,³⁰ ეს უკანასკნელი ვებ-გვერდზე სხდომის

²⁸ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 34-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები.

²⁹ იხ. <http://hcoj.gov.ge/ge/saqartvelos-iustitsiis-umaghlesi-sabchos-aramosamartle-tsevrish-vakhtang-mchedlishvilis-mier-shemushavebuli-proeqti-/2572> წვდომის თარიღი: 09.02.2016.

³⁰ <http://hcoj.gov.ge/ge/saqartvelos-iustitsiis-umaghlesi-sabchos-mier->

შემდგომ აიტვირთა, მიუხედავად იმისა, რომ სხდომაზე წევრებს პროექტი უკვე დარიგებული ჰქონდათ.

ზაკ-ის 32-ე მუხლის თანახმად, საჯარო დანესებულება ვალდებუ-
ლია, ღიად და საჯაროდ წარმართოს თავისი სხდომები. ღიაობის
და საჯაროობის პრინციპი კი, თავის თავში მოიცავს როგორც
დაინტერესებული პირის უფლებას – მაქსიმალური სიზუსტით
იცოდეს, რას შეეხება საკითხი, არამედ იმასაც, რომ მისთვის ხელ-
მისაწვდომი იყოს საბჭოზე განსახილველად გამოტანილი კანონ-
პროექტები, კონცეფციები და სხვა სახის საჯარო დოკუმენტები.
სწორედ ამ მიზნებისთვის, ღიაობის და საჯაროობის პრინციპის
უზრუნველსაყოფად, საბჭოს სხდომების დღის წესრიგის პროე-
ქტი შექმნის და გვარად დეტალური უნდა იყოს, განსახილველი
კანონპროექტები, სამოქმედო გეგმები, კონცეფციები თუ სხვა
სახის დოკუმენტები კი – ხელმისაწვდომი. აღნიშნული უზრუნ-
ველყოფს საბჭოს საქმიანობის რეალურ გამჭვირვალობას და
საზოგადოების უფლების რეალიზაციას, ჰქონდეს სათანადო და
სრული ინფორმაცია ეფექტური კონტროლის განსახორციელე-
ბლად.

ზაკ-ის ინფორმაციის თავისუფლების თავი სრულად ვრცელდე-
ბა სასამართლო ხელისუფლების ორგანოებზე, მათ შორის, იუს-
ტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობაზე. კოლეგიური ორგანოს
საქმიანობის ღიაობა და საჯაროობის პრინციპები სწორედ ამ
თავში ერთიანდება და, ვინაიდან საბჭოს არ აქვს ყველა დოკუ-
მენტის პროექტის წინასწარ გამოქვეყნების პირდაპირი ვალ-
დებულება, მან პრაქტიკით, საჯაროობის პრინციპიდან გამომ-
დინარე, უნდა უზრუნველყოს ზემოაღნიშნული ქმედებების განხ-
ორციელება. შესაძლებელია, ასევე, საბჭომ თავისი საქმიანობის
მარეგულირებელი აქტებით დაადგინოს აღნიშნული დოკუმენტ-
ების გამოქვეყნების ვალდებულება. არანაკლებ მნიშვნელოვანია,
საბჭომ ჩამოაყალიბოს ერთიანი ხედვა, ვრცელდება თუ არა ზოგ-
ადი ადმინისტრაციული კოდექსი საბჭოს საქმიანობაზე სრულად.
საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა, გარდა სხვა მნიშვნელოვანი
საკითხებისა (რაზეც მომდევნო თავებში ვისაუბრებთ),
მნიშვნელოვანია საბჭოს სხდომის მომზადების კონტექსტშიც,
ვინაიდან, თუ მიჩნეული იქნება, რომ ზაკ-ით დადგენილი მოთხ-
ოვნები სრულად ვრცელდება საბჭოს საქმიანობის ამ ნაწილზეც,

momzadda-asotsirebis-shesakheb-shetankhgebisa-da-asotsirebis-dghis-tsesrigis-gankhortsielebis-2016-tslis-samoqmedo-gegmis-proeqti/2519; წვდომის თარიღი:
09.02.2016.

მაშინ გამოდის, რომ მას პირდაპირი ვალდებულება ექნება, უზრუნველყოს ყველა თავისი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის წინასწარ გამოქვეყნება.³¹

4.3. სხდომის მომზადება

საბჭოს საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობით არ არის მონესრიგებული სხდომისათვის მოსამზადებელი სამუშაოების საკითხი. საანგარიშო პერიოდში საბჭომ არაერთხელ გადადო დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება იმ მოტივით, რომ ის საბჭოს წევრების მხრიდან უკეთ შესწავლასა და მომზადებას საჭიროებდა. იყო შემთხვევები, როდესაც სხდომა იმ მიზეზით გადაიდო, რომ შესაბამისი მასალები დროულად არ მიეწოდა საბჭოს ყველა წევრს.

მიმდინარე საანგარიშო წელი სხდომების განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩეოდა. საბჭო სხდომას თითქმის ყოველკვირა ატარებდა. შესაბამისად, საკითხების მოუმზადებლობა, შესაძლოა, ამ ფაქტორითაც იყო გამოწვეული. ასეთ პირობებში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და აუცილებელია, დარეგულირდეს სხდომისათვის მოსამზადებელი სამუშაოებისა და ვადების საკითხი, კერძოდ, განისაზღვროს, თუ რა ვადაში უნდა მიაწოდოს საბჭოს მდივანმა ყველა წევრს იმ განცხადებების და პროექტების დოკუმენტები, რომელთა განხილვაც უახლოეს სხდომაზეა დაგეგმილი. ასევე, მნიშვნელოვანია, საბჭოს წევრებს დროულად მიეწოდოთ არა მხოლოდ უახლოეს სხდომაზე დაგეგმილი საკითხების შესაბამისი დოკუმენტები, არამედ საბჭოს სახელზე შემოსული და მის კომპეტენციაში შემავალი ნებისმიერი დოკუმენტის ასლი, რათა საბჭოს წევრებს შეეძლოთ, საკუთარი შეხედულებისამებრ, ამა თუ იმ საკითხის უახლოეს სხდომაზე განხილვის მოთხოვნის დაყენება.

პრობლემურია ასევე საბჭოს დღის წესრიგის შედგენასთან დაკავშირებული საკითხები. არც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და არც საბჭოს საქმიანობის განმსაზღვრელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები არ ადგენს, თუ როგორ და რა პროცედურების დაცვით უნდა მოხდეს საბჭოს დღის წესრიგის შედგენა. საკითხის მოუნესრიგებლობა კი, საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობას ასუსტებს და დამატებით კითხვებს აჩენს მის ღიაობასთან დაკავშირებით. მიზანშეწონილი

³¹ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მუხლი 106².1.

იქნება, საბჭოს საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობით განისაზღვროს დღის წესრიგის შედგენის პროცედურები და მასზე პასუხისმგებელი პირი. შესაძლოა, სწორედ აღნიშნული საკითხის მოუწესრიგებლობით არის გამოწვეული საბჭოს სხდომაზე დღის წესრიგით გაუთვალისწინებელი საკითხის განხილვისა და მასზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევები, რასაც მიმდინარე საანგარიშო პერიოდშიც ჰქონდა ადგილი. რეგლამენტი არ არეგულირებს, თუ ვინ ადგენს დღის წესრიგში დასაყენებელი საკითხების სიას, ასევე, არ განსაზღვრავს საბჭოს წევრის უფლებას – გარკვეული ვადისა და პროცედურის დაცვით ან პირდაპირ საბჭოს სხდომაზე – მოითხოვოს დღის წესრიგიდან ამა თუ იმ საკითხის ამოღება ან დამატება.

ზემოხსენებული პრობლემები მონიტორინგის წინა საანგარიშო წელსაც გამოიკვეთა, რაზეც საბჭოს წევრები ხმამაღლა საუბრობდნენ. მართალია, მიმდინარე საანგარიშო პერიოდში საბჭოს წევრების მხრიდან იმავე პრობლემებზე სიტყვიერი მითითება არ მომხდარა, თუმცა, პრაქტიკაში მათი არსებობა აჩვენებს, რომ მომავალში ხარვეზების თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია, მოხდეს აღნიშნული საკითხების დეტალური რეგულირება საბჭოს რეგლამენტით.

4.4. სხდომის ოქმები და გადაწყვეტილებების გამოქვეყნება

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობის კიდევ ერთი კომპონენტია საბჭოს სხდომის ოქმებისა და გადაწყვეტილებების საჯაროობა და ხელმისაწვდომობა, რითაც დაინტერესებულ პირებს საბჭოს საქმიანობის გაცნობის და შეფასების შესაძლებლობა ეძლევათ.

საბჭო სხდომის ოქმებს აუდიო-ვიდეო ჩანაწერის სახით აწარმოებს, ხოლო დაინტერესებულ პირებს არ აქვთ მათი გაცნობის საშუალება, ვინაიდან ოქმების განთავსება საბჭოს ვებ-გვერდზე არ ხდება. მიუხედავად იმისა, რომ საბჭომ მონიტორინგის ჯგუფს აუდიო-ვიდეო ჩანაწერი ყველა შემთხვევაში მიაწოდა, აუცილებელია, ასევე, უზრუნველყოფილი იყოს ოქმების განთავსება საბჭოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე. საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პირობებში, როდესაც საბჭოს გადაწყვეტილებები მხოლოდ სამართლებრივი საფუძვლის მითითებით შემოიფარგლება, შაბლონური სახით დგება და მასში წარმოდგენილი არ არის დასაბუთება. დაინტერესებული პირისთვის კი, ამა თუ

იმ გადაწყვეტილების დასაბუთების გაცნობის ერთდერთ გზად სხდომის ოქმი რჩება.

აქვე აღსანიშნავია, რომ სხდომის პირდაპირი ტრანსლირება ხდება საერთო სასამართლოების სისტემაში მოქმედი სპეციალური დახურული ქსელის (ინტრანეტის) მეშვეობით, რომლისადმი წვდომა აქვთ მოსამართლეებს და საბჭოს არამოსამართლე წევრებს. 2014 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილებით³² კი, აღნიშნული ქსელის საშუალებით ხორციელდება არა მხოლოდ საბჭოს სხდომების ტრანსლირება პირდაპირ ეთერში, არამედ სხდომის აუდიო-ვიდეო ჩანაწერების განთავსებაც იმგვარად, რომ მათი ჩამოტვირთვა შესაძლებელია პერსონალურ კომპიუტერში. აღნიშნული ცალსახად პოზიტიურ ცვლილებად უნდა შეფასდეს, თუმცა, მიგვაჩნია, რომ ამ უფლებით უნდა სარგებლობდნენ სხვა დაინტერესებული პირებიც, რომლებსაც ვებგვერდის საშუალებით, სულ მცირე, ჩანაწერზე მაინც ექნებათ წვდომა.

რაც შეეხება გადაწყვეტილებებს, წინა წლებთან შედარებით, მათი გამოქვეყნება მიმდინარე საანგარიშო პერიოდში შედარებით დროულად ხდებოდა.

მონიტორინგის ჯგუფს მიაჩნია, რომ საბჭოს კანონით უნდა დაეკისროს თავის ვებ-გვერდზე ვიდეო-აუდიო ჩანაწერების, სხდომის ოქმების და გადაწყვეტილებების გარკვეულ ვადებში განთავსების ვალდებულება, ვინაიდან საზოგადოებას უფლება აქვს, ხელი მიუწვდებოდეს ამ მასალებზე, საბჭომ კი, წლების განმავლობაში, ვერ უზრუნველყო პრაქტიკით მისი რეგულირება. ხოლო მანამ, სანამ აღნიშნულ საკითხს კანონი მოანესრიგებს, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ სხდომის აუდიო-ვიდეო ჩანაწერები უნდა გამოაქვეყნოს არა მხოლოდ შიდა მოხმარების ქსელში, არამედ ოფიციალურ ვებგვერდზეც. სასურველია, ასევე, განხორციელდეს პირდაპირი ტრანსლირება ვებგვერდის საშუალებით. მნიშვნელოვანია, ასევე, რომ საბჭომ, სულ მცირე, სხდომის ოქმები ვებ-გვერდზე წერილობითი ფორმით მაინც გახადოს ხელმისაწვდომი. ასეთი მიდგომა ხელს შეუწყობს საბჭოში გამჭვირვალე სისტემის დანერგვას შედარებით ნაკლები ძალისხმევითა და რესურსის გამოყენებით.

³² <http://hcoj.gov.ge/files/pdf/%20gadacyvetelebebi/gadawyvetelebebi%202014/1-13%20001.pdf>; წვდომის თარიღი: 09.02.2016.

4.4.1. პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია

საბჭოს ვებ-გვერდზე საქართველოს მთავრობის „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ დადგენილების შესაბამისად, არსებობს კუთხე, სადაც დადგენილებით განსაზღვრული ინფორმაციის განთავსება უნდა ხდებოდეს. ინფორმაციის ძირითადი ნაწილის ნახვა ვებ-გვერდზე შესაძლებელია, თუმცა, გარკვეული ინფორმაცია არ იძებნება. მაგალითად, ვებ-გვერდზე განთავსებულია მხოლოდ საბჭოს საქმიანობის 2013 წლის ანგარიში მაშინ, როცა წლიური ანგარიში ყოველწლიურად უნდა ქვეყნდებოდეს. საიტზე შესაბამის გრაფაში არ იძებნება ასევე საბჭოს მიერ შემუშავებული სტრატეგიები, კონცეფციები და სამოქმედო გეგმები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგის ჯგუფს საბჭომ, მოთხოვნის შესაბამისად, ზემოაღნიშნული დოკუმენტები მიანოდა.

4.5. დახურული სხდომები

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, სხდომის დახურვის შესახებ განცხადება ქვეყნდება 7 დღით ადრე, დღის წესრიგთან ერთად. მონიტორინგის ჯგუფი წინა ანგარიშებშიც მიუთითებდა, რომ საბჭოს მარეგულირებელი კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული სხდომის დახურვის პროცედურები, ეს კი პრაქტიკაში მუდმივად ქმნის პრობლემებს. საკითხი პირდაპირ ებმის დღის წესრიგის და სხდომის მომზადების სამუშაოების რეგულირებას. ამდენად, მიზანშეწონილია, ეს საკითხები მოწესრიგდეს საბჭოს საქმიანობის განმსაზღვრელი საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით ისე, რომ დაცული იყოს საჯაროობისა და გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტი, რაც უზრუნველყოფს სხდომაზე დასწრების მსურველთა ინტერესების დაცვას.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში მხოლოდ ერთ შემთხვევაში მოხდა კანონით დადგენილ 7 დღიან ვალაში წინასწარ დახურული სხდომის შესახებ ინფორმაციის განთავსება – საკითხი შეეხებოდა დისკვალინური სამართალწარმოების საქმეებს. ზოგიერთ შემთხვევაში კი, სხდომის დახურვის შესახებ საკითხის დაყენება საბჭოს სხდომაზევე ხდებოდა.³³

ყველა შემთხვევაში, როდესაც საბჭომ წინასწარ, დადგენილ ვა-

³³ მაგალითად, 30.11.2015 წლის საბჭოს სხდომა.

დაში არ გამოაცხადა დახურული სხდომის შესახებ ინფორმაცია, დაირღვა კანონმდებლობის მოთხოვნა. საბჭო ვალდებულია, განუხრელად დაიცვას კანონი და უზრუნველყოს საჯაროობისა და გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტი. ამ მიზნისთვის აუცილებელია, რომ დარეგულირდეს სხდომის წინასწარ დახურვის წესი და პროცედურები. საბჭომ უნდა უზრუნველყოს სხდომ-აზე დასწრების მსურველთა ინტერესების დაცვა.

4.6. საბჭოს სხდომის ფოტო-ვიდეო გადაღება და გაშუქება

მონიტორინგის ჯგუფი მეოთხე წელი მიუთითებს საბჭოს სხდომების საჯაროდ (მედიის საშუალებით) გაშუქების საკითხის პრობლემაზე, თუმცა, საბჭოს არც ერთხელ არ უმსჯელია მის მოგვარებაზე. კოლეგიური ორგანოების სხდომების საჯაროობა, რაც კანონმდებლობით არის გარანტირებული, არ ადგენს რაიმე სახის შეზღუდვებს მასმედიის წარმომადგენლებისთვის. მათ, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა დაინტერესებულ პირს, უფლება აქვთ, დაესწრონ სხდომებს და აუდიო-ვიდეო საშუალებით გადაიღონ/ჩაინერონ სხდომის მიმდინარეობა. მიუხედავად ამისა, საბჭომ განსხვავებული წესი დაადგინა და, 2014 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებით,³⁴ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს მხოლოდ სხდომის **გახსნის** ფოტოგადაღებისა და ვიდეო-აუდიო ჩანერის ნება დაერთოთ. საანგარიშო პერიოდში მედიასაშუალებები, ძირითადად, სხდომის გახსნას იღებდნენ, თუმცა, მონიტორინგის წლის დასაწყისში მათ, რამდენიმე შემთხვევაში, სხდომის მიმდინარეობის გადაღების საშუალებაც მიეცათ. მიუხედავად ამისა, მიგვაჩნია, რომ საკითხი საჭიროებს რეგულირებას. აუცილებელია, რომ რეგლამენტით განისაზღვროს სხდომის შეუფერხებლად და სრულად გადაღების შესაძლებლობა, რითაც საბჭოს რეგლამენტი შესაბამისობაში მოვა ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსთან.

საბჭოს საქმიანობის მიმართ ინტერესი დღითიდღე იზრდება არა მხოლოდ სასამართლო ხელისუფლების შიგნით, არამედ საზოგადოების სხვა ჯგუფების მხრიდანაც. შესაბამისად, გაუმართლებელია მედია საშუალებებისთვის სხდომის სრულად გადაღების შეზღუდვა, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც საბჭოს სხდომის ოქმები, რომლებიც აუდიო-ვიდეო სახით მზადდება, არ

³⁴ <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202014/22-2014.pdf>; წვდომის თარიღი: 09.02.2016.

თავსდება საბჭოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე. საბჭო ვალდებულია, საბჭოს საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობა შესაბამისობაში მოიყვანოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსთან და დაადგინოს მედიისთვის სხდომების შეუფერხებლად გადაღების უფლება.

4.7. შერჩევა/დანიშნულება/გადანიშნვის პროცესის გამჭვირვალობა

მონიტორინგის ჯგუფი აკვირდებოდა მოსამართლეთა შერჩევა/დანიშნვის პროცედურებს და, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, აფასებდა პროცესის გამჭვირვალობის ხარისხს.

მიმდინარე წელს მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსი ორჯერ გამოცხადდა. ამასთან, 2015 წლის 26 აპრილს განხორციელდა წინა საანგარიშო წელს გამოცხადებული კონკურსის შედეგად შერჩეული მოსამართლეობის კანდიდატების კენჭისყრა. შედეგად, 24 მოსამართლე შეირჩა.

პირველი შესარჩევი კონკურსი 2015 წლის 11 ივნისს გამოცხადდა.³⁵ საბჭოს ვებ-გვერდზე განთავსდა ინფორმაცია ვაკანტური ადგილების შესახებ. მოგვიანებით, ამას დაემატა ინფორმაცია კიდევ რამდენიმე ვაკანტური ადგილის შესახებ. შესაბამისად, კონკურსისთვის აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვადამაც გადაინია.³⁶ ორივე შემთხვევაში (იგულისხმება დამატებით ვაკანტურ ადგილებზე გამოცხადებული კონკურსი), კანდიდატებს საბუთების წარსადგენად ორ კვირაზე ნაკლები მიეცათ. დაინტერესებული პირებისთვის საბჭოს ვებ-გვერდის საშუალებით ხელმისაწვდომი იყო დარეგისტრირებულ კანდიდატთა სია შესაბამის ვაკანტურ ადგილებზე გაკეთებული განაცხადების მითითებით.³⁷ ასევე, განთავსდა კანდიდატთა ბიოგრაფიული მონაცემები.³⁸

³⁵ <http://hcoj.gov.ge/ge/gamotskhadda-mosamartleobis-kandidatta-shesarchevi-konkursi/2463>; წვდომის თარიღი: 09.02.2016.

³⁶ <http://hcoj.gov.ge/ge/mosamartleobis-kandidatta-shesarchevi-konkursi/2466>; წვდომის თარიღი: 09.02.2016.

<http://hcoj.gov.ge/ge/mosamartleobis-kandidatta-shesarchevi-konkursi/2466>; წვდომის თარიღი: 09.02.2016.

³⁷ <http://hcoj.gov.ge/ge/mosamartleobis-kandidatta-sia/2482>; წვდომის თარიღი: 09.02.2016.

³⁸ <http://hcoj.gov.ge/ge/informatsia-mosamartleobis-shesarchevi-konkursit-dainterebuli-pirebisatvis/2494>; წვდომის თარიღი: 09.02.2016.

2015 წლის 20 ივლისს დაინყო და რამდენიმე დღე გაგრძელდა გასაუბრებები მოსამართლეობის კანდიდატებთან. საბჭოს ვებ-გვერდზე განთავსდა ინფორმაცია ერთ-ერთი სხდომის შესახებ, სადაც ასევე აღნიშნული იყო, რომ საკითხის განხილვის შემდეგ მოხდებოდა მოსამართლეობის კანდიდატებთან გასაუბრება დახურულ რეჟიმში. აღსანიშნავია, რომ მოგვიანებით კვლავ გამოქვეყნდა გასაუბრებების შესახებ ინფორმაცია, სადაც აღარ იყო აღნიშვნა სხდომის დახურვის შესახებ. თუმცა, მთლიანი პროცესი გამჭვირვალობისა და ღიაობის განსაკუთრებით დაბალი ხარისხით ხასიათდებოდა, ვინაიდან კენჭისყრის თარიღის შესახებ ინფორმაცია საბჭოს ვებ-გვერდზე კენჭისყრის წინა დღეს, გვიან საათებში განთავსდა, რითაც დაინტერესებულ პირებს პრაქტიკულად წაერთვათ შესაძლებლობა, დასწრებოდნენ სხდომას და შეეფასებინათ პროცესი.

კოალიციამ „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ აღნიშნული ფაქტი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობისა და, ზოგადად, სასამართლო სისტემის გამჭვირვალობის კუთხით უკან გადადგმულ ნაბიჯად შეაფასა.³⁹ კონკურსის შედეგად, 2015 წლის 29 ივლისს 10 მოსამართლე დაინიშნა.

მეორე კონკურსი 2015 წლის 5 ოქტომბერს გამოცხადდა.⁴⁰ კანდიდატებს ამ შემთხვევაში საბუთების წარსადგენად 2 კვირაზე მეტი დრო მიეცათ. საბჭოს ვებ-გვერდზე განთავსდა ინფორმაცია ვაკანტური ადგილების შესახებ. მოგვიანებით, ასევე ხელმისაწვდომი გახდა დარეგისტრირებული კანდიდატთა სია შესაბამის ვაკანტურ ადგილზე გაკეთებული განაცხადების მითითებით,⁴¹ თუმცა, არ მომხდარა კანდიდატების ბიოგრაფიული მონაცემების გამოქვეყნება, რაც მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევასთან დაკავშირებით, საბჭოს მიერ დამტკიცებული წესის თანახმად, წარმოადგენს ღია საჯარო ინფორმაციას.⁴² 2015 წლის 3 დეკემბერს დაინყო მოსამართლეთა კანდიდატებთან გასაუბრება. პერიოდულად, თუმცა, არა სისტემატურად, თავსდებოდა გასაუ-

³⁹ <http://www.transparency.ge/en/node/5429>; წვდომის თარიღი: 09.02.2016.

⁴⁰ <http://hcoj.gov.ge/gamotskhadda-mosamartleobis-kandidatta-shesarchevikonkursi/2528>; წვდომის თარიღი: 09.02.2016.

⁴¹ <http://hcoj.gov.ge/ge/mosamartleobis-kandidatta-sia/2537>; წვდომის თარიღი: 09.02.2016.

⁴² „მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის №1/308 გადაწყვეტილება, მუხლი 12¹.

ბრების განრიგი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განრიგის განთავსება, როგორც წესი, ხდებოდა წინა დღეს. დაინტერესებულ პირებს არ შეჰქმნიათ პრობლემა პროცესის დაკვირვებასთან დაკავშირებით, თუმცა, მედია კვლავ შეზღუდულ ფარგლებში ახორციელებდა გადაღებას, ვინაიდან, რეგლამენტის მიხედვით, მათ მხოლოდ სხდომის გახსნის გადაღების უფლება აქვთ. კონკურსის შედეგად, 2015 წლის 25 დეკემბერს 38 მოსამართლე დაინიშნა.

აქვე აღსანიშნავია 2014 წელს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის №308 გადაწყვეტილებაში შეტანილი ცვლილება, რომლის თანახმადაც, მოსამართლეობის კანდიდატებთან გასაუბრება ტარდება საბჭოს **დახურულ სხდომაზე**. აღნიშნული ცვლილების განხორციელებამდე საბჭოში დამკვიდრებული იყო გასაუბრებების ღიად ჩატარების პრაქტიკა. სწორედ ასეთმა ფორმატმა და გასაუბრების პროცესზე რამდენიმე წლიანმა დაკვირვებამ შესაძლებლობა მისცა სამოქალაქო საზოგადოებას, დინამიკაში დაენახა ის ხარვეზები, რომლებიც საბჭოში არსებობდა და შეეთავაზებინა მათი აღმოფხვრის გზები.

იმ პირობებში, როდესაც საბჭოს, როგორც კოლეგიურ ორგანოს, და მის ინდივიდუალურ წევრებს არ აკისრიათ ვალდებულება, დაასაბუთონ მათ მიერ კანდიდატთან დაკავშირებით მიღებული არც დადებითი და არც უარყოფითი გადაწყვეტილება, კანდიდატებთან გასაუბრების პროცესის ღიაობა წარმოადგენს ერთადერთ შესაძლებლობას დაინტერესებული პირებისათვის, რომ არასრული ფორმით, მაგრამ მაინც დააკვირდნენ შერჩევა-დანაშინის პროცესს, გამოკვეთონ და გაასაჯაროონ ამ პროცესის დადებითი თუ ნაკლოვანი მხარეები და გარედან დაეხმარონ სისტემას მის გაჯანსაღებაში. ამ პროცესის დახურვით კი, სრულად შეუძლებელი ხდება გარეშე პირებისათვის იმის შეფასება, როგორ მიმდინარეობს მოსამართლეთა შერჩევის პროცესი.

სწორედ საბჭოს რეგლამენტის იმ რეგულირებაზე მითითებით, რომლითაც გასაუბრება ტარდება დახურულ სხდომაზე, საბჭომ მონიტორინგის ჯგუფს არ მიაწოდა გასაუბრების ამსახველი ვიდეომასალა და სხდომის ოქმები. გაურკვეველია, რა გახდა აღნიშნულის მიზეზი მაშინ, როდესაც სხდომები ღია იყო, მას ესწრებოდა ყველა დაინტერესებული პირი და საბჭოს მიერ გასაუბრების შესახებ გამოქვეყნებულ თითქმის ყველა განცხადებაში საუბარი იყო სხდომის დაინტერესებული პირებისთვის ღიაობის შესახებ. გარდა ამისა, საბჭომ რამდენჯერმე დააფიქსირა პოზიცია, რომ მიუხედავად რეგლამენტში არსებული მსგავსი ჩანაწერისა, მათ პრაქტიკით დაადგინეს გასაუბრების ღიაობა. აქედან

გამომდინარე, კიდევ უფრო ბუნდოვანია, თუ რა გახდა ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის რეალური მიზეზი. ყოველივე ამის გათვალისწინებით, გასაუბრების შესახებ ინფორმაციის გაუცემლობა საფუძველს მოკლებულია. მსგავსი გადაწყვეტილებები (ინფორმაციის გაცემაზე უარი) არაერთგვაროვანი მიდგომების ნათელი მაგალითია, რაც საბჭოს როგორც მყარი ინსტიტუციის განვითარებას საგრძნობლად აფერხებს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ინფორმაციის გაცემა კონკრეტული პირების გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული. არ არსებობს სისტემური მიდგომა, რაც დაინტერესებული პირებისთვის ნათელს გახდიდა, თუ რა წესებითა და ფაქტორების გათვალისწინებით იღებს საბჭო გადაწყვეტილებას ინფორმაციის გაცემის შესახებ.

გარდა ზემოაღნიშნული ორი კონკურსისა, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ორჯერ განახორციელა მოსამართლეთა გადაყვანა უკონკურსოდ. პირველად – 2015 წლის 7 აგვისტოს გადაყვანილ იქნა ექვსი მოსამართლე. მოქმედ მოსამართლეებს გადაყვანისათვის საბუთების წარსადგენად მხოლოდ ორი დღე მიეცათ. მეორედ – საბჭომ უკონკურსო წესით მოსამართლეთა დანიინაურების შესახებ გადაწყვეტილება⁴³ 2015 წლის 28 სექტემბერს მიიღო, რადროსაც შეთანხმება მოხდა სააპელაციო სასამართლოში 7 ვაკანტურ თანამდებობაზე გადაყვანასთან დაკავშირებით. უკონკურსო წესით გადანიშნვის თაობაზე განცხადების გავრცელების შემდეგ საბჭომ დანიინაურების წესები და კრიტერიუმები შეიმუშავა. პროექტი განხილვამდე განთავსდა საბჭოს ვებ-გვერდზე და წინასწარ ხელმისაწვდომი გახდა დაინტერესებული პირებისთვის.⁴⁴ ასევე, გამოქვეყნდა იმ მოსამართლეთა ვინაობა, რომლებმა ვაკანტურ ადგილებზე განაცხადი შეიტანეს.⁴⁵

გასაუბრებები წარიმართა ღია რეჟიმში. პერიოდულად ქვეყნდებოდა ასევე გასაუბრების განრიგი. მოგვიანებით კი, ვებ-გვერდზე განთავსდა დანიინაურებულ მოსამართლეთა სია.⁴⁶ მიუხედავად

⁴³ <http://hcoj.gov.ge/saqartvelos-iusticiis-umarlesi-sabwos-reglamentis-damtkicebis-sesaxeb/2526>

<http://hcoj.gov.ge/files/pdf/%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202015/156-2015%20001.pdf>; წვდომის თარიღი: 09.02.2016.

⁴⁴ <http://hcoj.gov.ge/siakhle/2530>; წვდომის თარიღი: 09.02.2016.

⁴⁵ <http://hcoj.gov.ge/informatsia-gasaubrebaze-dastsrebis-msurvel-pirtatvis/2536>; წვდომის თარიღი: 09.02.2016.

⁴⁶ <http://hcoj.gov.ge/gamoqveknda-datsinaurebul-mosamartleta-vinaoba/2549>; წვდომის თარიღი: 09.02.2016.

იმისა, რომ უშუალოდ უკონკურსო დანიშვნა პროცესის გამჭვირვალობის კუთხით მნიშვნელოვანი ხარვეზების გარეშე წარიმართა, მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანიზაციები და კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ არაერთხელ გამოეხმაურა პროცესს და მისი შინაარსობრივი მხარე მკაცრად გააკრიტიკა, რაზეც მიმდინარე ანგარიშის სხვა თავებში იქნება საუბარი.

ზემოაღნიშნული პროცესები, კერძოდ, მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნის და უკონკურსო წესით დანიშნულების პროცედურები, გამჭვირვალობის თვალსაზრისით, მთლიანობაში მაინც გარკვეული ხარვეზებით მიმდინარეობდა. ბოლო წლებში რიგი მიმართულებით დაფიქსირებული პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად, გამჭვირვალობის ზრდის ტენდენციებს 2015 წლის პირველი კონკურსის მიმდინარეობისას არსებულმა ხარვეზებმა ჩრდილი მიაყენა. მიუღებელია ასევე საბჭოს არათანმიმდევრული პრაქტიკა გასაუბრების საჯაროობასთან დაკავშირებით. გასაუბრება უნდა მიმდინარეობდეს ღია რეჟიმში, სხდომის ოქმები კი ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ პირობებში, როდესაც საბჭოს შერჩევა/დანიშვნისას გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება არ გააჩნია, დაინტერესებული პირისთვის კი, გასაუბრების მიმდინარეობაზე დაკვირვება ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს საბჭოს გადაწყვეტილების შესაფასებლად. ჩანანერის მიწოდებაზე უარი წინააღმდეგობაში მოდის საბჭოს მიერ არაერთხელ გაცხადებულ ღიაობის პოლიტიკასთან. ასევე, მნიშვნელოვანია, კანდიდატებს ჰქონდეთ გონივრული ვადა – არანაკლებ ორი კვირისა – საბუთების წარსადგენად. აღნიშნული საკითხები საჭიროებს რეგულირებას ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს საბჭოს საქმიანობის მაქსიმალური გამჭვირვალობა, რაც, თავის მხრივ, ასახვას ჰპოვებს საზოგადოების ნდობის ხარისხზე ინსტიტუტის მიმართ.

4.8. ინტერესთა კონფლიქტი

წლებია, პრობლემად რჩება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ინტერესთა კონფლიქტის საკითხი. საბჭომ ვერც პრაქტიკით და ვერც მისი საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობით ვერ შეძლო საკითხის დარეგულირება. ფაქტობრივად არ არსებობს წევრების ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების წესი. სწორედ საკითხის რეგულირების არარსებობაზე უთითებდნენ საბჭოს წევრები, როდესაც ამტკიცებდნენ, რომ კანონმდებლო-

ბა არ ითვალისწინებს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მექანიზმებს. მაშინ, როდესაც საბჭოში ეს საკითხი დაისვა, საბჭოს წევრებმა არ გაითვალისწინეს „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც, მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის თანახმად, ვრცელდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრზე, ხოლო ამავე კანონის მე-11 მუხლის თანახმად, კოლეგიური ორგანოს წევრი ვალდებულია, უარი განაცხადოს გადანყვეტილების მიღებაში მონაწილეობაზე, რომლის მიმართაც მას ქონებრივი ან სხვა პირადი ინტერესი აქვს. აღნიშნული კანონი, კრძალავს არა მხოლოდ კოლეგიურ ორგანოში ინტერესთა კონფლიქტის მქონე პირის მიერ გადანყვეტილების მიღებას, არამედ, ასევე – ასეთი პირის მონაწილეობას გადანყვეტილების მიღების პროცესში.

აღნიშნული პრობლემის წინაშე საბჭო მიმდინარე საანგარიშო პერიოდში რამდენჯერმე დადგა. საკითხის მოუწესრიგებლობამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა საბჭოს საქმიანობის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, როგორც თბილისის სააპელაციო სასამართლოში 7 მოსამართლის დაწინაურების, ისე მოსამართლეთა დანიშვნის პროცესში.

2015 წლის 16 ნოემბრის სხდომაზე, თბილისის სააპელაციო სასამართლოში ვაკანტურ ადგილებზე მოსამართლეთა კონკურსის გარეშე დაწინაურების საკითხზე მსჯელობისას საბჭოს წევრებს შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია საკითხმა, უნდა მიეღო თუ არა მონაწილეობა კენჭისყრაში საბჭოს ერთ-ერთ წევრს, რომელიც, იმავდროულად, იყო დაწინაურების მსურველ კანდიდატთა სიაში. მონიტორინგის განმარტოვებული ორგანიზაციების შეფასებით, მისი მონაწილეობა კენჭისყრაში ინტერესთა კონფლიქტის კლასიკური მაგალითი იქნებოდა. საინტერესოა საკითხზე მსჯელობისას გაცხადებული პოზიციები. თავად მოსამართლის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ის კანდიდატების გასაუბრებებს არ დასწრებია, ფიქრობდა თვითაც იღებდა მხოლოდ იმ ვაკანტურ ადგილებზე კენჭისყრისას, სადაც თავადაც ჰქონდა განცხადება შეტანილი, სხვა ვაკანსიებთან დაკავშირებით კი, ჩვეულებრივად აპირებდა მონაწილეობას. არასამთავრობო ორგანიზაციების მოთხოვნისა და საბჭოში გამართული დისკუსიის შემდეგ მოსამართლემ თვითაც იღებდა მონაწილეობა და კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო. თუმცა, ის მონაწილეობდა დაწინაურების საკითხის განხილვის პროცესში საბჭოში გამართულ მსჯელობებში (მათ შორის, იმ საკითხზე, რომელიც სახ-

ალხო დამცველის მიერ საბჭოსთვის მიწოდებულ მოსამართლეთა სიას შეეხებოდა).⁴⁷

უფრო მეტი სიმწვავეთ დადგა ინტერესთა კონფლიქტის პრობლემა მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსის მიმდინარეობის დროს. საბჭოს მდივანმა, რომელიც კონკურსში იღებდა მონაწილეობას, დიდი ხნის დისკუსიის შემდეგ თვითაც იღებდა მონაწილეობას, იმ ვაკანსიებზე კენჭისყრისას, რომლებზეც თავადაც ჰქონდა განაცხადი შეტანილი. თუმცა, შერჩევის პროცესში მას შესაძლებლობა ჰქონდა, გასცნობოდა სხვა კანდიდატების დოკუმენტებს. პერიოდულად კი, იგი სხვა კანდიდატებთან გასაუბრების პროცესშიც იღებდა მონაწილეობას. ყოველივე ზემოაღნიშნული დანარჩენ კანდიდატებს არასამართლიან და უთანასწორო პირობებში აყენებდა. მიგვაჩნია, რომ ეს შემთხვევაც წარმოადგენდა ინტერესთა კონფლიქტის მაგალითს.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას, საინტერესოა საბჭოს 2015 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება,⁴⁸ რომლის მიხედვითაც საბჭო მოსამართლის დანიშვნისას გადაწყვეტილებას იღებს ფარული კენჭისყრით, კანდიდატის დაუსწრებლად. ცვლილების საფუძველი გახდა 2015 წლის 11 ივნისის გამოცხადებული კონკურსის კენჭისყრაზე ერთ-ერთი კანდიდატის დასწრება სხდომაზე, რომელიც გარკვეული სახის განცხადებებს აკეთებდა სხდომის მიმდინარეობისას, რაც საბჭოს წევრების მხრიდან უარყოფითად შეფასდა. იმ მოტივით, რომ კანდიდატის დასწრებას მომავალში გარკვეული სახის ზეწოლის სახე არ მიეღო, საბჭომ გადაწყვიტა,⁴⁹ რომ კენჭისყრაზე კანდიდატების დაშვება აეკრძალა. აღნიშნული გადაწყვეტილების მიუხედავად, მოსამართლეობის კანდიდატი, რომელიც, იმავდროულად, საბჭოს წევრი და მდივანია, ესწრებოდა როგორც ხმის მიცემის პროცედურას, ასევე, სხვა კანდიდატების გასაუბრებებს. მას ასევე შესაძლებლობა ჰქონდა, გასცნობოდა სხვა კანდიდატების დოკუმენტებს. ამდენად, იკვეთება

⁴⁷ სახალხო დამცველმა მოსამართლეთა კანდიდატებთან გასაუბრების დაწყებამდე იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ცალკეული მოსამართლეების საქმიანობის შესახებ, 2005 წლიდან დღემდე, ერთად თავმოყრილი და შეჯამებული ინფორმაცია წარუდგინა. <http://www.ombudsman.ge/ge/news/saqartvelos-saxalxo-damcveli-exmaureba-mosamartleta-sherchevadanishvnis-process.page>

⁴⁸ <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202015/69.pdf>;
წვდომის თარიღი: 09.02.2016.

⁴⁹ <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202015/69.pdf>;
წვდომის თარიღი: 09.02.2016.

საბჭოს მხრიდან არაერთგვაროვანი მიდგომა: თუკი, ერთ შემთხვევაში, მოსამართლის დასწრება შესაძლოა აღქმული ყოფილიყო მისი მხრიდან გარკვეული სახის ზენოლად და აღნიშნულის აღსაკვეთად საბჭომ დაადგინა გარკვეული წესები, გაუგებარია, რამ განაპირობა, მეორე შემთხვევაში, მისი უგულვებლყოფა.

მიმდინარე საკითხთან დაკავშირებით, აღსანიშნავია ასევე, რომ საბჭოს არამოსამართლე წევრს⁵⁰ ჰქონდა მცდელობა, ინტერესთა კონფლიქტის პრობლემა დარეგულირებულიყო საბჭოს რეგლამენტით. 2015 წლის 21 დეკემბრის სხდომაზე მან დააყენა საკითხი მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევ კონკურსში საბჭოს იმ წევრის მონაწილეობის მიზანშეწონილობის თაობაზე, რომელიც იმავდროულად დარეგისტრირებულია, როგორც მოსამართლეობის კანდიდატი. მან ასევე წარადგინა კანონპროექტი,⁵¹ რომლის მიხედვითაც, ასეთ წევრს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება არ ექნებოდა. აღნიშნულს კენჭი უყარეს, თუმცა, საბჭოს წევრთა უმრავლესობის მხარდაჭერა ვერ მოიპოვა.⁵² საბჭოს წევრთა განმარტებით, ამ უფლების არსებობა არ იყო საბჭოს გადასაწყვეტი და აცილების საკითხი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, თავად წევრს უნდა გადაეწყვიტა.

ცალსახაა, რომ ინტერესთა კონფლიქტთან და აღნიშნული პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით არ არსებობს ერთიანი ხედვა და მიდგომა საბჭოს წევრებს შორის. აუცილებელია, საკითხი კანონით დარეგულირდეს, ვინაიდან მისი მოუწესრიგებლობა საბჭოს წევრებს აძლევს შესაძლებლობას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თავად გადაწყვიტონ და ეს გადაწყვეტილება პირად ინტერესს მოარგონ, რაც, თავის მხრივ, ჩრდილს აყენებს საბჭოსადმი ნდობას და მიღებული გადაწყვეტილებების მიუკერძოებლობას.

⁵⁰ ვახტანგ მჭედლიშვილი.

⁵¹ <http://hcoj.gov.ge/ge/saqartvelos-iustitsiis-umaghlesi-sabchos-aramosamartle-tsevrivakhtang-mchedlishvilis-mier-shemushavebuli-proeqti-/2572>; წვდომის თარიღი: 09.02.2016.

⁵² მხარი დაუჭირეს ვახტანგ მჭედლიშვილმა, ევა გოცირიძემ, ვახა სოფრომაძემ, ვახტანგ თოდრიამ და ნინო გვენეტაძემ. 2015 წლის 21 დეკემბრის სხდომა.


5. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა

საანგარიშო პერიოდში, წინა საანგარიშო პერიოდების მსგავსად, კვლავდაფიქსირდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების დასაბუთების ვალდებულების არარსებობის პრობლემა. ამ პრობლემას ძალიან ნათლად წარმოაჩენს მოსამართლეთა დანიშვნის, კონკურსის გარეშე გადაყვანის და დანიშნულების შესახებ საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. საბჭოს შესაბამისი სხდომის ოქმების და გადაწყვეტილებების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ ზემოაღნიშნულ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ხშირად ყოველგვარ დასაბუთებას მოკლებულია. საბჭოს გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის შეფასება ეფუძნება სწორედ ზემოაღნიშნულ საკითხებზე საბჭოს გადაწყვეტილებების შესწავლას.


5.1. მოსამართლეთა კონკურსის გარეშე გადაყვანა/დანიშნულება

5.1.1. ზოგადი შეფასება

2011-2015 წლების მონაცემებით, მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ, საბჭო აქტიურად იყენებდა ერთი სასამართლოდან სხვა სასამართლოში მოსამართლეების გადაყვანის კანონით გათვალისწინებულ მექანიზმებს: კონკურსის გარეშე მოსამართლის გადაყვანა, დაწინაურება და მივლინება. ამ მექანიზმების გამოყენებით, პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მოსამართლეების ფაქტობრივად ნახევრის მიმართ გამოყენებული იყო კონკურსის გარეშე გადაყვანის მექანიზმი (საშუალოდ, 230 მოსამართლიდან 115 მოსამართლის შემთხვევაში). კონკურსის გარეშე მოსამართლის გადაყვანის ღონისძიების გამოყენების მასშტაბურობის საილუსტრაციოდ გამოდგება ქვემოთ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები:



პარალელურად, მოსამართლის ერთი სასამართლოდან სხვა სასამართლოში გადაყვანის მიზნით, იუსტიციის უმაღლესი საბჭო ასევე აქტიურად იყენებდა მოსამართლის მივლინების მექანიზმს. ქვემოთ მოყვანილი მონაცემები აჩვენებს მივლინების გამოყენების სტატისტიკას 2011-2014 წლებში. 2015 წლის 1 იანვრიდან მოსამართლეთა მივლინება კანონით შეუძლებელი გახდა.⁵³



⁵³ „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი.

კონკურსის გარეშე გადაყვანის და მივლინების მექანიზმების ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გამოყენება მუდმივად იყო საზოგადოების კრიტიკის საგანი. არსებობდა ეჭვები ამ მექანიზმების მოსამართლეთა დასასჯელად ან მორჩილი მოსამართლეების წასახალისებლად გამოყენების თაობაზე. ანალოგიური ნაკლოვანებებით გამოირჩეოდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლეთა გადაყვანის მექანიზმის გამოყენება საანგარიშო პერიოდშიც.

მოსამართლეთა კონკურსის გარეშე გადაყვანის თუ მივლინების მექანიზმები არც საკანონმდებლო დონეზე ყოფილა სათანადოდ მონესრიგებული, რაც საბჭოს ანიჭებდა განუსაზღვრელ დისკრეციას მათი გამოყენებისას. მხოლოდ 2012 წლის მარტში განხორციელებული ცვლილებებით, გარკვეულწილად, შეიზღუდა საბჭოს უფლებები ამ კუთხით, მივლინების ხანგრძლივობა ერთ წლამდე შემცირდა და აუცილებელი გახდა მოსამართლის თანხმობა, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა. საბჭოს მიერ მოსამართლის მივლინების შესახებ გადანყვებილების დასაბუთების ვალდებულების საკითხი კვლავ ღიად დარჩა. საკანონმდებლო დონეზე დღემდე არ მონესრიგებულა მოსამართლეთა კონკურსის გარეშე გადაყვანის მექანიზმი.⁵⁴

ამას ემატება საბჭოს მიერ 2012-2013 წლებში დამკვიდრებული, მოსამართლეთა დანიშვნისა და შემდგომ, მათი სხვადასხვა სასამართლოში გამწესების მანკიერი პრაქტიკა. კერძოდ, საბჭოს წევრების ხმათა 2/3-ით ხორციელდებოდა, ზოგადად, კანდიდატის მოსამართლედ დანიშვნა, ხოლო შემდგომ, საბჭოს წევრების ხმათა უბრალო უმრავლესობით – ამ მოსამართლის გამწესება კონკრეტული სასამართლოს მოსამართლედ. თავის მხრივ, დაფიქსირდა შემთხვევები, როცა მოსამართლეთა დანიშვნის და გამწესების ეტაპზეც ხდებოდა მოსამართლეთა მივლინება სხვა სასამართლოში.⁵⁵

⁵⁴ უფრო მეტიც, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2015 წლის 25 მაისის სხდომაზე საბჭოს ერთ-ერთმა არამოსამართლე წევრმა გამოთქვა მოსაზრება ორგანული კანონის 37-ე მუხლის მანკიერებასთან დაკავშირებით და აღნიშნა შემდეგი: „37-ე მუხლი არის საბჭოს მიერ თავისი უუნარობის (იგულისხმება, დანიშნოს მოსამართლეები კონკურსის წესით) დაძლევის უგვანი საშუალება, რომელიც არის არასწორი... მიმაჩნია, რომ ამ მუხლს არ აქვს პერსპექტივა მომავალში.“

⁵⁵ დეტალურად აღნიშნულ საკითხზე იხ. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში, 2014, გვ. 25.

ამდენად, 2011-2015 წლებში კონკურსის გარეშე სხვადასხვა სასამართლოში გადაყვანის მექანიზმი გამოყენებული იყო 115 მოსამართლის მიმართ, რაც ძალიან მაღალი მაჩვენებელია, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ გადაყვანის მექანიზმი უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ, როგორც საგამონაკლისო მექანიზმი. ამავე პერიოდში მივლინების მექანიზმი გამოყენებული იყო 114 შემთხვევაში, მათ შორის, ხშირად ერთსა და იმავე მოსამართლის მიმართ.

ზემოაღნიშნული გარემოებები აჩენს სერიოზულ ეჭვს იმასთან დაკავშირებით, რომ, შესაძლოა, წარმოშობილი ვაკანსიების გვერდის ავლით ხდებოდეს მოქმედ მოსამართლეთა მიზნობრივი, ე.წ. სტრატეგიული გადანაწილება სხვადასხვა სასამართლოში, მოსამართლის შეუცვლელობის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპის უგულებელყოფით, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს მოსამართლის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაზე. აღნიშნულ ეჭვს განსაკუთრებით აღრმავებს ის გარემოება, რომ საბჭოს არცერთი გადაწყვეტილება მოსამართლეთა კონკურსის გარეშე გადაყვანისა თუ მივლინების შესახებ არ ყოფილა დასაბუთებული. უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოს ამგვარი მანკიერი პრაქტიკის დამკვიდრებას ხელს უწყობდა, კანონით, საბჭოს გადაწყვეტილებების დასაბუთების ვალდებულების არარსებობა, კონკურსის გარეშე მოსამართლეთა გადაყვანის და მივლინების მექანიზმების ბუნდოვანება და არასაკმარისი მოწესრიგება საკანონმდებლო დონეზე, ასევე, კანონმდებლის მიერ ამ საკითხებზე საბჭოსთვის უკონტროლო და განუსაზღვრელი დისკრეციის მინიჭება.

5.1.2. მოსამართლის კონკურსის გარეშე გადაყვანის მარეგულირებელი კანონმდებლობა

- მოსამართლის კონკურსის გარეშე სხვა სასამართლოში გადაყვანის წესი, რომელიც დადგენილია „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 37-ე მუხლით, არის ბუნდოვანი, რაც საანგარიშო პერიოდში გამოყენებული იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ყოველგვარი დასაბუთების და მოსამართლის სხვა სასამართლოში საგამონაკლისო წესით გადაყვანის საჭიროების შესწავლის გარეშე. ეს კი მიუთითებს მოსამართლის შეუცვლელობის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპის დასაცავად არასაკმარისი საკანონ-

მდებლო გარანტიების არსებობაზე.⁵⁶

- საანგარიშო პერიოდში იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დაინიშნა მოსამართლეები „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 41-ე მუხლის გამოუყენებლად, ამავე კანონის 37-ე მუხლზე მითითებით.⁵⁷

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლი⁵⁸ ადგენს ზოგად წესს მოსამართლის კონკურ-

⁵⁶ მოსამართლის შეუცვლელი პრინციპი ვრცელდება მოსამართლის სხვა სასამართლოში გადაყვანის საკითხზეც: Recommendation CM/Rec(2010)12 of the Committee of Ministers to member states on judges: independence, efficiency and responsibilities, para. 52. A judge should not receive a new appointment or be moved to another judicial office without consenting to it, except in cases of disciplinary sanctions or reform of the organisation of the judicial system.

ამ შინაარსით მოსამართლის შეუცვლელი პრინციპი აღიარებულია გაეროს ძირითადი პრინციპებით, რეკომენდაცია #R(92)12, პრინციპი I(2)(a)(ii) და პრინციპი VI(1) და (2).

მოსამართლეთა შეუცვლელი პრინციპის დაცვას ეფუძნება, ასევე, ევროპის საბჭოს სათათბირო ორგანოს, ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (ECJ) დასკვნა #1(2001) sasamarTlo sistemis damoukideblobisa da mosamarTleTa Seucvlelobis standartebis Sesaxeb, პარა. 57.

⁵⁷ გაეროს ძირითადი პრინციპები, პუნქტი 13; რეკომენდაცია R(94)12: „მოსამართლეთა პროფესიულ კარიერასთან დაკავშირებული ყველა გადაწყვეტილება ობიექტურ კრიტერიუმებს უნდა ემყარებოდეს, ხოლო მოსამართლეთა შერჩევა და კარიერული წინსვლა უნდა ეფუძნებოდეს დამსახურებას, ასევე, მათ კვალიფიკაციას, კეთილსინდისიერებას, შესაძლებლობასა და ეფექტიანობას.“

ევროპის საბჭოს სათათბირო ორგანოს, ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJ) დასკვნა #1 (2001) სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისა და მოსამართლეთა შეუცვლელი სტანდარტების შესახებ, პუნქტი 57: „ორგანოები, რომლებიც წევრ სახელმწიფოებში პასუხისმგებელი არიან მოსამართლეთა დანიშვნასა და დაწინაურებაზე და ამ საკითხებზე რეკომენდაციების გაწევაზე, ვალდებული არიან, შეიმუშაონ, გამოაქვეყნონ და ამოქმედონ ობიექტური კრიტერიუმები იმის უზრუნველყოფის მიზნით, რომ მოსამართლეთა შერჩევა და კარიერული წინსვლა ემყარებოდეს დამსახურებას, კვალიფიკაციის, კეთილსინდისიერების, შესაძლებლობების/ცოდნისა და ეფექტიანობის გათვალისწინებით.“

⁵⁸ „ვაკანსის წარმოშობის შემთხვევაში, შესაძლებელია, თანამდებობაზე დანიშნული მოსამართლე, მისივე თანხმობით, კონკურსის გარეშე დაინიშნოს ქვემდგომი, შესაბამისი ან ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლედ. თუ მოსამართლე უკადოდ არ არის დანიშნული, იგი კონკურსის გარეშე ქვემდგომი, შესაბამისი ან ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლედ დაინიშნება თავისი უფლებამოსილების ვადის ფარგლებში.“ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლი.

სის გარეშე დანიშვნის შესახებ. აღნიშნული ზოგადი რეგულირება საბჭოს ანიჭებს განუსაზღვრელ და უკონტროლო დისკრეციას იმასთან დაკავშირებით, თუ რა შემთხვევებში, რა პროცედურით და რომელი მოსამართლის მიმართ გამოიყენებს მას.

ვენეციის კომისიის კომპილაციაში სასამართლოს და მოსამართლეების შესახებ⁵⁹ აღნიშნულია, რომ მოსამართლის სხვა სასამართლოში გადაყვანა ან მივლინება დასაშვებია მხოლოდ კანონით დადგენილი, მკაცრად განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე, როგორებიცაა, მაგალითად, გადაყვანის სასამართლოში საქმეთა რაოდენობა, იმ სასამართლოში საქმეთა რაოდენობა, საიდანაც გადადის მოსამართლე, საქმეთა რაოდენობა რაც ანერია გადასაყვან მოსამართლეს. ისეთი ბუნდოვანი მოტივი, როგორიც არის „მართლმსაჯულების ინტერესი“, არ შეიძლება მიჩნეული იყოს იმ მკაცრ კრიტერიუმად, რაც ზემოაღნიშნულ სტანდარტში იგულისხმება. ასევე, კანონი უნდა ადგენდეს მოსამართლის გადაყვანის თუ მივლინების მაქსიმალურ ხანგრძლივობას.

აღსანიშნავია, რომ არც საანგარიშო პერიოდში და არც მონიტორინგის წინა პერიოდებში იუსტიციის უმაღლეს საბჭოს არ უმსჯელია და არ დაუსაბუთებია მოსამართლის სხვა სასამართლოში გადაყვანის საჭიროება; არ უმსჯელია სხვა სასამართლოში გადასვლის მსურველ მოსამართლეებზე ინდივიდუალურად, თუ რატომ იყო მიზანშეწონილი კონკრეტული მოსამართლის და არა – სხვა მოსამართლის გადაყვანა; არ უმსჯელია იმაზე, თუ როგორ შეიცვლებოდა ვითარება იმ სასამართლოში, საიდანაც მოხდებოდა მოსამართლის გადაყვანა. მოსამართლის სხვა სასამართლოში გადაყვანის ამგვარ, ობიექტურ გარემოებებზე დამყარებულ დასაბუთებას არც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი გადანყვეტილებები შეიცავს.⁶⁰ ამდენად, მოსამართლის სხვა სასამართლოში გადაყვანის პროცესი არის სრულიად გაუმჭვირვალი, მოსამართლის შეუცვლელობის პრინციპთან შეუსაბამო და

⁵⁹ COMPILATION OF VENICE COMMISSION OPINIONS AND REPORTS CONCERNING COURTS AND JUDGES, CDL-PI(2015)001, p.45.

⁶⁰ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2015 წლის 7 აგვისტოს #1/100, #1/101, #1/102, #1/103, #1/104, #1/105 გადაწყვეტილებები საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 37-ე მუხლის საფუძველზე მოსამართლეთა დანიშვნის შესახებ; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2015 წლის 16 ნოემბრის #1/176, #1/177, #1/178, #1/179, #1/180, #1/181, #1/182 გადაწყვეტილებები საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 37-ე მუხლის საფუძველზე მოსამართლეთა დანიშვნის შესახებ.

მოსამართლის დამოუკიდებლობისთვის საფრთხის შემცველი.

ორგანული კანონის ზემოაღნიშნული 37-ე მუხლის პარალელურად, საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 41-ე მუხლი განსაზღვრავს მოსამართლის დანიშნულების მინიმალურ წესს და ადგენს, რომ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა შეიმუშაოს მოსამართლის დანიშნულების კრიტერიუმები.⁶¹ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მოსამართლეთა დანიშნულების კრიტერიუმები დაადგინა 2015 წლის 19 ოქტომბერს,⁶² თუმცა, თბილისის სააპელაციო სასამართლოში 7 მოსამართლის დანიშნულების შესახებ საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიცავს მითითებას აღნიშნული წესის გამოყენებაზე.

საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ორი მუხლის გამოყენების საკითხი აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს შორის. მაგალითად, არ არსებობს ერთიანი აზრი და, შესაბამისად, ერთგვაროვანი მიდგომა იმასთან დაკავშირებით, თუ რითი განსხვავდება ერთმანეთისგან: ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოდან მოსამართლის ზემდგომ ინსტანციაში გადაყვანა ორგანული კანონის 37-ე მუხლის საფუძველზე და მოსამართლის დანიშნულება ამავე კანონის 41-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველით. 2012 წელს, ორგანული კანონის 37-ე მუხლის საფუძველზე, საქალაქო/რაიონული სასამართლოებიდან თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გადაყვანილ იქნა 15 მოსამართლე; 2013 წელს – 2 მოსამართლე; ხოლო 2015 წელს – პირველი ინსტანციის სასამართლოდან თბილისის სააპელაციო სასამართლოში გადაყვანილ იქნა 7 მოსამართლე. მიუხედავად აღნიშნულისა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, „2011-2015 წლებში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 41-ე მუხლი, რომელიც დანიშნულების წესს განსაზღვრავს, გამოყენებული არ ყოფილა.“⁶³ ამდენად, დასტურდება, რომ იმ შემთხვევებშიც კი, როცა მოსამარ-

⁶¹ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 41-ე მუხლის პირველი პუნქტი: „რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე შეიძლება დაინიშნოს სააპელაციო სასამართლოში, თუ იგი რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებდა 2 წელი მაინც. მოსამართლის დანიშნულების კრიტერიუმებს შეიმუშავებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.“

⁶² იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ საბჭოს 2015 წლის 19 ოქტომბრის #1/166 გადაწყვეტილება.

⁶³ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2015 წლის 30 ნოემბრის #1622/2504-03-ო წერილი.

თლის სხვა სასამართლოში გადაყვანა, თავისი შინაარსით, წარმოადგენს მის დანიშნულებას, იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ იყენებს მოსამართლის დანიშნულების კანონით დადგენილ წესს და შემოიფარგლება ორგანული კანონის 37-ე მუხლით.

აქვე აღსანიშნავია, რომ ორგანული კანონის 37-ე მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2015 წლის 19 ოქტომბერს ცვლილება შეიტანა საბჭოს რეგლამენტში, რომლის მე-13¹ მუხლის მე-3 პუნქტით დადგინდა, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის გამოყენება ემსახურება მართლმსაჯულების დაუბრკოლებლად, შეუფერხებლად და ეფექტიანად განხორციელების ინტერესს.“ თუმცა, იმის გამო, რომ საბჭოს გადწყვეტილებები მოსამართლეთა 37-ე მუხლზე დაყრდნობით გადაყვანის შესახებ მოკლებულია ყოველგვარ დასაბუთებას, შეუძლებელია იმის შეფასება, კონკრეტულ შემთხვევებში, რაში მდგომარეობდა მართლმსაჯულების დაუბრკოლებლად, შეუფერხებლად და ეფექტიანად განხორციელების ინტერესი და შესაბამისობაშია თუ არა მოსამართლეთა გადაყვანის შესახებ საბჭოს მიერ მიღებული გადწყვეტილებები მის მიერვე დადგენილ წესთან. უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ორგანული კანონის 37-ე მუხლის გამოყენების საბჭოს მიერ დადგენილი წესი ასევე ბუნდოვანია და საჭიროებს აღნიშნული საკითხის უფრო კონკრეტულ მონესრიგებას.

2015 წლის 25 მაისის საბჭოს სხდომაზე, საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნულმა საბჭოს არამოსამართლე წევრმა ვახტანგ მჭედლიშვილმა დააყენა საკითხი ორგანული კანონის 37-ე მუხლით გათვალისწინებული საბჭოს დისკრეციის გამოყენების წესის განსაზღვრის თაობაზე. საბჭოს არამოსამართლე წევრებმა – ვახტანგ მჭედლიშვილმა და ევა გოცირიძემ გამოთქვეს მოსაზრებები მოსამართლეთა კონკურსის გარეშე გადაყვანის მექანიზმის მანკიერების შესახებ. ევა გოცირიძემ აღნიშნა: „37-ე მუხლი არის საბჭოს მიერ თავისი უუნარობის (იგულისხმება საბჭოს უუნარობა, კონკურსის წესით დანიშნოს მოსამართლეები) დაძლევის უგვანი საშუალება, რომელიც არის არასწორი. რადგან არ გვაქვს მივლინების ინსტიტუტი, შევეცადოთ, დროებით, ის გამოვიყენოთ ძალიან კორექტულად, მაგრამ, საერთოდ, მიმაჩნია, რომ ამ მუხლს არ აქვს პერსპექტივა მომავალში.“ საბჭოს მოსამართლე წევრმა ზაზა მეიშვილმა განაცხადა, რომ მივლინების ინსტიტუტის არარსებობის პირობებში საბჭოს უნდა ჰქონდეს ოპერატიულად მოქმედების შესაძლებლობა, თუმცა, პროცედურები უნდა გაინეროს. საბჭოს მოსამართლე წევრი შოთა გენაძე თბილისის საქა-

ლაქო სასამართლოში კონკურსის გარეშე გადაყვანის აუცილებლობას ხსნიდა იმით, რომ 2015 წლის სხვადასხვა დროს ექვს მოსამართლეს გასდიოდა მივლინების ვადა, ხოლო ერთ მოსამართლეს – სამოსამართლო უფლებამოსილების ვადა. შესაბამისად, მას მიაჩნდა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში მივლინებული მოსამართლეები უნდა დარჩენილიყვნენ და დანიშნულიყვნენ იმ პოზიციებზე, სადაც ამ დრომდე იყვნენ მივლინებულნი, ხოლო კონკურსი უნდა გამოცხადებულიყო, შესაბამისად, გათავისუფლებულ პოზიციებზე.

მოსამართლეთა კონკურსის წესით გადაყვანის/დანინაურების საკითხს საჯარო განცხადებით გამოეხმაურა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი აღნიშნული პროცესის ცალკეული ხარვეზები და საბჭოს არამოსამართლე წევრის მიერ გამოთქმული მძიმე ბრალდება საბჭოს მოსამართლე წევრებს შორის არსებული გარიგების შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოში კონკრეტული მოსამართლეების გადაყვანასთან დაკავშირებით⁶⁴.

5.1.3. მოსამართლეთა კონკურსის გარეშე გადაყვანის პრაქტიკა საანგარიშო პერიოდში

- საანგარიშო პერიოდში მოსამართლეთა კონკურსის გარეშე გადაყვანის მიზნებისთვის შტატების გამოყოფა მოხდა შესაბამისი საჭიროების ყოველგვარი დასაბუთების გარეშე;
- საანგარიშო პერიოდში მოსამართლეთა კონკურსის გარეშე გადაყვანის/დანინაურების შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები მიღებულ იქნა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, პროცედურების მხოლოდ ფორმალურად ჩატარების შედეგად, რაც ადასტურებს, რომ საბჭო არ იცავს თავის მიერვე დადგენილ წესრიგს. ასეთ პირობებში კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, კანონით დადგინდეს მინიმალური მოთხოვნები მოსამართლის გადაყვანისთვის/დან-

⁶⁴ საიას განცხადება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით <https://gyla.ge/ge/post/saqartvelos-akhalgazrdaiurista-asociaciis-ganckhadeba-iusticiis-umaghlesi-sabtchos-mier-mighebulgadatsyvetelebastan-dakavshirebit-17>

ინაურებისთვის და პრინციპები, რომლებსაც უნდა ეფუძნებოდეს მოსამართლის გადაყვანის/დანინაურების შესახებ საბჭოს გადაწყვეტილება – დასაბუთების ვალდებულება, სამართლიანობის, კანონიერების, საჯაროობის, გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობის, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების და სხვა პრინციპები;

- საანგარიშო პერიოდში იუსტიციის უმაღლესი საბჭო იყო სრულიად არაეფექტური საბჭოში არსებული ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების კუთხით.

საანგარიშო პერიოდში იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ორჯერ განახორციელა მოსამართლეთა გადაყვანა სხვა სასამართლოში კონკურსის გარეშე – 7 აგვისტოს და 16 ნოემბერს. სულ, აღნიშნული წესით გადაყვანილ იქნა 11 მოსამართლე.

2015 წლის 4 აგვისტოს სხდომაზე იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იმსჯელა მოსამართლეთა კონკურსის გარეშე გადაყვანის საკითხზე. გამოცხადდა გადაყვანის წესით მოსამართლეთა დანიშვნისთვის განცხადებების მიღება 4 აგვისტოდან 6 აგვისტოს ჩათვლით, ხოლო გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოში 6 მოსამართლის გადაყვანის შესახებ მიღებულ იქნა 2015 წლის 7 აგვისტოს. აღნიშნული გადაწყვეტილებით დადასტურდა, რომ საბჭო საგამონაკლისო წესით მოსამართლეთა გადაყვანას ახორციელებს არა საჭიროების არსებობის გამო და დასაბუთებულად, არამედ დაუდგენელი მოტივებით, კონკრეტული მოსამართლეების კონკრეტულ სასამართლოებში განაწილების სურვილით. ამას ადასტურებს, პირველ ყოვლისა, ის გარემოება, რომ საბჭოს მოსამართლე წევრები მოითხოვდნენ 6 შტატის დამატებას და თბილისის საქალაქო სასამართლოში კონკრეტული 6 მოსამართლის გადაყვანას, რომლებსაც დივილიზების ვადა გასდიოდათ და შესაბამის სასამართლოებში დაბრუნება მოუწევდათ. იქიდან გამომდინარე, რომ წინასწარ გახდა ცნობილი, თუ რომელი მოსამართლეების გადაყვანა სურდათ საბჭოს მოსამართლე წევრებს, ცხადი იყო, რომ, გადაყვანის მიზნით, პროცედურა განხორციელდა მხოლოდ ფორმალურად და ის მიზნად არ ისახავდა გადაყვანის მსურველი მოსამართლეების რეალურ შერჩევას.⁶⁵

⁶⁵ საბჭოს 2015 წლის 7 აგვისტოს გადაწყვეტილებით, სხვადასხვა საქალაქო/რაიონული სასამართლოდან თბილისის საქალაქო სასამართლოში გადაყვანილ იქნენ შემდეგი მოსამართლეები: ზესტაფონის რაიონული სასამართლოს

საბჭოს მდივანმა ლევან მურუსიძემ საბჭოს 2015 წლის 4 აგვისტოს სხდომაზე დააყენა საკითხი თბილისის საქალაქო სასამართლოს კოლეგიებში მოსამართლის ორ-ორი შტატის დამატების თაობაზე (სულ 6 შტატი) და ამ საშტატო ერთეულებზე 6 მოსამართლის დანიშვნის შესახებ. საკითხი შეეხებოდა ექვს მოსამართლეს, რომლებიც თბილისის საქალაქო სასამართლოში მივლინების საფუძველზე იყვნენ გადაყვანილნი და მივლინების ვადა ენურებოდათ. აღსანიშნავია, რომ ამ დროისათვის საბჭოს წევრები პარალელურად გეგმავდნენ მოსამართლის შესარჩევი კონკურსის გამოცხადებას.

საინტერესოა ის მსჯელობა, რომელიც საბჭოში ამ საკითხის ირგვლივ განვითარდა:

ლევან მურუსიძე – „37-ე მუხლი უნდა ავამოქმედოთ, ორ-ორი შტატი იქნება ძალიან ნორმალური... იყო ნათქვამი, რომ კონკურსის შემდეგ მივუბრუნდებოდით ამ საკითხს.“

ნინო გვენეტაძე – „იყო ნათქვამი, რომ თუ საჭიროება იქნებოდა, მაშინ გამოვიყენებდით 37-ე მუხლს. უახლოეს მომავალში ისევ ვაცხადებთ კონკურსს. კონკურსებს შორის პერიოდში გადაყვანის გამოყენება არ მიმაჩნია სწორად.“

შოთა გენაძე – „მე ველოდები პირობის შესრულებას, რომ როცა ეს კონკურსი დამთავრდებოდა, ავამოქმედებდით ამ მუხლს. არ დაგვაინტერესებს პირობა, თორემ, თუ არ ავამოქმედებთ, სულ კონკურსის რეჟიმში ვიქნებით.“

ნინო გვენეტაძე – „კონკურსია მოსამართლეთა დანიშვნის კანონით დადგენილი წესი. მოსამართლის გადაყვანა არის გამონაკლისი.“

ამ საკითხის ირგვლივ გამართული ზემოაღნიშნული მსჯელობა დასაბუთების გარეშე დარჩა. საბჭოს მოსამართლე წევრები, რომლებსაც ზოგიერთმა არამოსამართლე წევრმაც დაუჭირა მხარი, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მოითხოვდნენ თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლის 6 შტატის დამატებასა და ამ შტატების შევსებას კონკურსის გარეშე გადაყვანის გზით. მაგალითად, არამოსამართლე წევრმა კახა სოფრომაძემ განაცხადა, რომ ის მხარს უჭერს შტატების დამატებას და კონკურსის გარეშე მოსამართლეების გადაყვანას, რათა „სტატუს ქვო აღვადგინოთ, რაც იყო შარშან ზაფხულში.“ შესაბამისად, საგამონაკლისო წესით მოსამართლეების დანიშვნის მიზნით შტატების დამატების საჭიროება არ დასაბუთებულა. აღსანიშნავია, რომ საბჭოზე, როგორც მოსამართლე, ისე ცალკეული არამო-

მაგისტრატი მოსამართლე **ნინო ზუაჩიძე**, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე **ეკატერინე ჯინჭველაშვილი**, ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მოსამართლე **ანა ჩოგოვაძე**, გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე **ტარიელ ტაბატაძე**, გურჯაანის რაიონული სასამართლოს მოსამართლე **ვახტანგ მრელაშვილი**, თელავის რაიონული სასამართლოს მოსამართლე **გოგიტა თოთოსაშვილი**.

სამართლე წევრების მხრიდან იმ მოსაზრების დაფიქსირება, რომ მათ აღნიშნული 6 შტატის დამატება და ამ შტატებზე მოსამართლეების კონკურსის გარეშე გადაყვანის გამოყენება სურდათ იმ კონკრეტული 6 მოსამართლის დასანიშნად, რომლებსაც მივლინების ვადები გასდიოდათ, ასევე, გადაყვანის მსურველი მოსამართლეების განაცხადების მისაღებად გამოყოფილი ძალიან მცირე პერიოდი ადასტურებს, რომ ადგილი ჰქონდა საბჭოს მიერ 2015 წლის 10 ივნისს დამტკიცებული წესით დადგენილი პროცედურის მხოლოდ ფორმალურ გამოყენებას. ცხადი იყო, რომ საბჭო არ აპირებდა გადაყვანის მსურველი მოსამართლეების მიერ საბჭოში შეტანილი განაცხადების რეალურ განხილვას.

მოსამართლეთა კონკურსის გარეშე გადაყვანის აღნიშნულ პროცესს შეენიანალმდგა საბჭოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძე, რომელმაც 2015 წლის 7 აგვისტოს სხდომაზე განაცხადა შემდეგი: „დავაფიქსირებ ხმამაღლა, რომ არსებითი დარღვევით ტარდება დღევანდელი დანიშვნა. არ არის შესწავლილი არცერთი კანდიდატი, არ არის მოსმენილი მათი მოტივაცია. ახლა პასუხად დამიბრუნებთ, რომ გაქვთ მათი განცხადებები, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. მთავარია, დავაფიქსირო პოზიცია, რომ არცერთი პროცედურა არ არის დაცული. მეორე კონკურსი ერთი თვის განმავლობაში არის მოსალოდნელი. კონკურსი არის ის პირველი და სავალდებულო საკანონმდებლო დათქმა, რაც ვაკანსიების შევსებას ემსახურება... ეს არის მიზანმიმართული პროცესი იმ მოსამართლეების დასანიშნად, რომლებსაც იმედები გაუცრუვდათ მივლინებიდან უკან დაბრუნების ფონზე...“

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ თბილისის სააპელაციო სასამართლოში მოსამართლეთა კონკურსის გარეშე გადაყვანის შესახებ პროცედურის დაწყება მეორედ გამოაცხადა 28 სექტემბრის სხდომაზე. გადანყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლოს 7 ვაკანტურ პოზიციაზე მოსამართლეთა კონკურსის გარეშე დაწინაურების შესახებ მიღებულ იქნა 16 ნოემბრის სხდომაზე. საბჭოს აღნიშნული გადანყვეტილებებიც მოკლებული იყო ყოველგვარ დასაბუთებას და გააჩინა სერიოზული ეჭვები საგამონაკლისო მექანიზმის გამოყენების რეალურ მიზნებთან დაკავშირებით. საბჭოს აღნიშნული გადანყვეტილება უარყოფითად შეაფასა საქართველოს სახალხო დამცველმაც.⁶⁶

⁶⁶ კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებას ეხმიანება <https://gyla.ge/ge/post/koalicia-damoukidebeli-da-gamtchivirvale-martlmsajulebistvis-ekhmianeba-iusticiis-umaghlesi-sabtchos-mier-tbilisis-saapelacio-sasamartloshi-mosamartleta-danishvnas-64>

საბჭოს 2015 წლის 28 სექტემბრის სხდომაზე მოსამართლე წევრებმა დასვეს საკითხი მოსამართლის 68 ვაკანსიიდან თბილისის სააპელაციო სასამართლოში არსებული 10 ვაკანსიის გადაყვანის წესით შევსების თაობაზე, ხოლო დარჩენილ ვაკანსიებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ. მოსამართლეთა კონკურსის გარეშე გადაყვანის/დანიშნულების პროცესში დაფიქსირდა შემდეგი ხარვეზები:

- საბჭომ არ დაასაბუთა, თუ რატომ მოხდა არსებული ვაკანსიების ხელოვნურად დაყოფა – 10 ვაკანსიის გამოყოფა კონკურსის გარეშე დანიშვნებისთვის, ხოლო 58 ვაკანსიაზე კონკურსის გამოცხადება. საბოლოო ჯამში, საბჭოს წევრები შეთანხმდნენ უკონკურსოდ დანიშვნებისთვის ათის ნაცვლად შვიდი ვაკანსიის გამოყენებაზე. ვაკანსიების ამგვარ ხელოვნურ დაყოფას არც ნორმატიული საფუძველი გააჩნია;
- სხდომაზე რამდენიმე არამოსამართლე წევრმა ლიად განაცხადა, რომ მოსამართლე წევრებს უკვე ჰქონდათ კონკრეტული პირების სია, ვისაც ისინი დანიშნავდნენ 37-ე მუხლის გამოყენებით;
- კონკურსის გარეშე მოსამართლეთა დანიშნულების პროცედურა დაიწყო 28 სექტემბერს, მაშინ, როცა საბჭოს ჯერ კიდევ არ ჰქონდა დადგენილი დანიშნულების კრიტერიუმები, როგორც ამას ორგანული კანონი მოითხოვს. მხოლოდ 19 ოქტომბრის სხდომაზე, მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა დანიშნულების მსურველი მოსამართლეების განცხადებები, საბჭომ, სამოქალაქო საზოგადოების არაერთგზის მოთხოვნის საფუძველზე,⁶⁷ იმსჯელა და ფორსირებულ რეჟიმში მიიღო მოსამართლეთა დანიშნულების წესი და კრიტერიუმები. პარალელურად, საბჭომ გააგრძელა დანიშნულების მსურველი მოსამართლეების განცხადებების მიღების ვადა, თუმცა ფაქტია, დანიშნულების პროცესი დაიწყო ისე, რომ შესაბამისი წესიც კი არ

⁶⁷ არასამთავრობო ორგანიზაციები უნდობლობას უცხადებენ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მიმდინარე მოსამართლეთა დანიშნულების პროცესს: <https://gyla.ge/ge/post/arasamtavrobo-organizaciebi-undoblobas-uckhadeben-iusticiis-umaghles-sabtchoshimimdinare-mosamartleta-datsinaurebis-process-18>; საიას განცხადება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით: <https://gyla.ge/ge/post/saqartvelos-akhalgazrda-iurista-asociacii-ganckhadeba-iusticiis-umaghlesi-sabtchos-mier-mighebul-gadatsyvetilebastan-dakavshirebit-17>

ყოფილა შემუშავებული. ამან კიდევ უფრო გააღრმავა ეჭვები იმის შესახებ, რომ კრიტიკერიუმების დადგენა მხოლოდ ფორმალობა იყო და საბჭო არ აპირებდა ამ კრიტიკერიუმებით ხელმძღვანელობას, არამედ ის მართლაც წინასწარ იყო შეთანხმებული დასაწინაურებელი მოსამართლეების სიასთან დაკავშირებით;

- თბილისის სააპელაციო სასამართლოში 7 ვაკანსიის კონკურსის გარეშე შევსების გადაწყვეტილების მიღებისას, მის მხარდამჭერებს არ გაუმყარებიათ საკუთარი პოზიცია კონკრეტულ სასამართლოებში არსებული ვითარებისა და მათი საქიროებების კვლევით, ან რაიმე ემპირიულ მასალასა თუ ობიექტურ მონაცემებზე მითითებით;
- კითხვები გააჩინა საბჭოს რამდენიმე არამოსამართლე წევრის მიერ მოსამართლეთა კონკურსის გარეშე დანიშვნის საკითხის მხარდაჭერამ მაშინ, როცა იმავე სხდომაზე, რამდენიმე წუთით ადრე, მათ მხარი დაუჭირეს აღნიშნული ვაკანსიების კონკურსის წესით შევსებას (თუმცა, გადაწყვეტილება კონკურსის გამოცხადების თაობაზე ვერ იქნა მიღებული ხმების არასაკმარისი რაოდენობის გამო);
- გაუგებარი დარჩა მოსამართლე წევრების მიერ მოყვანილი არგუმენტები იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლოში არსებული გადატვირთულობისა და საქმეების სიმრავლის გამო, სააპელაციო სასამართლო სასწრაფოდ უნდა შეივსოს საქალაქო სასამართლოდან გადმოყვანილი (დანიშნაურებული) მოსამართლეებით. მათი განმარტებით, კონკურსის გამოცხადება აღნიშნულ ვაკანსიებზე საქიროებდა გარკვეულ დროს, რაც სააპელაციო სასამართლოში არსებულ პრობლემას სწრაფად ვერ მოაგვარებდა. გარდა ამისა, საბჭომ სულ ცოტა ხნის ადრე კონკურსით დანიშნა ახალი მოსამართლეები როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლოში, რაც სასამართლო სისტემაში მოსამართლეთა სიმცირით გამოწვეული პრობლემის აღმოფხვრას ისახავდა მიზნად. შესაბამისად, გაუგებარი დარჩა, როგორ აღმოფხვრის საერთო სასამართლოებში მოსამართლეთა ნაკლებობის პრობლემას ერთი ინსტანციის სასამართლოდან მოსამართლეთა სხვა ინსტანციის სასამართლოში დანიშნაურება და რატომ იყო აღნიშნული პრობლემის მოგვარება

პრიორიტეტული თბილისის სააპელაციო სასამართლოს შემთხვევაში.

- დღის წესრიგში კვლავ დადგა ინტერესთა კონფლიქტის საკითხი. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე ნეერი შოთა გენაძე, იმავდროულად, იყო დანინაურების კანდიდატი. არასამთავრობო ორგანიზაციების არაერთი მოთხოვნისა და საბჭოში გამართული მსჯელობის შემდეგ, მან თვითაცილებას მიმართა და დანინაურებებთან დაკავშირებით საბჭოში გამართულ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია. მას ასევე მონაწილეობა არ მიუღია კანდიდატებთან გასაუბრების პროცესში, თუმცა, მონაწილეობდა მოსამართლეთა დანინაურების თაობაზე საბჭოში გამართულ მსჯელობაში, როდესაც განიხილებოდა საკითხი სახალხო დამცველის მიერ გასაუბრებაში მონაწილე მოსამართლეების შესახებ საბჭოსთვის მიწოდებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ შოთა გენაძემ გადაწყვეტილების მიღების პროცესში თვითაცილებას მიმართა, რაც თავისი კეთილი ნებით ახსნა, ხოლო საბჭო სრულიად არაეფექტური აღმოჩნდა არსებული ინტერესთა კონფლიქტისთვის თავის არიდების საქმეში.

მოსამართლეთა დანინაურების პროცესის შეფასებისთვის მნიშვნელოვანი ინდიკატორია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პოზიცია, რომელიც დასაწყისიდანვე შეენიშნა აღმდეგა თბილისის სააპელაციო სასამართლოში მოსამართლეთა დანინაურებას. ჩატარებული გასაუბრებების შესახებ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომაზე აღნიშნა: „ეს გასაუბრებები, რასაც ვატარებთ, არ არის შეფასება. ჩვენ რატომ ვანინაურებთ ხალხს, ვერ გავიგე. არცერთი კანდიდატი არ საუბრობს მოტივაციაზე – რატომ აპელაცია. არცერთს არ დაუსახელებია არცერთი მნიშვნელოვანი საქმე მისი პრაქტიკიდან. ამ ყველაფერს აქვს ძალიან ფორმალური სახე. მე თავიდანვე კონკურსის მომხრე ვიყავი და ვრჩები ამ აზრზე.“ საბჭოს თავმჯდომარის ამ შეფასებას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა ლევან მურუსიძემ შემდეგი სიტყვებით უპასუხა: „დამერწმუნეთ, კონკურსით უფრო ვერ გავიგებთ, რატომ უნდათ მოსამართლეობა და მაშინ არავინ უნდა დავნიშნოთ.“ შედეგად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ უარი განაცხადა აღნიშნულ საკითხზე კენჭისყრაში მონაწილეობაზე. მას არც კანდიდატებთან გასაუბრების პროცესში მიუღია მონაწილეობა, მხოლოდ ესწრებოდა და ისმენდა გასაუბრებებს.

მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებით წარიმართა საბჭოს მიერ დანინაურების მსურველ 29 კანდიდატთან გასაუბრების პროცესი. საბჭოს რეგლამენტი 2015 წლის 10 ივნისს შეტანილი ცვლილებების თანახმად, „იუსტიციის უმაღლესი საბჭო ახდენს განცხადების განხილვას და, საჭიროების შემთხვევაში, ინვესტს მოსამართლეს გასაუბრებაზე.“ საანგარიშო პერიოდში იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჩაატარა გასაუბრებები დანინაურების მსურველ კანდიდატებთან. აღსანიშნავია, რომ ჩატარებული გასაუბრებები არ იძლეოდა საშუალებას, მომხდარიყო კანდიდატთა უპირატესობის იდენტიფიცირება. კითხვაზე, თუ რატომ სურდა დანინაურება, თითქმის ყველა კანდიდატი ერთსა და იმავეს პასუხობდა. ისინი აცხადებდნენ, რომ ძალიან დატვირთული სამუშაო განრიგი აქვთ, მიიღეს საკმარისი გამოცდილება და მიაჩნიათ, რომ იმსახურებენ დანინაურებას. ცალკეულ შემთხვევებში, კანდიდატებს უსვამდნენ პროფესიულ კითხვებს, უფრო ხშირად კი, მათ მიერ განხილული რთული თუ მნიშვნელოვანი საქმის გახსენებას სთხოვდნენ, რაც ასევე არ იძლეოდა ერთი კანდიდატის სხვებისაგან გამოჩენის საშუალებას.

მოსამართლეთა დანინაურებასთან დაკავშირებით სახალხო დამცველის მიერ 2015 წლის 30 ნოემბერს გავრცელებულ საჯარო განცხადებაში აღნიშნულია: „არ რჩება შთაბეჭდილება, რომ საბჭოს წევრების უმრავლესობა დაინტერესებულია კანდიდატების სამოსამართლო უნარებისა და შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოვლენითა და შეფასებით.“⁶⁸ 2015 წლის 13 ნოემბერს სახალხო დამცველმა გამოაქვეყნა კიდევ ერთი განცხადება,⁶⁹ რომლითაც იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მოუწოდა, მოსამართლეთა დანინაურების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას გაეთვალისწინებინა სახალხო დამცველის მონიტორინგის შედეგები, რომელშიც ასახული იყო კონკრეტულ მოსამართლეთა მიმართ სახალხო დამცველის მიერ სხვადასხვა წლებში წარდგენილი რეკომენდაციები დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების

⁶⁸ საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის 30 იანვრის განცხადება მოსამართლეთა დანინაურების შესახებ <http://ombudsman.ge/ge/news/saqartvelosaxalxo-damcveli-iusticii-umagles-sabchoshi-mimdinare-mosamartleta-dawinaurebis-process-exmaureba.page>

⁶⁹ საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის 13 ნოემბრის განცხადება მოსამართლეთა დანინაურების შესახებ <http://ombudsman.ge/ge/news/saxalxo-damcvelis-gancxadeba-mosamartleta-ukonkursod-danishvnadawinaurebis-sakitxe.page>

შესახებ და საპარლამენტო ანგარიშებში მოცემული ინფორმაცია კონკრეტულ მოსამართლეთა მიერ სამართლიანი სასამართლოს უფლების უხეში დარღვევის თაობაზე.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2015 წლის 16 ნოემბრის სხდომაზე, როგორც საქართველოს სახალხო დამცველმა, ისე დამსწრე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა საბჭოს მოუწოდეს, თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლეთა დანიშნულების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებინა სახალხო დამცველის ზემოაღნიშნული მონიტორინგის შედეგები. მიუხედავად არაერთგზის მოთხოვნისა, 2015 წლის 16 ნოემბრის სხდომაზე იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლოში 7 მოსამართლის დანიშნულების შესახებ ისე, რომ არც კი უმსჯელია საქართველოს სახალხო დამცველის მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე. სახალხო დამცველის წერილის განხილვა საბჭოს 2015 წლის 16 ნოემბრის სხდომის დღის წესრიგში მეორე საკითხად იყო გათვალისწინებული. დღის წესრიგის პირველ საკითხად გათვალისწინებული იყო „თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის გარეშე დანიშვნის მსურველ მოსამართლეთა კენჭისყრა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც ადასტურებს საბჭოს მიერ ჩატარებული გასაუბრებების ფორმალურ ხასიათს, იყო კენჭისყრის პროცესი, რომლითაც დანიშნულებულ მოსამართლეთა ვინაობა გამოვლინდა. მიუხედავად იმისა, რომ დანიშნულების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას ესაჭიროება მაღალი კვორუმი, 29 კანდიდატიდან შვიდმა მიიღო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების ხმათა 2/3 ისე, რომ არცერთ შემთხვევაში საჭირო არ გამხდარა კენჭისყრის მეორე ტურის ჩატარება. საბჭოს წევრთა ამგვარი ერთსულოვნება, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ წინა საანგარიშო პერიოდში პირველსავე ტურში მხოლოდ ძალიან გამონაკლის შემთხვევაში მოხერხდა მოსამართლეთა დასანიშნად საკმარისი ხმების მოგროვება და იმის გათვალისწინებითაც, რომ როგორც ზემოთ აღინიშნა, კანდიდატებთან გასაუბრება ფორმალურ ხასიათს ატარებდა, პირდაპირ მიანიშნებს კანდიდატების შესახებ წინასწარი შეთანხმების არსებობაზე.

ზემოთ აღწერილი პროცედურებით, საბჭოს 2015 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილებებით, სხვადასხვა სასამართლოდან თბილისის სააპელაციო სასამართლოში გადაყვანილ იქნა 7 მოსა-

მართლე, მათ შორის, ერთი – საბჭოს წევრი მოსამართლე შოთა გენაძე.⁷⁰

5.2. მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნა

„მართლმსაჯულების საბჭოს ყველა გადაწყვეტილება, რომელიც შეეხება მოსამართლეების დანიშვნას, დანიშნაურებას, შეფასებას, დისციპლინას და ნებისმიერი სხვა გადაწყვეტილება მოსამართლის კარიერის შესახებ უნდა იყოს დასაბუთებული... ყველა დაინტერესებულ პირს უნდა შეეძლოს, ჩაიხედოს გაკეთებულ არჩევანში და შეამოწმოს, რომ მართლმსაჯულების საბჭომ დანიშვნებთან და დანიშნაურებებთან მიმართებით წესები და კრიტერიუმები გამოიყენა დამსახურების საფუძველზე.“
ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE) დასკვნა № 10(2007), §92, 93
„მართლმსაჯულების საბჭო საზოგადოების სამსახურში“

მოსამართლეთა დანიშვნის ფუნქციის შესასრულებლად, საქართველოს კონსტიტუციით, შექმნილია სპეციალური კოლეგიური ორგანო – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. საბჭო ეფუძნება პროფესიულ და საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობის პრინციპს. აღნიშნული კი, თავისთავად მიანიშნებს იმაზე, რომ ქვეყანაში მოსამართლეთა დანიშვნა უნდა იყოს არაპოლიტიკური, დამსახურების პრინციპზე დამყარებული პროცესი. სწორედ ამაზე მიუთითებენ ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებიც, რომლებიც ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ მოსამართლეთა დანიშვნა და კარიერული გადაწყვეტილებები უნდა მიიღებოდეს დამსახურების მიხედვით, ემყარებოდეს ობიექტურ კრიტერიუმებს, მოსამართლეები

⁷⁰ საბჭოს 2015 წლის 16 ნოემბერს მიღებული გადაწყვეტილებებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოში გადაყვანილ იქნენ შემდეგი მოსამართლეები: თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი **შოთა გენაძე**, ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მოსამართლე **ამირან მახუნძე**, მცხეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე, საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის თავმჯდომარე **გიორგი ტყეშელაშვილი**, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე **ანა გოგიშვილი**, ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მოსამართლე **გელა ქირია**, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე **ნათია ზარზაქაძე**, სიღნაღის რაიონული სასამართლოს მოსამართლე **გიორგი მირიჭაძე**.

უნდა ინიშნებოდნენ კანონის შესაბამისად და გადაწყვეტილებები უნდა მიიღებოდეს დამოუკიდებელი ორგანოს მიერ,⁷¹ ან უნდა არსებობდეს გარანტიები, რომ ასეთი გადაწყვეტილებები მიიღება მხოლოდ აღნიშნული კრიტერიუმების საფუძველზე.⁷²

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობაზე რამდენიმე წლიანმა დაკვირვებამ ცხადყო, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციის შესრულება – მოსამართლეთა დანიშვნა – ძირეული პრობლემებით ხასიათდება, რაც განპირობებულია როგორც საკანონმდებლო ხარვეზებით, ისე საბჭოს მიერ დადგენილი მანკიერი პრაქტიკით და მმართველი ხელისუფლების მიერ თავისი წილი ვალდებულებების უგულებელყოფით. მოსამართლეთა დანიშვნის პროცესში არსებული ხარვეზების ზოგადი ჩამონათვალი შემდეგნაირად გამოიყურება:

- **იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დადგენილი მოსამართლეთა დანიშვნის წესი არასაკმარისად არეგულირებს აღნიშნულ პროცესს, რაც ვერ უზრუნველყოფს მოსამართლის დანიშვნის პროცესის ობიექტურობასა და გამჭვირვალობას;**
- **იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდან თავის მიერვე დადგენილი წესის უხეშ და სისტემატურ დარღვევას მოსამართლეთა დანიშვნასთან დაკავშირებით, შედეგად მოჰყვება მოსამართლეთა დანიშვნა გაუმჭვირვალ პროცედურით, არაობიექტური გადაწყვეტილებების საფუძველზე;**
- **საკანონმდებლო და აღმასრულებელმა ხელისუფლებებმა ვერ უზრუნველყვეს ადამიანის უფლებებზე ორი-**

⁷¹ დამოუკიდებელი ორგანოს მიერ მოსამართლეთა დანიშვნის შემთხვევებისთვის, შემუშავებულია ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) დასკვნა #10(2007) „მართლმსაჯულების საბჭო საზოგადოების სამსახურში“, რომელიც, თავის მხრივ, ადგენს მოსამართლეთა დანიშვნის შესახებ ასეთი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის სტანდარტს და დამოუკიდებელი ორგანოს საქმიანობის გამჭვირვალობის და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების აუცილებლობას.

⁷² COMPILATION OF VENICE COMMISSION OPINIONS AND REPORTS CONCERNING COURTS AND JUDGES, CDL-PI(2015)001, 5 March 2015, §2.2.1.

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE), დასკვნა #1(2001), რეკომენდაცია #R(94)12, sasamarTlo sistemis damoukideblobisa da mosamarTleTa Seucvlelobis standartebis Sesaxeb, პარა. 37.

ენტირებული, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო სისტემის შექმნის მიზნით, პოსტსაბჭოთა სასამართლო სისტემის რეალური რეფორმირება, პრობლემების მოგვარების სისტემური მიდგომების გამოყენებით;

- მოსამართლეთა დანიშვნის პროცესის არასაკმარისი საკანონმდებლო რეგულირება და ის ფაქტი, რომ მოსამართლეთა დანიშვნა მხოლოდ საბჭოს გადანიყვეტილებით არის მონესრიგებული, ვერ უზრუნველყოფს პროცესის ობიექტურობასა და გამჭვირვალობას – კანონი არ განსაზღვრავს მოსამართლის შერჩევის კრიტერიუმებს, საბჭოს ვალდებულებას, დაასაბუთოს თავისი გადანიყვეტილება მოსამართლის დანიშვნასთან დაკავშირებით. საბჭოზე არ ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება. კანონი არ ადგენს იმ ძირითად პრინციპებს, რითაც უნდა ხელმძღვანელობდეს საბჭო მოსამართლეთა შერჩევის/დანიშვნის პროცესში. აღნიშნული გარემოებები საბჭოს საქმიანობას სრულიად მოუწესრიგებელს და თვითრეგულირებაზე დამოკიდებულს ხდის.

5.2.1. მოსამართლის დანიშვნის მარეგულირებელი კანონმდებლობა და უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციები

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი ადგენს მხოლოდ მინიმალურ და ზოგად მოთხოვნებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს მოსამართლეობის კანდიდატი და, ასევე, მოსამართლის თანამდებობის დაკავების ზოგად წესს.

რაც შეეხება კონკურსის ჩატარების პირობებს და მოსამართლეთა შერჩევის კრიტერიუმებს, „საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი“ აღნიშნულს არ არეგულირებს და კონკურსის ჩატარების პირობებისა და მოსამართლეთა შერჩევის კრიტერიუმების დადგენის ფუნქციის დელეგირებას სრულად საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოზე აკეთებს. ქვემოთ განხილული იქნება საკითხი იმის შესახებ, მართებულია თუ არა იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის ესოდენ ფართო ნორმა-შემო-

ქმედებითი უფლებამოსილების დელეგირება⁷³ და რა მექანიზმები არსებობს მისი განუსაზღვრელი დისკრეციის ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ.

საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნის შესაბამისად, მოსამართლეთა დანიშვნისა და გათავისუფლების წესებს ადგენს ორგანული კანონი. თავის მხრივ, ორგანული კანონი განსაზღვრავს მოსამართლის დანიშვნის მხოლოდ ზოგად მოთხოვნებს – ის არ ადგენს მოსამართლის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ძირითად პრინციპებსაც კი, მოსამართლის შერჩევის კრიტერიუმებსა და პროცედურას. ორგანული კანონით, პარლამენტმა აღნიშნულის დელეგირება სრულად მოახდინა იუსტიციის უმაღლეს საბჭოზე. ამ უკანასკნელის ბუნებიდან (საბჭო არის პროფესიული და საზოგადოებრივ წარმომადგენლობაზე დაფუძნებული კოლექტიური ორგანო, რომელიც აღჭურვილია მოსამართლეთა დანიშვნის ფუნქციით) და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შინაარსიდან გამომდინარე (კანონი ითვალისწინებს მოსამართლეთა დანიშვნის კრიტერიუმების და პროცედურის შექმნას), ცხადია, რომ კანონმდებლის მიზანს არ წარმოადგენდა საბჭოსთვის განუსაზღვრელი დისკრეციის მინიჭება ან მისი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების უფლებით აღჭურვა.

მეორე მხრივ, ორგანული კანონი დეტალურად არეგულირებს მოსამართლის გამოსაცდელ ვადაში შეფასების პროცედურას და უვადოდ გამწესების კრიტერიუმებს. კანონმდებლის მიდგომა ამ ორი თანაბარი მნიშვნელობის მქონე საკითხისადმი რადიკალურად განსხვავებულია. თუ მოსამართლეობის კანდიდატის შერჩევისა და დანიშვნის წესის რეგულირება უნდა იყოს საბჭოს ექსკლუზიური და აბსოლუტური უფლებამოსილება, მაშინ გაუგებარია, ამ დრომდე რატომ არ გაავრცელა კანონმდებელმა იგივე მიდგომა გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლის უვადოდ გამწესების პროცედურის და კრიტერიუმების მიმართ. აღნიშნული გარემოება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სასამართლო სისტემის რეფორმა მხოლოდ ფრაგმენტულად ხორციელდებოდა.⁷⁴

⁷³ საკანონმდებლო ორგანოს მიერ ნორმა-შემოქმედებითი ფუნქციის სხვა ადმინისტრაციული ორგანოებისათვის დელეგირების მართებულობის საკითხზე აშშ-ს კანონმდებლობის მიხედვით: LEGISLATION AND REGULATION, Cases and Materials, John F. Manning, Matthew C. Stephenson.

⁷⁴ სასამართლო სისტემის რეფორმის მესამე ტალღის კანონპროექტები, რომელთა განხილვაც მიმდინარეობს საქართველოს პარლამენტში, ითვალისწინებს

პარლამენტის მიერ საბჭოსთვის მოსამართლეთა დანიშვნის წესის დადგენაში განუსაზღვრელი დისკრეციის მინიჭების მიზანშეწონილობის საკითხის განხილვისას გასათვალისწინებელია ორი მნიშვნელოვანი გარემოება: ა) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი არ ვრცელდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობაზე; ბ) „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი არ ვრცელდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ ნორმატიული შინაარსის წესებსა თუ გადანყვეტილებებზე.

ამ ფონზე, ორგანულმა კანონმა მოახდინა პარლამენტის ნორმა-შემოქმედებითი ფუნქციის დელეგირება იუსტიციის უმაღლეს საბჭოზე ისე, რომ მისთვის არ დაუდგენია ის მინიმალური სტანდარტები და პრინციპები, რასაც დემოკრატიულ, სამართლებრივ სახელმწიფოში ნებისმიერი პროცედურა უნდა ექვემდებარებოდეს: სამართლიანობის პრინციპი, კანონიერების პრინციპი, თანაზომიერების პრინციპი, არადისკრიმინაციულობა, გადანყვეტილების დასაბუთებულობა, გასაჩივრების უფლება და სხვა.

ამრიგად, იუსტიციის უმაღლესი საბჭო, ყველა სხვა სახელმწიფო ორგანოსგან განსხვავებით, არ ექვემდებარება ქვეყანაში არსებულ სამართლებრივ წესრიგს, რომელიც მას განუსაზღვრავდა სამართლებრივ სახელმწიფოში მუშაობის წესებს. ამასთან, არ არსებობს მისი გადანყვეტილების გასაჩივრების მექანიზმები და საბჭოს საქმიანობა არ ექვემდებარება სასამართლო კონტროლს. ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა №10(2007) ადგენს, რომ „მართლმსაჯულების საბჭოს დამოუკიდებლობა არ ნიშნავს, რომ იგი არის კანონს გარეთ და სასამართლო ზედამხედველობისგან დამოუკიდებელი.“⁷⁵

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის გასული წლების (2012-2014 წლები) ანგარიშებში ყურადღება გამახვილებულია ზემოაღნიშნული საკანონმდებლო და საბჭოს მიერ დადგენილი რეგულირების, მისთვის მინიჭებული განუსაზღვრელი დისკრეციის პირობებში, საბჭოს მიერ ჩატარებული მოსამართ-

მოსამართლის შერჩევა/დანიშვნის კრიტერიუმების შემოღებას და მოსამართლის უფლებას, გაასაჩივროს საბჭოს უარი თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ.

⁷⁵ ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს #10(2007) დასკვნა, მართლმსაჯულების საბჭო საზოგადოების სამსახურში, პარა. 39.

ლეთა დანიშვნის პროცესების ხარვეზებზე, რაც მიმდინარე საანგარიშო პერიოდშიც მეორდება:

- მოსამართლეობის კანდიდატის შერჩევის კრიტერიუმების და კონკურსის ჩატარების პროცედურის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის №1/308 გადაწყვეტილება ნაწილობრივ არასავალდებულო შინაარსის ნორმებს ადგენს (მაგალითად, ფსიქოლოგის მონაწილეობა), საკითხების ნაწილი კვლავ არასრულად არის მონესრიგებული და საბჭოს ისედაც ფართო დისკრეციას კიდევ უფრო განუსაზღვრელს და ბუნდოვანს ხდის;
- საბჭომ მოსამართლეთა დანიშვნის პროცესში არაერთხელ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით მანკიერ პრაქტიკას ამკვიდრებდა (ორეტაპიანი კენჭისყრა, ორეტაპიანი დანიშვნები, გასაუბრებების ჩატარების ხარვეზები, კანდიდატებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება საბჭოს წევრებს შორის შეთანხმებით და არა – ინდივიდუალურად და ა.შ.);
- მიმდინარე საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა შემთხვევა, როცა საბჭომ უშუალოდ კონკურსის მიმდინარეობის დროს სცადა ცალკეული საკითხების მონესრიგება, ნაცვლად იმისა, რომ მოსამართლეთა დანიშვნა წინასწარ დადგენილი წესებით განეხორციელებინა. 2015 წლის 5 ოქტომბერს გამოცხადებული მოსამართლეთა კონკურსის ფარგლებში, საბჭოს მიერ კანდიდატებთან გასაუბრების პროცესის დასრულების შემდეგ, კანდიდატების კენჭისყრის პროცედურის გამართვამდე, საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნულმა წევრმა საბჭოში ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მარეგულირებელი ნორმის პროექტი წარადგინა, რომელიც განხილულ იქნა საბჭოს სხდომაზე, თუმცა, საბჭოს უმრავლესობის მხარდაჭერა ვერ მოიპოვა. აღნიშნულ შემთხვევას რამდენიმე შეფასება შეიძლება მიეცეს: საბჭო დავიანებით, მიმდინარე პროცედურის ფარგლებში და არა – წინასწარ, შეეცადა, მოეწესრიგებინა დანიშვნის პროცესთან დაკავშირებული საკითხი, რაც მიუთითებს არასრულყოფილი პროცედურის არსებობასა და საბჭოს უუნარობაზე, სისტემური მიდგომით მოაწესრიგოს და ჩაატაროს მოსამართლეთა დანიშვნის პრო-

ცედურა; საბჭომ თვითნებურად გადაუხვია ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს, უგულვებელყო „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები, რაც კოლეგიურ ორგანოში ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებას ითვალისწინებს;

- უკვე წლებია, საბჭო ვერ უზრუნველყოფს კანონითა და მის მიერ დადგენილი წესებით დაურეგულირებელ საკითხებზე კარგი პრაქტიკის დამკვიდრებას. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, საბჭო ხშირად ცვლის მის მიერ გამოყენებულ მიდგომებს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით და არ ცდილობს, დაამკვიდროს ერთგვაროვანი პრაქტიკა.

პარლამენტის ნორმა-შემოქმედებითი ფუნქციის სხვა ორგანოზე დელეგირების საფუძველი არსებობს მაშინ, როცა საკითხი არის ტექნიკური და საჭიროებს სპეციალურ ცოდნას, ან კომპლექსურია, რის გამოც, არ არის მიზანშეწონილი პარლამენტის მიერ მისი დარეგულირება. სხვა შემთხვევაში, პარლამენტის ნორმა-შემოქმედებითი უფლებამოსილების დელეგირების მიზანშეწონილობა შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს – ხომ არ არის საკითხი მიზანმიმართულად დატოვებული რეგულირების გარეშე. აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ აღმასრულებელი ხელისუფლებიდან განსხვავებით, რომელიც არ არის სრულიად იზოლირებული საკანონმდებლო ხელისუფლებისგან და მის კონტროლს ექვემდებარება, იუსტიციის უმაღლესი საბჭოზე არ ვრცელდება საკანონმდებლო ან აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლი და არ არის ანგარიშვალდებული ხელისუფლების რომელიმე შტოს წინაშე. ასეთ ვითარებაში, მით უფრო გაუმართლებელია, საკანონმდებლო (რეფორმის საკანონმდებლო დონეზე მიმღები) და აღმასრულებელმა (რეფორმის ავტორი) ხელისუფლებებმა იმდენად ფართო დისკრეციით აღჭურვონ იუსტიციის უმაღლესი საბჭო, რომ ის არ ექცეოდეს სამართლებრივი წესრიგის სივრცეში.

შესაბამისად, მოსამართლეთა დანიშვნის პროცესის ობიექტურად და გამჭვირვალედ წარმართვის საქმეში, სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა შტო (საკანონმდებლო, აღმასრულებელი) და დამოუკიდებელი ორგანო – იუსტიციის უმაღლესი საბჭო თავიანთი კომპეტენციების ფარგლებში არიან პასუხისმგებელნი. მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლის შემდეგ სასამართლო სისტემის

რეფორმის მესამე ტალღა მიმდინარეობს, რეფორმის არცერთი ეტაპი არ შეხებია მოსამართლეთა დანიშვნის კრიტერიუმებისა და პროცედურის მონესრიგებას, საბჭოს საქმიანობის პრინციპების განსაზღვრას.

5.2.2. სასამართლო სისტემის რეფორმის მესამე ტალღის კანონპროექტების განხილვასთან დაკავშირებული საკითხები

2015 წლის ივლისში საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებულ იქნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული კანონპროექტების პაკეტი, რომელიც სასამართლო სისტემის რეფორმის მესამე ტალღის სახელწოდებით არის ცნობილი. სასამართლო სისტემის რეფორმის მესამე ტალღის კანონპროექტები შეიცავს რიგ დადებით ცვლილებებს, რომელთა მიღება პრინციპულად აუცილებელია სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის გზაზე (საქმეთა შემთხვევითი პრინციპით განაწილება, იუსტიციის საბჭოში ინტერესთა კონფლიქტის საკითხების მონესრიგება, მოსამართლის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება და სხვა). კანონპროექტების პაკეტი 2015 წლის 7 ოქტომბერს პირველი მოსმენით განიხილეს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში, ასევე, იურიდიულ საკითხთა კომიტეტში, თუმცა, შემდგომ აღნიშნული კანონპროექტების განხილვა შეჩერდა ყოველგვარი ცხადი და გასაგები მიზეზის დასახელების გარეშე.⁷⁶

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ გამოითხოვა ინფორმაცია საქართველოს პარლამენტიდან და იუსტიციის სამინისტროდან მესამე ტალღის კანონპროექტების განხილვის შეფერხების თაობაზე. საქართველოს პარლამენტმა გვაცნობა, რომ კანონპროექტები განხილულ იქნა იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ პირველი მოსმენით და მათი განხილვა იგეგმება საქართველოს პარლამენტის საგაზაფხულო სესიის დაწყებისთანავე.⁷⁷ საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდზე განთავსე-

⁷⁶ სასამართლო სისტემის რეფორმის ე.წ. „მესამე ტალღის“ კანონპროექტების განხილვა საქართველოს პარლამენტში განახლდა 2016 წელს, მნიშვნელოვნად გადაამუშავებული სახით, რაც არ შედის წინამდებარე საანგარიშო პერიოდში და, შესაბამისად, ამ ანგარიშში არ არის შეფასებული.

⁷⁷ საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 22 იანვრის #506/2-4 წერილი.

ბული ინფორმაციით დასტურდება, რომ პირველი მოსმენით კანონპროექტების საკომიტეტო მოსმენა გაიმართა 2015 წლის 7 ოქტომბერს.⁷⁸ საქართველოს პარლამენტმა არ მოგვანოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რატომ არ მოხდა კანონპროექტების განხილვა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილ ვადებში და რა გახდა განხილვის გადადების საფუძველი.

სასამართლო სისტემის რეფორმის მესამე ტალღის კანონპროექტების განხილვასთან დაკავშირებით ინფორმაცია გამოვითხოვეთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროდანაც. თუმცა, სამინისტრომ არ მოგვანოდა საჯარო ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა ეტაპზეა რეფორმაზე მუშაობა, რა აფერხებს რეფორმის მესამე ტალღის კანონპროექტების მიღებას, რა აქტივობები ხორციელდება ამ მიმართულებით და სხვა.⁷⁹

ამდენად, მონიტორინგის ჯგუფისთვის არ იყო ხელმისაწვდომი ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რატომ შეფერხდა სასამართლო სისტემის რეფორმის მესამე ტალღის კანონპროექტების მიღება, თუმცა, მოვლენათა განვითარების გათვალისწინებით, შესაძლებელია, ვივარაუდოთ აღნიშნულის მიზეზი. მესამე ტალღის კანონპროექტების პარლამენტში განხილვამდე, კანონპროექტების ავტორმა უწყებამ – იუსტიციის სამინისტრომ – კანონპროექტი წარუდგინა სასამართლო კორპუსს. შეხვედრა შედგა 2015 წლის 18 მაისს იუსტიციის უმაღლესი სკოლის შენობაში.⁸⁰ შეხვედრაზე მოსამართლეთა ნაწილმა უარყოფითად შეაფასა სასამართლოს თავმჯდომარის არჩევის ახალი წესის შემოღებასთან დაკავშირებული კანონპროექტის ის ნაწილი, რომელიც შეეხებოდა სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტას; ასევე, ნეგატიურად შეფასდა ინსპექტორის ინსტიტუტის და მენეჯმენტის დეპარტამენტის შექმნა. ამ საკითხებზე პოზიციებს აქტიურად აფიქსირებდნენ იუსტიციის უმაღლესი

⁷⁸ <file:///C:/Users/etsimakuridze/Desktop/PROLoG%202016/HCoJ%20Monitoring%20Report/%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%20%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A6%E1%83%90/file-06072015.pdf>

⁷⁹ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ საჯარო ინფორმაცია გამოითხოვა საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან 2016 წლის 11 იანვრის წერილით #გ-04/02-16. სამინისტრომ არ გასცა მოთხოვნილი ინფორმაცია, რაც საიას მიერ სასამართლოში გასაჩივრდა. დავა ამჟამადაც მიმდინარეობს.

⁸⁰ სტატია სახელწოდებით „მართლმსაჯულების რეფორმა - მოსამართლეები დაგეგმილ ცვლილებებს ეწინააღმდეგებიან“, <http://www.tabula.ge/ge/story/96310-martlmsajulebis-reforma-mosamartleebi-dagegmil-cvilebebs-etsinaaghmdagebian>

საბჭოს მდივანი ლევან მურუსიძე და სხვა მოსამართლეები. მოსამართლეთა აღნიშნულ შეფასებებს არ დაეთანხმა კანონპროექტების ავტორი და წარმდგენი უწყების, იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელი, იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე ალექსანდრე ბარამიძე.

მოსამართლეებთან აღნიშნული შეხვედრის შემდეგ და მას შემდეგ, რაც იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული მესამე ტალღის კანონპროექტები სწორედ ამ სახით იქნა ინიცირებული საქართველოს პარლამენტში მთავრობის მიერ, 2015 წლის 19 ოქტომბერს საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი შეხვდა 160 მოსამართლეს,⁸¹ მათ შორის, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს – მოსამართლე ლევან მურუსიძეს. შეხვედრას არ ესწრებოდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძე. შეხვედრის შემდეგ იუსტიციის მინისტრმა ჩამოთვალა ის საკითხები, რომლებიც მესამე ტალღის კანონპროექტებში არის გათვალისწინებული, მაგრამ მოსამართლეებთან შეხვედრის შედეგად მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ აღნიშნული საკითხები სხვაგვარად მოწესრიგდებოდა.⁸² ყველაზე აუცილებელი ცვლილება, რომელიც მესამე ტალღის კანონპროექტებით არის გათვალისწინებული და რომლის ამოქმედების გადავადებაზეც იყო მიღწეული შეთანხმება იუსტიციის მინისტრსა და მოსამართლეებს შორის, არის საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილება შემთხვევითობის პრინციპით. მიზეზად დასახელდა ის, რომ სასამართლო სისტემა ჯერ მზად არ არის ამ მნიშვნელოვანი ცვლილების ასამოქმედებლად. გარდა ამისა, მთელი რიგი საკითხები, რომლებიც, იუსტიციის მინისტრის თქმით, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ინიციატივით იყო გათვალისწინებული მესამე ტალღის კანონპროექტებში (ინსპექტორის ინსტიტუტი, მენეჯმენტის დეპარტამენტი, დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ხმათა რაოდენობა, სასამართლოს თავმჯდომარე

⁸¹ <http://kvira.ge/%E1%83%97%E1%83%94%E1%83%90-%E1%83%AC%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%99%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94/>

⁸² სტატია სასამართლო სისტემის რეფორმის მესამე ტალღის კანონპროექტებთან დაკავშირებით საქართველოს იუსტიციის მინისტრსა და მოსამართლეებს შორის 2015 წლის 19 ოქტომბერს გამართული შეხვედრის შესახებ, სახელწოდებით „თეა წულუკიანმა მოსამართლეთა შენიშვნების ნაწილი გაიზიარა“ - <http://www.interpressnews.ge/ge/samartali/350360-thea-tsulukianma-mosamarthletha-shenishvnebis-natsili-gaiziara.html?ar=A>

მარის მოადგილის ინსტიტუტი, გამოსაცდელი ვადის არსებობა მოქმედი მოსამართლეებისთვის და სხვა), გადაიხედებოდა, რადგან მოსამართლეთა კორპუსი არ ეთანხმებოდა აღნიშნულ ცვლილებებს.

იუსტიციის სამინისტროსთვის ჯერ კიდევ 2015 წლის 18 მაისის შეხვედრაზე იყო ცნობილი მოსამართლეთა კორპუსის პოზიცია მესამე ტალღის კანონპროექტებთან დაკავშირებით, თუმცა, კანონპროექტების ინიცირება ისე მოხდა, რომ მოსამართლეთა ეს პოზიციები კანონპროექტების ავტორის მიერ გაზიარებული არ ყოფილა. თუმცა, 2015 წლის 19 ოქტომბერს გამართული ზემოხსენებული შეხვედრის შემდეგ, იუსტიციის მინისტრმა შეხვედრაზევე მიიღო გადაწყვეტილება კანონპროექტში რიგი პუნქტების გადამუშავების შესახებ და განაცხადა, რომ სხვა საკითხებთან დაკავშირებით კონსულტაციებს გაივლიდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან. შედეგად, საქართველოს პარლამენტში მესამე ტალღის კანონპროექტების განხილვა შეჩერდა.

2015 წლის 7 ივლისს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის ინიციატივით, შედგა შეხვედრა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ლარიბაშვილთან. გავრცელებული ინფორმაციით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა პრემიერ-მინისტრს გააცნო მისი და მოსამართლეების ნაწილის მოსაზრება მესამე ტალღის კანონპროექტებთან დაკავშირებით (დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუტი). შეხვედრის შემდეგ პრემიერ-მინისტრმა მედიასთან განაცხადა, რომ აუცილებელია გაგრძელდეს კონსულტაციები უკვე პარლამენტში: „ბატონ ლევანს აქვს საკუთარი მოსაზრებები, რომლებსაც, რა თქმა უნდა, წარუდგენს პარლამენტს და ვნახოთ როგორ განვითარდება მოვლენები. მთავრობამ გაიზიარა ის შეხედულებები, რომლებიც წარმოდგენილ იქნა იუსტიციის სამინისტროს, ასევე, სასამართლოს თავმჯდომარის მიერ და ის გადაგზავნილ იქნა პარლამენტში. ახლა უკვე საჭიროა, პარლამენტში გაგრძელდეს კონსულტაციები და განხილვები.“⁸³ აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ მესამე ტალღის კანონპროექტების პარლამენტში ინიცირების დროს საქართველოს მთავრობისთვის და, შესაბამისად, იუსტიციის სამინისტროსთვის ცნობილი იყო მოსამართლეთა კორპუსის ნაწილის კრიტიკული მოსაზრებები. ამის მიუხედავად, საქართველოს მთავრობამ მოახდინა კანონპროექტების ინიცირება და მხოლოდ

⁸³ ტელეკომპანია მასტროს სიუჟეტი: პრემიერ-მინისტრი ლევან მურუსიძეს შეხვდა <http://www.myvideo.ge/v/2599675>

ამის შემდეგ, 19 ოქტომბრის შეხვედრის შედეგად, მესამე ტალღის კანონპროექტების შინაარსი ძირეულად შეიცვალა.

სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირები, კერძოდ, ორი ყოფილი პრემიერ-მინისტრი – ბიძინა ივანიშვილი და ირაკლი ლარიბაშვილი, ფინანსთა მინისტრი და იუსტიციის მინისტრი – არაერთხელ შეხვდნენ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს. ოფიციალური ინფორმაციით, შეხვედრები იმართებოდა სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით: მოსამართლეთა ხელფასების მატება, მესამე ტალღის კანონპროექტების თაობაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის და მოსამართლეთა ნაწილის მოსაზრებების მოსმენა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომებს ინვევს საბჭოს თავმჯდომარე, მდივანს შეუძლია მოინვიოს საბჭოს სხდომა მხოლოდ თავმჯდომარის დავალებით ან კანონით დადგენილ გამონაკლის შემთხვევებში. სხდომებს ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე და არა მდივანი. საბჭოს გადაწყვეტილებებს ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე. ორგანული კანონის 51-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი: ახორციელებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მუშაობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას; ხელმძღვანელობს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატს, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის მოხელეებსა და აპარატის სხვა მოსამსახურეებს; ამზადებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომებს; თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელს აწერს სამსახურებრივ დოკუმენტებს; ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე და წარმომადგენელი არის საბჭოს თავმჯდომარე და არა მდივანი. ამ თვალსაზრისით, ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირების შეხვედრები საბჭოს მდივანთან რიგ საკითხებთან დაკავშირებით, შეიძლება არ შეესაბამებოდეს სასამართლო ხელისუფლებაში ფუნქციების გადანაწილების პრინციპებს და აჩენს კითხვებს აღნიშნული შეხვედრების რეალურ მიზნებთან დაკავშირებით.

5.2.3. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ სასამართლო სისტემაში არსებული მოსამართლის ვაკანტური თანამდებობების შევსების პრაქტიკა

ორგანული კანონის თანახმად, მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნა შესაძლებელია ორი გზით:

- იუსტიციის უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებული მოსამართლის თანამდებობას იკავებს უკონკურსოდ, მას შემდეგ, რაც შესაბამისი განაცხადით მიმართავს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს;
- პირი, რომელიც გათავისუფლებულია იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლისგან, მოსამართლის თანამდებობას იკავებს კონკურსის ნესით.

საანგარიშო პერიოდში იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსი ჩაატარა ორჯერ. ამასთან, საბჭომ მოსამართლეთა ვაკანტური თანამდებობების შევსებისას საგამონაკლისო წესი გამოიყენა 2015 წლის აგვისტოსა და ნოემბერში.

მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლის უფლებამოსილების ვადის გასვლის შესახებ საბჭოსთვის ყოველთვის წინასწარ არის ცნობილი, ის მიუძღვება მოუმზადებელი ხვდება აღნიშნულ პროცესს. საბჭო, კონკურსთან ერთად, იყენებს მოსამართლის ვაკანტური თანამდებობების შევსების საგამონაკლისო წესს, რაც ინვეს სერიოზულ ეჭვს იმასთან დაკავშირებით, რომ იგი თავის უფლებამოსილებას – დანიშნოს მოსამართლეთა ან ერთი სასამართლოდან სხვა სასამართლოში გადაიყვანოს მოქმედი მოსამართლეთა – ახორციელებს სუბიექტური მოსაზრებების გათვალისწინებით და არა ობიექტურად, სამართლიანად და მართლმსაჯულების ინტერესების გათვალისწინებით.

თავის მხრივ, მოსამართლეთა სიმცირე, რის გამოც, საბჭოს განმარტებით, უნდა გამოყენებულიყო მოსამართლეთა გადაყვანის საგამონაკლისო მექანიზმი, გამონაკლისი იყო ორი გარემოებით: ა) მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადის გასვლით, რაც საბჭოსთვის ყოველთვის წინასწარ არის ცნობილი; ბ) საქმეთა განხილვის დასრულებამდე, მოსამართლეთა გაგრძელებული უფლებამოსილების ვადის შეწყვეტით საბჭოს მიერვე.⁸⁴ ეს ორივე

⁸⁴ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „თუ მოსამართლის მონაწილეობით დაწყებული საქმის

შემთხვევა საბჭოს კონტროლის სფეროს განეკუთვნება და, შესაბამისად, გაუგებარია, რატომ წარმოადგენს სასამართლოს და-კომპლექტების საფუძველს საგამონაკლისო მექანიზმის გამოყენებით.

საანგარიშო პერიოდში, მოსამართლის ვაკანტური თანამდებობების შესავსებად, საბჭომ ორჯერ გამოაცხადა კონკურსი, ხოლო, ორ შემთხვევაში, მოსამართლის ვაკანტური თანამდებობების შესავსებად კონკურსის გარეშე გადაყვანის პროცედურა გამოიყენა. კერძოდ, 2015 წლის 7 აგვისტოს საბჭომ კონკურსის გარეშე გადაყვანის წესით დააკომპლექტა თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებული მოსამართლის 7 ვაკანსია. მოსამართლეთა გადაყვანის პროცესი დეტალურად შეფასებულია ანგარიშის 5.1 თავში, ამიტომ საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობის პრობლემაზე აქ არ შევჩერდებით. ამ თავის მიზნებისთვის აღსანიშნავია, რომ საბჭოს არ ჰქონია სისტემური მიდგომა და ხედვა სასამართლო სისტემაში არსებული ვაკანსიების შევსების საკითხზე და, შესაბამისად, მოსამართლეთა კონკურსის წესით დანიშვნა და საგამონაკლისო მექანიზმების გამოყენება არ ხდებოდა დასაბუთებულად, ეფექტურად და კომპლექსური მიდგომების გამოყენებით. აღნიშნულმა, თავის მხრივ, წარმოშვა სერიოზული ეჭვი, რომ საბჭო საგამონაკლისო მექანიზმებს იყენებდა არა მართლმსაჯულების გადაუდებელი ინტერესიდან გამომდინარე, განსაკუთრებული აუცილებლობის პირობებში, არამედ ახორციელებდა მოქმედი მოსამართლეების ე.წ. „სტრატეგიულ გადანაწილებას“ საბჭოსთვის სასურველ სასამართლოებში, სასამართლოების კოლეგიებსა თუ პალატებში.

5.2.4. მოსამართლეთა კონკურსის წესით დანიშვნისას გამოვლენილი ხარვეზები

საანგარიშო პერიოდში საბჭომ მოსამართლის შესარჩევი კონკურსი ორჯერ გამოაცხადა – ივნისსა და ოქტომბერში. ივნისში გამოცხადებული კონკურსის შედეგად, თანამდებობაზე დანიშნა 10

განხილვის დამთავრებამდე მან მიაღწია ამ კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ასაკს, ან გავიდა მისი თანამდებობაზე ყოფნის ვადა, მოსამართლის უფლებამოსილება, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, შეიძლება გაგრძელდეს აღნიშნულ საქმეზე ამ მოსამართლის ან იმ სასამართლო კოლეგიის ან პალატის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე, რომლის შემადგენლობაშიც ის არის.“

მოსამართლე, ხოლო ოქტომბერში გამოცხადებული კონკურსის შედეგად – 38 მოსამართლე.

2015 წელს საბჭომ მოსამართლის შესარჩევი კონკურსები ჩაატარა მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის განახლებული წესის გამოყენებით. აღნიშნულ წესში 2014 წლის თებერვალში, მარტსა და სექტემბერში შეტანილი ცვლილებები მონიტორინგის ჯგუფის მიერ ძირითადად დადებითად შეფასდა, რადგან წესში დაკონკრეტდა და გათვალისწინებულ იქნა რიგი მნიშვნელოვანი დებულებები, კერძოდ: კანდიდატის შესწავლის მიზნით, საბჭო განახორციელებს კანდიდატის დახასიათების ან სხვა ინფორმაციის მოძიებას; დადგინდა მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების განახლებული კრიტერიუმები და კრიტერიუმების შეფასების პრინციპები; განისაზღვრა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის ვალდებულებები კონკურსის პროცესში; 2014 წლის სექტემბრის ცვლილებებით მოსამართლეობის კანდიდატის შერჩევის წესში გაჩნდა ჩანაწერი, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი ვალდებულია, გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელოს ობიექტურობის, სამართლიანობის და მიუკერძოებლობის პრინციპებით. მონიტორინგის ჯგუფის მიერ ცვლილება დადებითად შეფასდა, თუმცა, მის მნიშვნელობას აკნინებს ის გარემოება, რომ არ არსებობს არანაირი მექანიზმი, რომელიც შესაძლებელს გახდის ამ პრინციპების პრაქტიკაში რეალიზაციის მონიტორინგს.⁸⁵ ამას ადასტურებს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსებიც, რომლებიც საანგარიშო პერიოდში ჩატარდა.

2015 წელს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ჩატარებულმა მოსამართლის შესარჩევმა კონკურსებმა დაგვანახა, რომ მიუხედავად წესის არსებობისა და ამ წესში 2014 წელს შეტანილი დადებითი ცვლილებებისა, საბჭო ხშირად არღვევდა დადგენილ წესებს. საანგარიშო პერიოდში ჩატარებულ მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსებზე დაფიქსირდა სერიოზული პროცედურული დარღვევები:

- არ გამოქვეყნდა მოსამართლეობის კანდიდატთა შესახებ მოკლე ბიოგრაფიული ცნობები;
- კონკურსის მთელი პროცესი წარმართა ინტერესთა კონფლიქტის პირობებში;
- კონკურსის პერიოდში საბჭოს ცალკეული მოსამართლე

⁸⁵ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში #3, 2015წ. გვ.22. <https://gyla.ge/files/news/96E1%83%98%...>

წევრები წინასწარ და საჯაროდ გამოხატავდნენ თავიანთ მოსაზრებებს კონკურსში მონაწილე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის მოსამართლედ დანიშვნასთან დაკავშირებით, რითაც არღვევდნენ ნეიტრალურობის პრინციპს;

- კანდიდატებთან გასაუბრებები ატარებდა ფორმალურ ხასიათს და მიზნად არ ისახავდა მათი შესაბამისობის შეფასებას დადგენილ კრიტერიუმებთან.

5.2.5. მოსამართლეობის კანდიდატებთან ჩატარებული გასაუბრებები

მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესის მე-12⁷ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კონკურსის გასაუბრების ეტაპი ემსახურება სწორედ კანდიდატების შესაბამისობის შეფასებას დადგენილ კრიტერიუმებთან. საანგარიშო პერიოდში ჩატარებული ორივე კონკურსის შედეგად დადასტურდა, რომ კონკურსები ფორმალურ ხასიათს ატარებდა და მიზნად არ ისახავდა კანდიდატების შესაბამისობის შეფასებას დადგენილ კრიტერიუმებთან, რაზეც შემდეგი გარემოებები მიანიშნებს:

- საბჭოს წევრები კანდიდატებს სრულიად განსხვავებული სირთულისა და თემატიკის კითხვებს უსვამდნენ. გასული საანგარიშო პერიოდისგან განსხვავებით, როცა კანდიდატებს ძირითადად მარტივ სამართლებრივ კითხვებზე უწევდათ პასუხის გაცემა, რაც მათგან ღრმა ანალიტიკურ აზროვნებას არ მოითხოვდა, მიმდინარე საანგარიშო პერიოდში საბჭოს წევრები კანდიდატებს არათანაბარ პირობებში აყენებდნენ, როცა ნაწილს მხოლოდ მარტივ სამართლებრივ კითხვებს უსვამდნენ, ხოლო ნაწილს – რთულს;
- რიგი კანდიდატების შემთხვევაში, მათი შესაბამისობის შეფასება დადგენილ კრიტერიუმებთან ფორმალურადაც კი არ მომხდარა. მაგალითად, კანდიდატ ლევან მურუსიძესთან გასაუბრების დროს საბჭოს თითქმის ყველა წევრმა საშუალება მისცა საბჭოს მდივანს გასაუბრება განმარტებულ საქმეებზე მის მიერ წარსულში მიღებული გადაწყვეტილებების საჯაროდ განმარტებისთვის გამოეყენებინა ისე, რომ საბჭოს ლევან მურუსიძისთვის არ დაუსვამს კრიტიკული და/ან დამაზუსტებელი კითხვები. ერთ-ერთი კანდიდატის შემთხვევაში კი, გასაუბრების

დრო სრულად დაეთმო მის მიმართ წარსულში მომხდარი დანაშაულებრივი ქმედების განხილვას და არც ერთი კითხვა არ დასმულა დადგენილ კრიტერიუმებთან კანდიდატის შესაბამისობის შესამოწმებლად;

- საბჭოს წევრებს თითქმის არცერთი კანდიდატისთვის არ დაუსვამთ კითხვა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებზე. გამონაკლისს მხოლოდ საბჭოს წევრი ევა გოცირიძე წარმოადგენდა, რომელიც ცალკეულ კანდიდატებს უსვამდა კითხვებს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით. რაც შეეხება უმცირესობებთან, ქალებთან, მონყვლად ჯგუფებთან დაკავშირებულ უფლებრივ საკითხებს ან კანდიდატების შემწყნარებლობას ასეთი პირების მიმართ, საბჭო ამას არ ამოწმებდა. ადამიანის უფლებების მხოლოდ დეკლარაციული აღიარებიდან ადამიანის უფლებებზე რეალურად ორიენტირებულ სახელმწიფო მიდგომებზე გადასვლა სწორედ შესაბამისი განათლებისა და უნარების მქონე მოსამართლეების დანიშვნას მოითხოვს;
- პრობლემური იყო საბჭოს სხდომაზე კანდიდატებთან გასაუბრებისას არსებული კვორუმის საკითხი. საბჭო კვლავ აგრძელებდა მანკიერ პრაქტიკას, კერძოდ, მოსამართლეთა დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებდნენ საბჭოს წევრები, რომლებიც არ ესწრებოდნენ გასაუბრების პროცესს, შესაბამისად, არ შეუფასებიათ ესა თუ ის კანდიდატი. საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია, განიხილოს საკითხი და მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი. გასათვალისწინებელია, რომ საბჭო მოსამართლის დანიშვნაზე გადაწყვეტილებას იღებს სრული შემადგენლობის 2/3-ით. შესაბამისად, კანონის ამ დანაწესიდან გამომდინარე, სხდომას მინიმუმ ათი წევრი მაინც უნდა ესწრებოდეს. მოსამართლის დანიშვნისას დიდ როლს თამაშობს გასაუბრება. ამ დროს საბჭოს წევრებს უშუალოდ ექმნებათ წარმოდგენა კანდიდატის შესახებ. გასაუბრებისას საბჭოს წევრები არა მარტო უსმენენ კანდიდატს, არამედ, ასევე, უსვამენ მათთვის საინტერესო კითხვებს. გასაუბრების ეფექტი სწორედ ორმხრივ კომუნიკაციაშია. მიუხედავად ამისა, უკვე დიდი ხანია, საბჭოში დამკვიდრებულია ზემოაღნიშნული მანკიერი პრაქტი-

კა. საბჭოს ცალკეული წევრები ამასთან დაკავშირებით რამდენიმე არგუმენტს ასახელებენ, კერძოდ: გასაუბრების დასრულების შემდეგ საბჭოს წევრები ეცნობიან სხდომის ჩანაწერებს (გარდა კვორუმის საჭიროებისა, ეს არგუმენტი მიუღებელია იმის გამოც, რომ საბჭოს წევრი არა მხოლოდ უნდა უსმენდეს გასაუბრებას, არამედ თავად უნდა მონაწილეობდეს პროცესში); კიდევ ერთი არგუმენტი არის ის, რომ საბჭოს წევრები იცნობენ კანდიდატებს და გადაწყვეტილების მისაღებად არ სჭირდებათ მათთან გასაუბრება. ეს მიზეზი ხშირად გასაუბრების შინაარსზეც ახდენდა გავლენას, როცა საბჭოს წევრები ყოფილ ან მოქმედ მოსამართლეებს გასაუბრების დროს ეუბნებოდნენ, რომ ისინი მათ კარგად იცნობდნენ და გასაუბრების აუცილებლობას ვერ ხედავდნენ. აღნიშნული მიზეზით გასაუბრებაზე არდასწრება ან გასაუბრების არასრულყოფილად ჩატარება, შესაძლოა, მიუთითებდეს იმაზე, რომ საბჭოს წევრი წინასწარ ჩამოყალიბებული აზრის მიხედვით იღებს გადაწყვეტილებას და არა – ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, კანდიდატის ხელახალი შეფასების შედეგად. გარდა ამისა, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ კონკურსში უმეტესწილად სწორედ ყოფილი ან მოქმედი მოსამართლეები მონაწილეობენ, ფაქტია, რომ საბჭოს წევრები, როგორც წესი, კარგად იცნობენ კანდიდატებს. შესაბამისად, ამ მიზეზით გასაუბრების მხოლოდ ფორმალურად ჩატარება წინააღმდეგობაში მოდის გასაუბრების მიზნებთან.

საანგარიშო პერიოდში საბჭოს ცალკეულმა წევრებმა აღიარეს, რომ მოსამართლეთა დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მათ არ უხელმძღვანელიათ დადგენილი კრიტერიუმებით, არამედ, მაგალითად, იუსტიციის საბჭოს მდივნის, ლევან მურუსიძის მოსამართლედ დანიშვნის შემთხვევაში, საბჭოს წევრმა მერაბ გაბინაშვილმა განაცხადა, რომ მან გაითვალისწინა ლევან მურუსიძის ავტორიტეტი მოსამართლეთა კორპუსში.⁸⁶ გარდა ამისა, საბჭოს არამოსამართლე წევრების მიერ ამ საკითხზე გავრცელებულ საჯარო განცხადებაში აღნიშნულია შემდეგი: „ჩვენ, საბჭოს არამოსამართლე წევრებმა, მხარი დავეჭირეთ ბატონი მურუსიძის მოსამართლედ დანიშვნას გამოსაც-

⁸⁶ ტელედებატები მოსამართლეთა დანიშვნის თემაზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე ანა ნაცვლიშვილსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრ მერაბ გაბინაშვილს შორის <http://rustavi2.com/ka/news/35261>

დელი 3-წლიანი ვადით. ეს იყო ძალზე მძიმე და კომპრომისული გადანყვეტილება, მიღებული დიდი ფიქრის, განსჯისა და ყოყმანის შემდეგ. შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ ბატონ მურუსიძეს არასახარბიელო რეპუტაცია გააჩნია საზოგადოებაში და არც იმის განჭვრეტა იყო რთული, რომ მის ხელახალ გამწესებას მოჰყვებოდა მკვეთრად უარყოფითი შეფასებანი ჩვენს საზოგადოებაში. თუ მხოლოდ სასამართლოსადმი ხალხის ნდობის თვალსაზრისით ვიხელმძღვანელებდით, მისი დანიშვნა მართლაც არ იქნებოდა გამართლებული. მაგრამ შექმნილ ვითარებაში, ჩვენ ვალდებული ვიყავით, გაგვეთვალისწინებინა სხვა უამრავი ფაქტორი და გარემოება.⁸⁷ მიუხედავად იმისა, რომ 2014 წელს დაიხვეწა კრიტერიუმები და შეფასების განმარტებები, საბჭო მაინც არ ეყრდნობოდა ამ კრიტერიუმებს და ისე იღებდა გადანყვეტილებას მოსამართლის დანიშვნის შესახებ.

5.2.6. ფსიქოლოგის მონაწილეობა

გასაუბრების პროცესში ფსიქოლოგის მონაწილეობის შესახებ მუხლს არ აქვს იმპერატიული ფორმულირება, თუმცა, აღნიშნული არ უშვებს საბჭოს მხრიდან თვითნებობის შესაძლებლობას. საბჭო უნდა ასაბუთებდეს, თუ რატომ მიიჩნევს კონკრეტულ შემთხვევაში ფსიქოლოგის მონაწილეობას საჭიროდ, ხოლო სხვა შემთხვევაში რატომ ატარებს გასაუბრებებს ფსიქოლოგის მონაწილეობის გარეშე. წინა საანგარიშო პერიოდში კანდიდატებთან გასაუბრებებს ესწრებოდა ფსიქოლოგი, თუმცა, ამ საანგარიშო პერიოდში ჩატარებულ არცერთ გასაუბრებას იგი აღარ დასწრებია. საბჭოს აპარატის ზეპირი განმარტებით, აღნიშნულის მიზეზად ფსიქოლოგის მოუცლელობა დასახელდა, რაც მოკლებულია დამაჯერებლობას და ბადებს ეჭვს საბჭოს მიერ ფსიქოლოგის მონაწილეობის საკითხის თვითნებურად გადანყვეტასთან დაკავშირებით.

ყოველგვარი განმარტების გარეშე, ერთ შემთხვევაში ფსიქოლოგის მონაწილეობა, ხოლო სხვა შემთხვევაში მისი არყოფნა გასაუბრებებზე, ეჭვის ქვეშ აყენებს საერთოდ ფსიქოლოგის ინსტიტუტის შემოღების გაცხადებულ მიზანს და აჩენს კითხვებს იმასთან დაკავშირებით, თუ რეალურად რისთვის გამოიყენება აღნიშნული

⁸⁷ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრების განცხადება. 25 დეკემბერი, 2015წ. <http://hcoj.gov.ge/ge/iustitsiis-umaghlesi-sabchos-aramosamartletsevrebis-gantskhadeba/2577>

ინსტიტუტი პრაქტიკაში: კანდიდატის დადგენილ კრიტერიუმებთან შესაბამისობის შეფასების თუ პირიქით – დამოუკიდებელი სასამართლოს არსებობასთან შეუთავსებელი თვისებების შემოწმების მიზნით. ამდენად, ის ფაქტი, რომ წესი არ ითვალისწინებს ფსიქოლოგის სავალდებულო მონაწილეობას გასაუბრების პროცესში, არ ათავისუფლებს საბჭოს ვალდებულებისგან, სხდომაზე განიხილოს და ყოველი კონკრეტული კონკურსისთვის გადაწყვეტოს ფსიქოლოგის მონაწილეობის საკითხი, ამასთან, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება. ფსიქოლოგის მონაწილეობის რეგულირება არის ძალიან ზოგადი და არასავალდებულო ხასიათის. აღნიშნული საკითხი ერთგვაროვნად უნდა რეგულირდებოდეს მოსამართლეთა შერჩევის ყველა კონკურსისთვის. ამასთან, ფსიქოლოგს უნდა ჰქონდეს განერილი კონკრეტული საკითხები, თუ რას ამოწმებს იგი და რის შესახებ ანოდებს საბჭოს ინფორმაციას. ეს უნდა იყოს სწორედ მოსამართლის შერჩევის კრიტერიუმების ფარგლებში გათვალისწინებული უნარების და თვისებების შეფასება. ასევე, შემოღებული უნდა იყოს საბჭოს მიერ გასაუბრებებში ფსიქოლოგის მონაწილეობის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების მექანიზმები (მაგალითად, ფსიქოლოგთან კომუნიკაცია იყოს მხოლოდ წერილობითი, როგორც ეს მოსამართლეების შემთხვევაშია და სხვა).

5.2.7. კანდიდატთა მოკლე ბიოგრაფიული ცნობების გამოქვეყნებლობა

2015 წლის ოქტომბერში გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ არ შეასრულა „მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების იმპერატიული მოთხოვნა და საკუთარ ვებ-გვერდზე არ გამოაქვეყნა მოსამართლეობის კანდიდატთა მოკლე ბიოგრაფიული ცნობები. აღნიშნული ინფორმაციის გამოქვეყნება მიზნად ისახავს საბჭოს მიერ მოსამართლეობის კანდიდატების შესახებ ინფორმაციის მიღებას გარეშე პირებისგან.

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ არც მონიტორინგის ჯგუფის წერილობითი მოთხოვნის შემდეგ უზრუნველყო კანდიდატების ბიოგრაფიების გასაჯაროება.⁸⁸

⁸⁸ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2015 წლის 25 ნოემბრის №-04/583.15 წერილი იუსტიციის საბჭოს, 2015 წლის 5 ოქტომბერს გამოცხადებულ

აღსანიშნავია, რომ წინა საანგარიშო პერიოდში იუსტიციის უმაღლესი საბჭო აქვეყნებდა მოსამართლეობის კანდიდატების მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს. გაუგებარია რატომ არ გაასაჯაროვა აღნიშნული ინფორმაცია ოქტომბრის კონკურსის ფარგლებში. მოსამართლეობის კანდიდატების ბიოგრაფიული ცნობების გამოქვეყნების მოთხოვნის შეუსრულებლობა, შესაძლებელია, მიუთითებდეს კანდიდატების შესახებ ინფორმაციის მოძიების ეტაპის არაეფექტურ ჩატარებაზე. აღნიშნული შესაძლოა ნიშნავდეს, რომ კონკურსის დროს საბჭო ეყრდნობა კანდიდატების შესახებ მხოლოდ იმ ინფორმაციას, რომელსაც თავად მოძიებს.

6. მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადით დანიშვნა (პრობაცია)

- **საბჭოს გადაწყვეტილებით, გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლის საქმიანობის შეფასების პროცესის სრულად დახურვა და მასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს და ეწინააღმდეგება გამჭვირვალობისა და საჯაროობის სტანდარტს.**

მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის საკითხთან არის დაკავშირებული მოსამართლის გამოსაცდელი ვადით დანიშვნის და აღნიშნულ ვადაში მისი შეფასების საკითხი. მართალია, გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლის შეფასების პროცესი კონფიდენციალურად მიმდინარეობს, რაც შეუძლებელს ხდის მასზე დაკვირვებას, თუმცა, არის რამდენიმე საკითხი, რომლებიც ამ პროცესის გამჭვირვალობას უკავშირდება და აღნიშვნას იმსახურებს.

2013 წლის 17 ნოემბერს ამოქმედდა საკონსტიტუციო ცვლილება, რომლის თანახმადაც, მოსამართლე შეიძლება დაინიშნოს გამოსაცდელი ვადით, არაუმეტეს 3 წლისა. შესაბამისად, ცვლილებები შევიდა საქართველოს ორგანულ კანონში „საერთო სასამართლოების შესახებ“ და დადგინდა გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლის საქმიანობის შეფასების პრინციპები, კრიტერიუმები და პროცედურა.

აღნიშნული ცვლილების ამოქმედების შემდეგ, 2013 წლიდან საან-

კონკურსში მონაწილე მოსამართლეობის კანდიდატების ბიოგრაფიების გაცემის მოთხოვნით.

გარიშო პერიოდის ჩათვლით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ სამწლიანი გამოსაცდელი ვადით თანამდებობაზე დანიშნა სულ 94 მოსამართლე, რომელთა უვადოდ გამწესების საკითხის განხილვა საბჭომ უნდა დაიწყო, შესაბამისად, 2016 წლის ნოემბრიდან (2013 წლის ნოემბერში, სამწლიანი გამოსაცდელი ვადით, თანამდებობაზე პირველი თორმეტი მოსამართლე დანიშნა). გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეების უვადოდ გამწესების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, გამოსაცდელი ვადის განმავლობაში მოსამართლის შეფასების სამი წლის მონაცემები კონფიდენციალურია.

ცხადია, გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლის შეფასების თაობაზე ინფორმაციის კონფიდენციალურობა არ იძლევა საშუალებას, განხორციელდეს მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადით დანიშვნის საკითხებზე საბჭოს საქმიანობის მონიტორინგი. თუმცა, აქ აღსანიშნავია საბჭოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა, რომელიც გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეების შეფასების საკითხს სრულად დახურულს ხდის.

ორგანული კანონი ზუსტად განსაზღვრავს იმ მონაცემთა ჩამონათვალს, რომლებიც კონფიდენციალურად მიიჩნევა, ესენია: მონაცემები გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლის შეფასების თაობაზე, მხოლოდ გამოსაცდელი ვადის განმავლობაში; გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლის შეფასების მონაცემები, რომელსაც უარი ეთქვა მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესებაზე (გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული მოსამართლე თავად მოითხოვს თავისი შეფასების შედეგების საჯაროობას). ამასთან, ორგანული კანონის 36⁴ მუხლის 21-ე პუნქტი ადგენს, რომ „მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შემთხვევაში, მოსამართლის შეფასების ანგარიშები საჯარო ინფორმაციაა და ნებისმიერ პირს აქვს უფლება, მოითხოვოს ისინი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მესამე თავით დადგენილი წესით.“

საანგარიშო პერიოდში იყო შემთხვევა, როცა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე დაისვა გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეების შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები. კერძოდ, საბჭოს 6 თებერვლის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული იყო საკითხი: „3 წლის ვადით დანიშნულ მოსამართლეთა მონიტორინგის პროცესში წარმოშობილი პრობლემები და წინადადებები.“ საბჭოს არამოსამართლე წევრმა ევა გოცირიძემ განაცხადა, რომ აღნიშნული ინიციატივა მას ეკუთვნოდა. კერძოდ, ევა გოცირიძემ დააყენა საკითხი, საბჭოს სხდომაზე განხ-

ილუზიო ინფორმაცია გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეების შეფასების პროცესში გამოვლენილი სირთულეების, დაბრკოლებების, შეფასების განმარტების შეხედულებებისა და პროცესის ეფექტიანობის შესახებ.

არამოსამართლე წევრის ზემოაღნიშნული განცხადების შემდეგ საბჭოს ცალკეულმა წევრებმა მიიჩნიეს, რომ ის საკითხები, რომლებზეც საბჭოს წევრი ევა გოცირიძე საუბრობდა, წარმოადგენდა კონფიდენციალურ ინფორმაციას და მათ განსახილველად სხდომა უნდა დახურულიყო. აღსანიშნავია, რომ საბჭოს დღის წესრიგში არ იყო მითითებული, რომ საბჭო ამ საკითხს დახურულ სხდომაზე განიხილავდა.

საანგარიშო პერიოდში გამართულმა საბჭოს სხვა სხდომებმაც დაადასტურა, რომ საბჭოს წევრები გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეების საქმიანობის შეფასების პროცესის კონფიდენციალურობას ძალიან ფართოდ განმარტავენ და კონფიდენციალურობის მოთხოვნებს ავრცელებენ არა მხოლოდ იმ ინფორმაციაზე, რომლებიც ორგანულ კანონშია მითითებული, არამედ ამ საკითხთან დაკავშირებულ ნებისმიერ ინფორმაციაზე.

ორგანული კანონი ადგენს, რომ გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლის საქმიანობის შემფასებელი საბჭოს წევრები მოსამართლის საქმიანობას აფასებენ პარალელურად, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. ისინი ვალდებული არიან, ერთმანეთს არ გაუმჟღავნონ შეფასებისას მოპოვებული ინფორმაცია და შედეგები.⁸⁹ შესაბამისად, საბჭოს წევრთა განხილვის საგანი ვერ გახდებოდა კონკრეტული მოსამართლეების შეფასების საკითხები. თუმცა, შესაძლებელია, საბჭოს ემსჯელა გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეების საქმიანობის შეფასების სისტემაზე, ფორმებზე, არსებულ გამოწვევებსა და სხვა მსგავს საკითხებზე. ორგანული კანონიც კონფიდენციალურობის სწორედ ამგვარ ფარგლებს ითვალისწინებს – გასაჯაროებას არ ექვემდებარება მხოლოდ კონკრეტული მოსამართლის საქმიანობის შეფასება და მისი შედეგები.

ვინაიდან, ზემოაღნიშნული საკითხის განხილვის მიზნით, საბჭოს სხდომა დაიხურა, შეუძლებელი გახდა გამოსაცდელი ვადით დანიშნულ მოსამართლეთა შეფასების პროცესში წარმოქმნილი სირთულეების თუ, ზოგადად, ამ პროცესის მიმდინარეობის

⁸⁹ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36⁴-ე მუხლის პირველი პუნქტი.

შესახებ ინფორმაციის მოსმენა და მისი მონიტორინგი. თუმცა, მიგვაჩნია, რომ არც კანონით და არც შეფასების მიზნებიდან გამომდინარე, არ შეიძლებოდა საბჭოს მიეღო გადაწყვეტილება გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეების შეფასების პროცედურის ან მასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხებისა თუ არსებული გამოწვევების შესახებ ინფორმაციის დახურვის შესახებ. უფრო მეტიც, თუკი საბჭო ასე ფართოდ განმარტავს გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლის საქმიანობის შეფასებისას მოპოვებული ინფორმაციის და შეფასების შედეგების კონფიდენციალურობის მოთხოვნას, მაშინ ზემოაღნიშნული საკითხების განხილვა არც საბჭოს სხდომაზე უნდა მომხდარიყო, ვინაიდან, საზოგადოებისგან განსხვავებით, საბჭოს წევრებისთვის ცნობილია იმ მოსამართლეთა ვინაობა, რომლებსაც ისინი აფასებენ.

ასევე, კანონი კონფიდენციალურ ინფორმაციად არ მიიჩნევს გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლის შემფასებელი საბჭოს წევრების ვინაობას. შესაბამისად, პროცესის სრულად დახურვა და ამ საკითხთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის განურჩევლად გასაიდუმლოება არ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს, გადაჭარბებულია და ვერ უზრუნველყოფს ინფორმაციის კონფიდენციალურობისა და საჯაროობის ინტერესს შორის სათანადო ბალანსის დაცვას.

აღსანიშნავია, რომ 8 მაისის სხდომაზე კვლავ დაისვა გამოსაცდელი ვადით დანიშნულ მოსამართლეთა მონიტორინგის პროცესში წარმოშობილი პრობლემების და წინადადებების განხილვის საკითხი. ამჯერად, საბჭომ ღია სხდომაზე იმსჯელა ამ პროცესთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებზე, კერძოდ: მოსამართლის საქმიანობის შესახებ სტატისტიკური მონაცემების შეგროვებაზე; ორგანული კანონით დადგენილი წესით, შესაფასებელ მოსამართლეთათვის შეფასების პროცედურის გაცნობაზე და ა.შ. არამოსამართლე წევრმა გოჩა მამულაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს საკითხები ღია სხდომაზე არ უნდა განიხილებოდეს. თუმცა, სხდომის დახურვა ამ შემთხვევაში არ მომხდარა. აღნიშნულის შემდეგ, გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეების შეფასების საკითხების განხილვა საბჭოს ღია სხდომაზე არ მომხდარა.

7. მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობა

- მოსამართლეთა მიმართ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში შესული დისციპლინური საჩივრების განხილვის კრიტიკულად დაბალი მაჩვენებელი მიუთითებს მოსამართლეთა ანგარიშვალდებულების სისტემის არაეფექტურობაზე. აქედან გამომდინარე, ჩნდება საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მოსამართლეების დამოუკიდებლობა არ არის სათანადოდ დაბალანსებული შესაბამისი ანგარიშვალდებულებით. მოსამართლეთა დისციპლინირების პროცესის გაუმჭვირვალობა და ანგარიშვალდებულების არაეფექტური სისტემის არსებობა, თავის მხრივ, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს უტოვებს ფართო შესაძლებლობას, ბოროტად გამოიყენოს მოსამართლის დისციპლინირების მექანიზმი მათსავე წინააღმდეგ.

2012 წლამდე მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი სრულად კონფიდენციალური იყო, რაც გამორიცხავდა საბჭოს მიერ ჩატარებული დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის მონიტორინგს. 2012 წლის მარტში კანონმდებლობამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ამ მიმართულებით, რაც მიზნად ისახავდა დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ გასაჯაროებას. აღნიშნული ცვლილებებით დადგინდა სადისციპლინო კოლეგიის გადანაცვეტილებების საჯაროდ გამოქვეყნების ვალდებულება, პერსონალური მონაცემების დამტრისხვით, თუმცა, თავად დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი დარჩა დახურული. აღსანიშნავია სასამართლო რეფორმის მესამე ტალღის ფარგლებში მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის თანახმადაც, მოსამართლეს ენიჭება უფლება, მოითხოვოს სადისციპლინო კოლეგიისა და უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის სხდომების გასაჯაროება, ასევე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სხდომების გასაჯაროება – თათბირისა და გადანაცვეტილების მიღების პროცედურების გარდა.⁹⁰

მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი ორი ასპექტით არის საინტერესო: 1) იუსტიციის უმაღ-

⁹⁰ საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“, პირველი მოსმენის რედაქცია, <http://parliament.ge/ge/law/9716/28962>

ლესი საბჭოს მიერ განხილული საქმეების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც იძლევა გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას; 2) მოსამართლის დისციპლინური სამართალწარმოების საკითხებზე შესაბამისი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და დამკვიდრებული პრაქტიკა.

ვინაიდან მოსამართლის დისციპლინური სამართალწარმოების საკითხზე სხდომები დახურულია, საანგარიშო პერიოდში შეუძლებელი იყო აღნიშნული პროცესის მონიტორინგი. ამდენად, ამ ანგარიშში მხოლოდ მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ სტატისტიკურ ინფორმაციას შევსებთ. ქვემოთ მოცემული სტატისტიკური ინფორმაცია ეფუძნება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გამოქვეყნებულ ოფიციალურ მონაცემებს და საბჭოდან მიღებულ საჯარო ინფორმაციას.⁹¹ როგორც აღნიშნული მონაცემებით ირკვევა, 2011-2015 წლებში საბჭოს მიერ დისციპლინურ პასუხისგებაში მიეცა 7 მოსამართლე.

მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მონოდებული სტატისტიკური მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება:

2015 წელი – საბჭოში სულ შევიდა 875 დისციპლინური საჩივარი. აქედან საბჭოს მიერ ფორმის დაცვით შეტანილად მიჩნეულ იქნა 347 დისციპლინური საჩივარი. რიგი საჩივრების გაერთიანების შედეგად, საქმეთა რაოდენობამ შეადგინა 305. 2014 წლიდან გამოსულ იქნა 70 საქმე. შესაბამისად, 2015 წელს საბჭოს წარმოებაში იყო სულ 375 საქმე. აქედან: მოსამართლე დისციპლინურ პასუხისგებაში მიეცა 1 საქმეზე; დისციპლინური სამართალწარმოება შეწყდა 93 საქმეზე; 277 საქმეზე სამართალწარმოება არ დასრულებულა.

2014 წელი – საბჭოში სულ შევიდა 710 დისციპლინური საჩივარი. აქედან საბჭოს მიერ ფორმის დაცვით შეტანილად მიჩნეულ იქნა 212 დისციპლინური საჩივარი. რიგი საჩივრების გაერთიანების შედეგად, საქმეთა რაოდენობამ შეადგინა 204. 2013 წლიდან გამოსულ იქნა 179 საქმე. შესაბამისად, 2014 წელს საბჭოს წარმოებაში იყო სულ 383 საქმე. აქედან: არცერთ საქმეზე მოსამართლე

⁹¹ სტატისტიკური ინფორმაცია ეფუძნება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებულ სტატისტიკურ ინფორმაციას, სადისციპლინო კოლეგიის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ სტატისტიკურ ინფორმაციას და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გაცემულ საჯარო ინფორმაციას: საბჭოს 2016 წლის 1 თებერვლის #233/121-03-ო, #234/119-03-ო და 2016 წლის 28 მარტის #541/610-03-ო წერილები.

დისციპლინურ პასუხისგებაში არ ყოფილა მიცემული; დისციპლინური სამართალწარმოება შეწყდა 286 საქმეზე; 70 საქმეზე სამართალწარმოება არ დასრულებულა.

2013 წელი – საბჭოში სულ შევიდა 620 დისციპლინური საჩივარი. აქედან საბჭოს მიერ ფორმის დაცვით შეტანილად მიჩნეულ იქნა 239 დისციპლინური საჩივარი. რიგი საჩივრების გაერთიანების შედეგად, საქმეთა რაოდენობამ შეადგინა 218. 2012 წლიდან გადმოსულ იქნა 54 საქმე. შესაბამისად, 2013 წელს საბჭოს წარმოებაში იყო სულ 272 საქმე. აქედან: არცერთ საქმეზე მოსამართლე დისციპლინურ პასუხისგებაში არ ყოფილა მიცემული; დისციპლინური სამართალწარმოება შეწყდა 52 საქმეზე; 213 საქმეზე სამართალწარმოება არ დასრულებულა.

2012 წელი – საბჭოში სულ შევიდა 844 დისციპლინური საჩივარი (განცხადება, წერილი, დამატებითი მასალები). 2011 წლიდან გადმოსულ იქნა 61 საქმე. შესაბამისად, 2013 წელს საბჭოს წარმოებაში იყო სულ 905 საქმე. აქედან: მოსამართლე დისციპლინურ პასუხისგებაში მიეცა 4 საქმეზე; დისციპლინური სამართალწარმოება შეწყდა 201 საქმეზე; 58 საქმეზე სამართალწარმოება არ დასრულებულა; 620 საჩივარზე (განცხადებაზე, წერილზე) მოქალაქეებს ეცნობათ პასუხი.

2011 წელი – საბჭოში სულ შევიდა 880 დისციპლინური საჩივარი (განცხადება, წერილი). 2010 წლიდან გადმოსული დისციპლინური საჩივრების ჩათვლით, საბჭოს წარმოებაში იყო 940 საჩივარი. აქედან: მოსამართლე დისციპლინურ პასუხისგებაში მიეცა 2 საქმეზე; დისციპლინური სამართალწარმოება შეწყდა 422 საქმეზე; 61 საქმეზე სამართალწარმოება არ დასრულებულა; 430 საჩივარზე (განცხადებაზე, წერილზე) მოქალაქეებს ეცნობათ პასუხი.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მონოდებული ინფორმაციის თანახმად, 2015 წლის განმავლობაში სხვადასხვა დროს საბჭოს 6 მოსამართლე წევრის მიმართ შესულია 11 დისციპლინური საჩივარი, ხოლო 2014 წლის განმავლობაში სხვადასხვა დროს – 3 მოსამართლე წევრის მიმართ 9 დისციპლინური საჩივარი. 2015 წელს შესული საჩივრებიდან 4-ზე შეწყდა დისციპლინური სამართალწარმოება, ხოლო 7 საქმეზე საბჭოს მიერ გადაწყვეტილება მიღებული არ არის. 2014 წელს შესული 9 დისციპლინური საჩივრიდან ცხრავე შემთხვევაში შეწყდა დისციპლინური სამართალწარმოება.

რეკომენდაციები

საანგარიშო პერიოდში საბჭოს საქმიანობაში გამოვლენილ ხარვეზებთან დაკავშირებული რეკომენდაციები

- საბჭოსთვის მინიჭებული გადაჭარბებული დისკრეცია და საბჭოს უფლებამოსილებები უნდა დაბალანსდეს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების შესაბამისი სტანდარტებით;
- საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება გარანტირებული უნდა იყოს კანონით და პრაქტიკაში;
- კანონით უნდა დადგინდეს საბჭოს საქმიანობის ძირითადი სამართლებრივი პრინციპები და ამ პრინციპების პრაქტიკაში რეალიზაციის პროცედურა: კანონიერება, სამართლიანობა, თანაზომიერება, არადისკრიმინაციულობა, მიუკერძოებლობა, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება, დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება და სხვა;
- უნდა შეიქმნას საბჭოს გადაწყვეტილებების კანონიერების შემოწმების მექანიზმი, დადგინდეს საბჭოს გადაწყვეტილებების სასამართლოში გასაჩივრების ფარგლები, პროცედურა, წესი და ვადები;
- უნდა განისაზღვროს საბჭოს ადმინისტრაციული ფუნქციების შინაარსი და აღნიშნული ფუნქციების განხორციელებისას საბჭომ უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით;
- საბჭოს იმ ფუნქციების განხორციელებისას, რომლებზეც არ ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები, კანონით უნდა დადგინდეს სამართლებრივ სახელმწიფოში აღნიშნული ფუნქციების განხორციელების მინიმალური სტანდარტები მაინც, რაც უზრუნველყოფს საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობას, დასაბუთებულობასა და ობიექტურობას.

საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობა

- საბჭომ განუხრელად უნდა დაიცვას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები და 7 დღით ადრე გამოაქვეყნოს ინფორმაცია საბჭოს სხდომების თაობაზე;

- ღიაობისა და საჯაროობის პრინციპის უზრუნველსაყოფად, საბჭოს სხდომების დღის წესრიგი შეძლებისდაგვარად დეტალური უნდა იყოს, განსახილველი კანონპროექტები, სამოქმედო გეგმები, კონცეფციები თუ სხვა სახის დოკუმენტები კი – ხელმისაწვდომი. აღნიშნული უზრუნველყოფს საბჭოს საქმიანობის რეალურ გამჭვირვალობას და საზოგადოების უფლების რეალიზაციას – ჰქონდეს სათანადო და სრული ინფორმაცია ეფექტური კონტროლის განსახორციელებლად;
- პრაქტიკაში არსებული პრობლემების გადასაჭრელად, მნიშვნელოვანი და აუცილებელია, დარეგულირდეს სხდომისათვის მოსამზადებელი სამუშაოების და შესაბამისი ვადების საკითხი. კერძოდ, გასაწერია, რა ვადაში უნდა მიანოდოს საბჭოს მდივანმა საბჭოს ყველა წევრს იმ განცხადებების და პროექტების დოკუმენტები, რომელთა განხილვაც უახლოეს სხდომაზეა დაგეგმილი. ასევე, მნიშვნელოვანია, საბჭოს წევრებს დროულად მიეწოდოთ არა მხოლოდ უახლოეს სხდომაზე დაგეგმილი საკითხების შესაბამისი დოკუმენტები, არამედ საბჭოს სახელზე შემოსული და მის კომპეტენციაში შემავალი ნებისმიერი დოკუმენტის ასლი, რათა საბჭოს წევრებს შეეძლოთ, საკუთარი შეხედულებისამებრ, ამა თუ იმ საკითხის განხილვის მოთხოვნის დაყენება უახლოეს სხდომაზე;
- მიზანშეწონილია, კანონმდებლობით განისაზღვროს საბჭოს დღის წესრიგის შედგენის პროცედურები და მასზე პასუხისმგებელი პირი;
- საბჭოს კანონით უნდა დაეკისროს თავის ვებ-გვერდზე სხდომის ოქმების, მათი ვიდეო-აუდიო ჩანაწერებისა და გადაწყვეტილებების გარკვეულ ვადებში განთავსების ვალდებულება, ვინაიდან საზოგადოებას უფლება აქვს, ჰქონდეს წვდომა ამ მასალებზე, საბჭომ კი, წლებია, მისი რეგულირება პრაქტიკით ვერ უზრუნველყო;
- საბჭო ვალდებულია, განუხრელად დაიცვას კანონის მოთხოვნა და უზრუნველყოს საჯაროობისა და გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტი. ამ მიზნისთვის ასევე აუცილებელია, რომ საბჭომ დაარეგულიროს წინასწარ სხდომის დახურვის პროცედურები, შესაბამისი საფუძვლები და წესი, ამასთან, უნდა უზრუნველყოს სხდომაზე დასწრების მსურველთა ინტერესების დაცვა და დადგენილ ვადაში აცნობოს მათ სხდომის დახურვის შესახებ;

- საბჭო ვალდებულია, რეგლამენტით განსაზღვროს მედი-საშუალებების მიერ სხდომის შეუფერხებლად და სრულად გადაღების საშუალება, რითაც საბჭოს რეგლამენტი შესაბამისობაში მოვა ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსთან, ვინაიდან კოლეგიური ორგანოების სხდომების საჯაროობა, რაც კანონმდებლობით არის გარანტირებული, არ ადგენს რაიმე სახის შეზღუდვებს მასმედიის წარმომადგენლებისთვის. მათ, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა დაინტერესებულ პირს, უფლება აქვთ, დაესწრონ სხდომებს და აუდიო-ვიდეო საშუალებით გადაიღონ/ჩაინერონ სხდომის მიმდინარეობა;
- მოსამართლეთა შერჩევის მიზნით ჩატარებული გასაუბრების საჯაროობა კანონით უნდა დადგინდეს;
- კანონით უნდა დარეგულირდეს ინტერესთა კონფლიქტის საკითხი. საბჭოს წევრებს შორის ინტერესთა კონფლიქტთან და მის თავიდან აცილებასთან დაკავშირებით, არ არსებობს ერთიანი ხედვა და მიდგომა. საკითხის მოუწესრიგებლობა საბჭოს წევრებს აძლევს შესაძლებლობას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თავად გადაწყვიტონ და პირად ინტერესს მოარგონ მიღებული გადაწყვეტილება მონაწილეობის შესახებ, რაც, თავის მხრივ, ჩრდილს აყენებს საბჭოსადმი ნდობას და მიღებული გადაწყვეტილებების მიუკერძოებლობას.

მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნა, მოსამართლის გადაყვანა/დანინაურება

- დაიხვეწოს მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნის კანონმდებლობა: კანონით დადგინდეს მოსამართლეთა შერჩევის მკაფიო კრიტერიუმები და პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს კომპეტენტური და მაღალი რეპუტაციის მოსამართლეების დანიშვნას გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური პროცესით;
- კანონით დადგინდეს საბჭოს ვალდებულება, დაასაბუთოს მოსამართლის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილება;
- კანონით დადგინდეს მოსამართლის გადაყვანის საფუძვლები და მინიმალური პროცედურა მაინც, რომელიც დაეფუძნება მოსამართლის გადაყვანის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას სამართლიანი, გამჭვირვალე და

ობიექტური პროცედურებით, მართლმსაჯულების კონკრეტული საჭიროებისა და მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინციპის პატივისცემით;

- კანონით დადგინდეს მოსამართლის დანიშნულების განმარტება, დანიშნულების ძირითადი კრიტერიუმები და მინიმალური პროცედურა მაინც, რომელიც დაეფუძნება მოსამართლის დანიშნულების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას სამართლიანი, გამჭვირვალე და ობიექტური პროცედურებით, მართლმსაჯულების კონკრეტული საჭიროებისა და მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინციპის პატივისცემით, მოსამართლის გადაყვანისა და დანიშნულების პროცედურებს შორის განსხვავების დადგენით;
- დაიხვეწოს საბჭოს გადაწყვეტილებით დადგენილი წესი მოსამართლეობის კანდიდატის შერჩევის თაობაზე, დადგინდეს უფრო განჭვრეტადი და ნათელი პროცედურები, აღმოიფხვრას გამოვლენილი ხარვეზები.

საბჭოს რეაგირება მოსამართლეთა მიმართ ზენოლის და შეურაცხყოფის ფაქტებზე:

- საბჭომ უნდა უზრუნველყოს ერთგვაროვანი მიდგომა მოსამართლეთა მიმართ ზენოლისა და შეურაცხყოფის ფაქტებზე იმგვარად, რომ საბჭოს რეაგირება აღნიშნულ საკითხებზე იყოს თანაბარი და ეფექტიანი სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად.

საბჭოს წარმომადგენლობითობის უზრუნველყოფა

- პარლამენტმა უნდა უზრუნველყოს საბჭოს სრულად დაკომპლექტება, რათა საბჭო წარმოდგენილი იყოს თხუთმეტივე წევრით და უზრუნველყოფილი იყოს საბჭოს წევრების არჩევის პროცესში არასახელისუფლებო პოლიტიკური ძალების მონაწილეობა;
- საბჭოს წევრებმა გადაწყვეტილებები უნდა მიიღონ ინდივიდუალურად, გადასანყვეტ საკითხზე საკუთარი პოზიციის გათვალისწინებით და არა – საბჭოს სხვა წევრებთან შეთანხმებით.

